

78  
996

საქართველოს  
საბჭოთავო

# სამართალი



3-4  
1996



# სამართალი

026660664

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 3-4

1996

მარტი — აპრილი

გამოდის 1926 წლიდან

## პრაქტიკა ● მეცნიერება ● პუბლიცისტიკა

ეთაპარი რედაქტორი  
ჭურაბ რაბინანი

სარედაქციო კოლეგია:

ჯამლეთ ბაბილაშვილი  
გელა ბარამიანი  
(მთ. რედაქტორის მოადგილე)  
ვლადიმერ ბარათაშვილი  
ოთარ გამყრელიძე  
ჯემალ ბასოკიძე  
გივი ინჟიკიანი  
შალვა ნათელაშვილი  
ნოდარ ნავიანი  
თევდორე ნინიძე  
ნიხილ საბაშვილი  
გიორგი ტყეშელაძე  
იაკობ ფუტყაძე  
მინდოა უგრეხელიძე  
შალვა ჩიკვაშვილი  
ლადო ჭანტურია  
სერგო ჯორჯანიანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უწყნაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უწყნაესი საარბიტრაჟო სასამართლო.


გაიტყველთა საქარადგომოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასლები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგეაწოდეთ მისამართით: 880046, თბილისი, გრიბოედოვის 19.  
ტელ: 99 02 45, 93 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0830. ინდექსი 76185.

მასი 2 ლარი.





# იუსტიცია

## საკიეზელი

### თარიღი

განვლილი გზა (ყურნალი „სამართალი“ 70 წლისა) . . . . . 3

მილოცვაში . . . . . 8

### საქართველოს იურისტთა კავშირის II ყრილობა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მილოცვა ყრილობის მონაწილეებს . . . . . 11

საქართველოს იურისტთა კავშირის II ყრილობა . . . . . 11

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში II ყრილობას . . . . . 15

### კანონის კომენტარი

✦ ალბერტ აბესაძე — საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო . . . . . 21

### თვალსაზრისი

არჩილ კაპანაძე — საზოგადოება (რამდენიმე მოსაზრება) . . . . . 27

### კონტაქტები უცხოეთთან

ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრის — საზოგადოებრივი საშემსრებლის პრობლემისათვის . . . . . 31

✓ ოთარ გამყრელიძე — გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართული სისხლის სამართალზე . . . . . 39

### მორალი

გიორგი ნადარეიშვილი — ზომიერება . . . . . 46

### იუბილე

ზურაბ რატიანი — სერგო ჯორბენაძე 70 წლისა . . . . . 52

სერგო ჯორბენაძე — ჩემი ცხოვრების გზა . . . . . 55

### პრაქტიკა, წინადადება, შენიშვნები

მარინა კვაჭაძე — თანამედროვე მედიცინის ზოგიერთი საკითხის სისხლისსამართლებრივი ასპექტები . . . . . 69

### ინფორმაცია

უმაღლესი ხარისხი იურიდიულ მეცნიერებაში . . . . . 77

### ნაპროლოგი

ვასილ ხმალაძე . . . . . 80

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, ბრიგადადროვის 19  
ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 11.03.96 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 5.08.96 წ.,  
ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 6,5. შეკვ. 280. ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,  
თბილისი, 880096, შერაბ კოსტავას 14.





# განვლილი გზა

ჟურნალი „სამართალი“ 70 წლისაა

შვიდი ათეული წელი შესრულდა პირველი ქართული და ჩვენი ქვეყნის უძველესი იურიდიული ჟურნალის „სამართლის“ (სხვადასხვა წლებში გამოდიოდა „საბჭოთა სამართლის“ და „სახელმწიფო და სამართლის“ სახელწოდებით) პირველი ნომრის გამოცემიდან. ასეთი ორგანოს დაარსება ქართველი იურისტების დიდი ხნის ოცნება იყო და ამ საშვილიშვილო საქმეს 1926 წლის მარტში დაედგა თავი – დღის სინათლე იხილა ჟურნალის პირველმა ნომერმა. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა ქართული მრავალსაუკუნოვანი იურიდიული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

როსული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო ჟურნალის პირველი ნაბიჯები. თავდაპირველად მისი პერიოდულად და სისტემატურად გამოცემა ძალზედ გაჭირდა. ერთხანს, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, არსებობაც შეწყვიტა. 1957 წელს რესპუბლიკის ხელისუფლების სპეციალური გადაწყვეტილებით კვლავ განახლდა ჟურნალის გამოცემა და დღემდე იგი ქართველ იურისტთა ერთგული მეგობარი, მრჩეველი და მეგზურია.

დღეს დიდი მოწიწებით ვიხსენებთ საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარს (რომელიც იმავდროულად რესპუბლიკის პროკურორიც იყო), ჟურნალის პირველ რედაქტორს იაკობ ვარძიელს. 1928 წლის აგვისტოდან იგი შეცვალა შ. მათიკაშვილმა, ხოლო ჟურნალის გამოცემის განახლების შემდეგ რედაქტორის საპატიო და როსულ საქმეს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი იურისტი მიხეილ ლომიძე.

განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტს ოთარ კაციტაძეს, რომელიც თითქმის 27 წლის მანძილზე უცვლელად რედაქტორობდა ჟურნალს. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ჟურნალის შემდგომი ჩამოყალიბება და მტკიცედ დამკვიდრება. ამ დიდ საქმეში მას მხარში ედგნენ და ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები თ. წერეთელი, აღ. ვაჩიშვილი, ვ. მაყაშვილი, ი. დოლიძე, გ. ერემოვი, ბ. ბარათაშვილი, ა. ხოჭოლავაძე, წერეთელი, ს. ჯორბენაძე, ი. სურგულაძე, გ. ტყეშელიაძე, ა. ფალიაშვილი, გ. ინწკირველი, მ. უგრეხელიძე, თ. შავგულიძე, გ. ნადარეიშვილი, ო. გამყრელიძე, ი. ფუტყარაძე, თ. ლილუაშვილი, ბ. ფურცხვანიძე, მ. ლეკვეიშვილი, შ. ჩიკვაშვილი, რ. შენგელაია, ვ. სიღამონიძე და მრავალი სხვა. იურისტების გარდა ჟურნალის ფურცლებზე არაერთხელ გამოსულან სტატიებით გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, აკადემიკოსები შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ნ. კეცხოველი, ავ. ზურაბაშვილი, ვ. ბერიძე და სხვები.

რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივისა და სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა კიდევ უფრო ქმედითი გახდა მას შემდეგ, რაც 1985 წლიდან ჟურნალს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი იურისტი ლერი თალაკვაძე. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენა – ჟურნალი ყოველ-



თვიური ორგანო გახდა. მკვეთრად გაუმჯობესდა რედაქციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ამ პერიოდში ჟურნალისადმი ინტერესი ბევრად გაიზარდა და მისმა ტირაჟმა მიაღწია ზენიტს — 42 ათასი ხელმოწერი.

1989 წელს მთავარი რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა მთავარი რედაქტორის მოადგილე გელა ბერძენიშვილი.

მაღალი პროფესიული დონითა და აკადემიურობით გამოირჩეოდა თედო ნინიძის რედაქტორობით გამოცემული ნომრები (1990—92 წწ.). სწორედ მის სახელს უკავშირდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციების ქართველი მკითხველისათვის მშობლიურ ენაზე მიწოდების საშური საქმე.

1993 წლიდან ჟურნალს სათავეში ჩაუდგა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი.

არსებობის მანძილზე ჟურნალი „სამართალი“ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობდა ქართველი ერის ინტერესებით, შემოქმედებითად ახორციელებდა ქართული იურიდიული მეცნიერული აზრისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპებს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, რათა მკითხველი ყოველთვის ყოფილიყო ეროვნული და მსოფლიო იურიდიულ სიახლეთა საქმის კურსში, ძალღონეს არ იშურებდა ამ სიახლეთა პრაქტიკაში დანერგვისათვის.

წლების მანძილზე ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა რესპუბლიკისა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა, სწავლული იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების წერილები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიულობით, პრობლემურობით, მათი გადაჭრის კონკრეტული გზების ძიების სულისკვეთებით. ამან ჟურნალს საკმაო ავტორიტეტი მოუპოვა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის გარეთაც. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ „სამართლის“ ფურცლებზე დიდი ინტერესით თანამშრომლობდნენ გამოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერი იურისტები. კერძოდ, ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა მსოფლიოში ისეთი ცნობილი მეცნიერი იურისტების ნააზრვეი, როგორებიც არიან: პროფესორები მ. სტროგოვიჩი, ვ. ანაშკინი, ა. რახუნოვი, ნ. დურმანოვი, ი. იაკოვლევი, ა. ნიკიტინი, ვ. ობრაზცოვი, ა. ნიკიფოროვი, ე. მელნიკოვა (რუსეთი), ს. ზავადსკი, ი. ანდრეევი, ი. სკუპინსკი (პოლონეთი), ტ. სორვატი (უნგრეთი), კ. ლიუდოვი (ბულგარეთი), რენე დავიდი (საფრანგეთი), იოჰიო ვატანაბე (იაპონია), ლაური უიმანი (აშშ), დევიდ კოენი (ინგლისი), ჰორსტ ბროდური, გუსტავ რადბრუხი, ადუშაიდ ბრანდტი, ჰაინჰარდ შტაიგერი, რ. გრავერტი, ჰანს შნაიდერი, ე. მ. შტაერმანი, რალფ დრაიერი, ბერნდ გუბერბერგერი (გერმანია) და სხვ.

„სამართლის“ კომპეტენტურობასა და ავტორიტეტზე ისიც მიგვანიშნებს, რომ აქ გამოქვეყნებული მრავალი საინტერესო პუბლიკაცია შემდეგ ითარგმნა და დაიბეჭდა უცხოეთის ჟურნალებში.

ჟურნალმა მთელი თავისი არსებობის მანძილზე არამარტო გაამართლა არსებობის უფლება, არამედ მკაფიოდ გამოამჟღავნა უფლებაუნარიანობა, რათა თავად ყოფილიყო ქვეყნის სამართლებრივი ცხოვრების თეორიისა და პრაქტიკის განმაზოგადებელი და თავისებური ორიენტირიც. როგორც მკითხველს მოეხსენება, ჟურნალი, დღიდან მისი დაარსებისა, არის სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათისა და დანიშნულების. ამდენად იგი თანაბარზომიერად უთმობდა ადგილს შესაბამისი პრობლემატიკის გაშუქებას, თუმცა იყო პერიოდები, როცა გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა შორის თეორიული თემატიკა ჭარბობდა.

მართალია, ჟურნალი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე წმინდა პოლიტიკური გამოცემა არ არის, მაგრამ იგი გულგრილი არასოდეს დარჩენილა ქვე-



ყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ და ყოველთვის გამოხატავდა თავის პრინციპულ აზრს აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ქვეყნის აღმშენებლობის, კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის დამკვიდრების საკითხებზე, სასამართლო თუ სხვა რეფორმების შესახებ, შესაბამისი კომენტარებით ქვეყნდებოდა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები.

ჟურნალი ყოველთვის ცდილობს აქტიურად აუბას მხარი რესპუბლიკაში მიმდინარე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების განუხრელ პროცესს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ჯერ კიდევ დრმად ფესვგადგმული ნეგატიური მოვლენების საბოლოოდ დაძლევაში, ამ უკანასკნელ ხანს ფეხმოკიდებული კორუფციისა და მაფიოზური გამოვლინებების აღმოფხვრის გადაუდებელ საქმეში. ჟურნალი გარკვეულ ყურადღებას აქცევს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საკანონმდებლო აქტების სრულყოფასა და მათ შემდგომ განმარტება-კომენტირებას.

დამნაშავეობასთან ბრძოლის დღევანდელი დონე მოითხოვს მეტი ყურადღება დაეთმოს ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათი მუშაობის პრაქტიკის გათვალისწინებით საკანონმდებლო და სხვა პრაქტიკულ წინადადებათა გაბედულ დაყენებას. რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ცდილობს გაცილებით მეტი კონკრეტული მასალა გამოაქვეყნოს გამოძიების ტაქტიკის ცალკეულ საკითხებზე, რომლებიც სადღეისო მოთხოვნითაა ნაკარნახევი. ჟურნალის ფურცლებზე წლების მანძილზე სისტემატურად ქვეყნდებოდა რესპუბლიკის ადმინისტრაციული და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთგვარი ანგარიშები მათ მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე. სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი ტრადიცია ამ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად შეფერხდა.

სამართალწარმოებაში აქილევსის ქუსლად კვლავ რჩება ბიუროკრატიზმის მავნე პრაქტიკის გამოვლინებები, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად განაპირობებენ მოსახლეობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას როგორც საერთოდ სამართლის მიმართ, აგრეთვე უნდობლობას შესაბამისი სტრუქტურებისადმი. ცხადია, ამ მიმართებით ბრძოლა მიმდინარეობს, მაგრამ ეს ბრძოლა ყოველთვის როდია მეთოდური, უკომპრომისო, პერმანენტული და პროფესიული. ჯერ კიდევ დიდია გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვი, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის გახშირებული ფაქტები. ამდენად, ჟურნალის საქმიანობაში უცვლელ ამოცანად რჩება კანონიერების მთელი ძალის გამოყენების პროპაგანდა დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ადამიანები ყველგან და ყოველთვის გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის; დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდარღვევა ვერ წაუვა საკადრის სასჯელს. ჟურნალი ყოველთვის ცდილობდა, რათა თავისი პუბლიკაციებით ამ წმიდათაწმიდა საქმის შესრულების სულისკვეთება ჩაუნერგოს სამართალდაცვითი ორგანოების თითოეულ მუშაკს, ფართო საზოგადოებრიობას, დროულად ამხილოს ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს გვიშლიან დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჟურნალის ფურცლებზე მეტად მცირე დონით გამოსჭვივის ჯანსაღი კრიტიკა, პრინციპულობა, დარღვევებისადმი



შეურიგებლობა, სათანადო სიმტკიცე. თუ საბჭოურ პერიოდში მოსახლეობის ინფორმირებას ტაბუ ედო, ახლა ეს პრობლემა მოხსნილია. მართალია, მურხანაძის ფურცლებზე რამდენჯერმე ფართო სპექტრით გამოქვეყნდა დანაშაულობათა სტატისტიკური მონაცემები და მოსახლეობაც გარკვეულ წილად საქმის კურსში არის თუ რა სოციალურ საშიშროებასთან აქვს საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას აღარ მოჰყოლია ანალიტიკური სჯა-ბაასი და პროფესიული გამოხმაურებანი მათი აღმოფხვრის ოპტიმალური გზების ძიებისათვის. ფაქტების მხოლოდ კონსტატაციით კი საქმე წინ ვერ წავა.


ჟურნალის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაკლად გვესახება ის, რომ ერთობ მწირია სარედაქციო პორტფელი. იურიისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა კადრების სიუხვის პირობებში პირდაპირ გაცეხება იწვევს მათი ინერტულობა. მართალია, ჰონორარი უკანასკნელად როდის გავეცით, აღარც კი გვახსოვს, მაგრამ ამჯერად საკითხი ეხება მათ პროფესიულ თავმოყვარეობას. დიახ, ყველასათვის ცნობილია, რომ სიღუხჭირე სუფევს ქვეყანაში, მაგრამ ეს არ უნდა გვიბიძგებდეს ჩვენი საერთო პრობლემებისაგან განდგომისაკენ.

ჟურნალის ფურცლებზე მტკიცედ დამკვიდრდა რუბრიკა „პარლამენტარის ტრიბუნა“. ამ რუბრიკით უკვე გამოქვეყნდა პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას, პარლამენტის წევრების: ვანო ხუხუნიაშვილის, ოთარ მეღვინის, ბადრი ნაკაშიძის მეტად საინტერესო სტატიები.

ჟურნალმა შეძლებისდაგვარად იზრუნა, ასე ვთქვათ, რაღაც გაეკეთებინა საბაზრო ეკონომიკის დაფუძნების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების შემოკრებისათვის და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ იურიდიულ პრობლემატიკაზე საინტერესო პუბლიკაციებიც გამოქვეყნდა, მაგრამ, ცხადია, ეს ჯერ საკმარისი როდია. ვფიქრობთ, ეს პრობლემა ჟურნალის შემდგომი საქმიანობის მაგისტრალურ მიმართულებად უნდა იქცეს, რადგან საბაზრო ეკონომიკა შეუქცევადი პროცესია და იგი მკვეთრად იკიდებს ფეხს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და საერთოდ, ცხოვრებაში. თუმცა, ამ პროცესმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მის საწყის ეტაპზე ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს თავსატეხი პრობლემები შეუქმნა. ასე დაემართა ჩვენს ჟურნალს. ერთი ხელის მოსმით რედაქციის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას მძიმე შედეგები მოჰყვა. გათვითცნობიერებულ მკითხველს უთუოდ მოეხსენება თუ რა ხარჯებთანაც არის დაკავშირებული ჟურნალის გამოცემა. განუზომლად გაიზარდა საგამომცემლო ხარჯები. ჟურნალის მინიმუმამდე შემცირებული ტირაჟის (500 ეგზ.) გავრცელებით მიღებული მიზერული თანხა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ამ ხარჯებს. ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ თუ ადრე წელიწადში 12 ნომერს ვცემდით შეუფერხებლად, ახლა დაწყვილებულად 4-6 ნომრის გამოცემაც ძლივს ხერხდება. ამას ისიც ემატება, რომ წლების მანძილზე საერთოდ აღარ გვაქვს საჰონორარე ფონდი, რედაქციის თანამშრომლებს კი მხოლოდ სიმბოლური ხელფასები აქვთ. ავტორებისა და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივის მხოლოდ ენთუზიაზმის იმედად ყოფნა, ცხადია, დიდხანს შეუძლებელია.

თუმცა, დიდი მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ორგანოების პრაქტიკული თანადგომა ვიგრძენით — სულთმობრძავ ჟურნალს, როგორც იტყვიან, ჟანგბადის ბალიშით მოუსწრო მისთვის გაწეულმა ფინანსურმა დახმარებამ. ასევე გვერდში დაგვიდგა და სათანადო მხარდაჭერა გაგვიწია გამომცემლობა „სამ-






შობლოს“ ხელმძღვანელობამ. ერთი სიტყვით, დადებითი ძვრები კი იგრძნობა, მაგრამ თავის დაშვებების საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ამაჟამად არსებული რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ახლა, როცა ჟურნალ „სამართალს“ 70 წელი შეუსრულდა, ამ სიმწრით მოპოვებული, გარკვეულწილად ეროვნული კულტურის, აზროვნებისა და ინტერესების გამომხატველი ჟურნალი დახურვის რეალური საფრთხის წინაშე დგას. ამას კი შთამომავლობა არ გვაპატიებს, რადგან ასეთი პროფილის ჟურნალი რომ არ გვექონოდა, ახლა მაინც უნდა დაარსებულიყო, როცა ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი არსებობის გზას და ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი აღმშენებლობის პროცესი. ამიტომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების, იურისტთა მთელი ათიათასიანი კოლექტივის მეტი და მეტი ძალისხმევა, პრობლემის გაცნობიერება და გულთან მიტანა, პროფესიული პრესტიჟის გაშინაგება არის საჭირო, რათა ჟურნალი „სამართალი“ კიდევ მრავალ 70 წელს კეთილსინდისიერად ემსახუროს ეროვნულ სამართლებრივ აზროვნებას.







## ჟურნალ „სამართლის“ რედაქციას

ნება მივთხოვთ, მოგილოცოთ ჟურნალის იუბილე. მიმაჩნია, რომ 70 წლის მანძილზე ჟურნალმა გავრი რამ გააპაეთა ქართული სამართლებრივი აზროვნების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

გისურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, ღარფუნავალი ვარ „სამართალი“ კვლავაც აქტიურად იმოღვაწევეს სამართლებრივი სახელმწიფოს დასამყარებლად.

პატივისცემით,  
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ შვანიძე.

## ჩვენი სულიერი მეგზური

თუ ყოველი ჟურნალის იუბილე მეტ-ნაკლებად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, „სამართლის“ სამოცდაათწლიანი არსებობის უწინარესი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე ამ ჟურნალის უდიდესი ზეგავლენით განიზომება. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ხომ ღამის ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო საქართველოში, რომელსაც უნდა გაეშუქებინა და აშუქებდა კიდევაც ჩვენი სამართლებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს — მეცნიერულსა თუ პრაქტიკულს. ეს მისია ერთდროულად მძიმეც ჩანდა და საპატიოც. მძიმე გახლდათ სასტიკი იდეოლოგიური წნეხისა და დოგმატიზმის გამო, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდა ყველა საგამომცემლო საქმე, მეტადრე — იურიდიული ლიტერატურის გამოცემა; საპატიო კი იმით, რომ იგი ურთულეს პირობებში მსახურებდა სამართლის იდეისა და ადამიანის უფლებრივი სტატუსის გადარჩენას.

ყოველთვის უზადო და წარმატებული ვერ იქნებოდა საამისო ძალისხმევა. მაგრამ საკუთრივ ძალისხმევის საბოლოო გეზი რომ კეთილშობილური გახლდათ, ამას მის ფურცლებზე გამოქვეყნებული არა ერთი და ორი მასალის შეჯამებული ეფექტი ცხადყოფს.

დღეს ჩვენი ვალთა გულითადი მადლიერებით მოვიხსენიოთ ჟურნალის მესვეურთა — ყველა იმ რედაქტორის, გამომცემლის, მეცნიერისა თუ პრაქტიკოსის ღვაწლი, ვისი თავდადებითაც მოხერხდა, რომ ჟურნალს საბოლოოდ შეენარჩუნებინა ღირსეული სახე და ყოფილიყო მოწინავე სამართლებრივ ღირებულებათა ერთ-ერთი აქტიური დამამკვიდრებელი.

არანაკლებ მძიმე დროება დაუდგა და, შესაბამისად, სირთულესაც მრავალს განიცდის ჟურნალი მას შემდეგ, რაც საქართველო საბოლოოდ დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. ახლა უკვე სულ სხვა — ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ დაბრკოლებებს წააწყდა იგი. არადა, სწორედ დღეს ესაჭიროება მას უპირატესი ხელისშეწყობა, რათა ყოველმხრივ იქნას უზრუნველყოფილი მისი მეშვეობით სამართლებრივი სახელმწიფოს ქართული მოდელის მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინება.



მინდა ვირწმუნო, რომ „სამართლის“ სამოცდაათი წლის იუბილე თვით ყველაზე უფრო არხეინ მის მკითხველსაც კი დანახებს ამის აუცილებლობას და ამიერიდან მაინც ჩააგონებს მას მზრუნველობას ჟურნალის საკეთილდღეოდ.

საყოველთაო ლოცვა და რუღუნება შესწოდე ჩვენს ერთგულ მეგობარსა და საიმედო დასაყრდენს ჟურნალ „სამართალს“ იმის გამო, რომ დიდი მორალური დანაკარგების გარეშე გამოატარა ისტორიის უღმობელ ქართველებში თავდაპირველი ჩანაფიქრი და დღევანდელი, დამოუკიდებელი საქართველოს იურისტთა ახალ თაობასაც უწევს სულიერ მეგზურობას.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე  
მინდია უბრანელიძე.**

## **გილოცავთ!**

**ჟურნალი** „სამართალი“ სამოცდაათი წლისაა. მე გადაკითხული მაქვს მისი ნომრები ოციანიდან სამოცდაათიან წლებამდე. მიფიქრია, რომ იგი ერთი მთლიანობაა, თუმცა სხვადასხვა ეპოქასა თუ პოლიტიკურ რეჟიმში არსებობდა.

ამ მთლიანობაში საყოველთაო ღირებულებებისადმი ერთგულება უფრო სჭარბობს, ვიდრე ეტატიზტური სინამდვილისადმი სერვილური დამოკიდებულება.

მაშინაც, როცა „საბჭოთა სამართალი“ ერქვა, იგი სამართლის ეროვნული ჟურნალი იყო, არამხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა, არამედ თავისი სულისკვეთებითა და იდეალებით.

დღესაც თითქმის თავდაპირველი შემეცნებითი ინტერესით იკითხება გრიგოლ რცხილადის, კონსტანტინე მიქელაძის, პეტრე ქავთარაძის, შალვა ნუცუბიძის, იროდიონ სურგულაძის, ბიძინა ბარათაშვილის, თინათინ წერეთლის, ვლადიმერ მაყაშვილის, ალექსანდრე ხოჭოლავას, სერგო ჯორბენაძის ათეული წლების წინათ გამოქვეყნებული წერილები.

ჟურნალი როდია მშრალი მემატანე ქართული იურისპრუდენციისა, იგი მისი მომავალი განვითარების ფაქტორიცაა. მისი მეშვეობით იხვეწებოდა თანამედროვე ქართული იურიდიული ენა, ეროვნული ტერმინოლოგია.

ახალი ჟურნალის შექმნას, უპირველეს ყოვლისა, ახლებური აზროვნება და ესთეტიკა სჭირდება; ჩვენი დრო ელის ახალ იურიდიულ ჟურნალებსა და აღმანახებს. ისინი, ალბათ, ბევრს ისწავლიან „სამართლისაგან“.

მივესალმები ბატონ ოთარ კაციტაძეს, ვინც ოცდაშვიდი წელიწადი რედაქტორობდა ჟურნალს.

მივესალმები ბატონ ზურაბ რატიანს და რედაქციას; მათ აწევთ ჟურნალის გადარჩენის ტვირთი ჩვენს მძიმე დროში.

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე.**

## **ჟურნალ „სამართლის“ რედაქციას**

რესპუბლიკის პროკურატურის კოლექტივი მზურვალედ მოგესალმებათ და გილოცავთ სახელოვან იუბილეს. მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობის მიუხედავად ჟურნალი „სამართალი“ სამოცდაათი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ჩვენი ხალხის სამართლებრივი კულტურისა და მართლშეგნების ამაღლებას. დიდია ჟურ-



ნალის დამსახურება იურისტთა პროფესიული დაოსტატებისა და ქართული სამართლებრივი მეცნიერების განვითარების საქმეში. ჟურნალის ჩარევინა უკვე პრინციპული პოზიციის წყალობით არაერთ საქმეზე გასწორდა საგამომცემო თუ სასამართლო შეცდომა, დადგინდა ჭეშმარიტება, იხეიმა სამართლიანობამ.

საქართველო დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა. შეიცვალა პოლიტიკური ცხოვრება, გაუქმდა ცენზურა, მკვიდრდება დემოკრატიული წესრიგი. მიღებულია კონსტიტუცია და სხვა მნიშვნელოვანი კანონები, მზადდება ახალი კანონპროექტები, საფუძველი ეყრება თავისუფალ სამოქალაქო ცხოვრებას.

ასეთ პირობებში ეჭვი არაა ჟურნალი კიდევ უფრო აამაღლებს თავის ბრძოლისუნარიანობას და ღირსეულ წვლილს შეიტანს დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საშვილიშვილო საქმეში.

გისურვებთ წარმატებებსა და გამარჯვებებს.

**საქართველოს გენერალური პროკურორი  
ჯაფარი ბაბილაშვილი.**

## **მნიშვნელოვანი თარიღი**

ჟურნალი „სამართალი“ სამოცდაათი წლისა! საქართველოს ადვოკატურა გულითადად მიესალმება იუბილარს. ეს თარიღი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჟურნალი მისი დაარსებიდან ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო იყო, რომლის დანიშნულება იურიდიული აზროვნებისა და პრაქტიკის მეცნიერულ დონეზე გაშუქებაში მდგომარეობდა, რაც ჩვენი დროის კონიუნქტურული სახეცვლილების პირობებში მეტად რთული ამოცანა იყო. ჟურნალმა ეს შეძლო და იურისპრუდენციის მრავალწახნაგოვან პრობლემათა განხილვის მედროზე გახდა.


საქართველოს გამოჩენილმა ადვოკატებმა, გარდა სასამართლო მოღვაწეობისა, თავიანთი პოტენცია მწერლობაში და ლიტერატურულ გასამართლებებში გამოიყენეს, მაგრამ არ გააჩნდათ იურიდიული ჟურნალი, ხოლო მას შემდეგ, რაც იშვა ჟურნალი „სამართალი“, დიდი ქართველი ადვოკატები შალვა მესხიშვილი, ანდრო გელოვანი, გურამ უგრეხელიძე, ბიძინა ბარათაშვილი, ალექსანდრე ხოჭოლავა, გიორგი თარხნიშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბენო ხომერიკი საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნათა მარაგის გადაცემას ჟურნალ „სამართლის“ ფურცლების მეშვეობით ახდენენ. ეს იყო დაცვითი სიტყვები, მეცნიერული თუ კრიტიკული წერილები, თარგმანები, პოეზიისა თუ პროზის ნიმუშები. ეს კი, მათ დამსახურებასთან ერთად, თვით ჟურნალის დამსახურებაც არის უდავოდ.

დღევანდელი საქართველოს ძნელბედობის ფაქს, იურიდიული პრაქტიკისა და უახლოესი წარსულის თეორიული დოკუმების სინდრომის პირობებში, საჭირო იყო მეცნიერული დონის აზროვნება, სამართლებრივ ურთიერთობებში დროის გამოცდილებით დაგროვილი ენერჯიის ტრანსფორმირება, რაც ჟურნალმა „სამართალმა“ მაღალ პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა.

ჟურნალ „სამართლის“ არსებობის ეს მნიშვნელოვანი თარიღი, განვლილი გზის და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ჟურნალის სიჭარბავეზე და მრავალმხრივ ინტერესებზე მეტყველებს, რამაც არაერთ სამოცდაათ წელს უნდა გაუძლოს.

**პასტანო კირეალიძე,  
ადვოკატი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.**





## საქართველოს იურისტთა კავშირის II ყრილობის პრეზიდიუმის

გულითადად მიუვსალმები საქართველოს იურისტთა კავშირის მეორე ყრილობის მონაწილეებს. მას შემდეგ, რაც საქართველო მტკიცედ დაადგა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას, სულ უფრო მეტად იკვეთება ის დიდი როლი, რაც პრაქტიკოსმა თუ მეცნიერმა იურისტებმა უნდა შეასრულონ ამ ეროვნულ საქმეში.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ აუცილებელია შეიქმნას მტკიცე საკანონმდებლო ბაზა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარებისათვის, საჭიროა დაჩქარდეს ქვეყანაში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა და ამ საქმეში უდიდესი წვლილი სწორედ ჩვენმა იურისტებმა უნდა შეიტანონ.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ დღევანდელი ყრილობის თითოეული მონაწილე არ დაიშურებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, რათა თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს ისეთი საქართველოს მშენებლობას, სადაც გარანტირებული იქნება კანონის უზენაესობა, დაცული იქნება ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და თავისუფლებები.

პატივისცემით,

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**.

## საქართველოს იურისტთა კავშირის II ყრილობა

გასული წლის 20 ოქტომბერს, თბილისში, გაიმართა საქართველოს იურისტთა კავშირის II ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ყრილობაზე დელეგირებული 240 დელეგატი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობა გასსნა კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნ ზურაბ რატიანმა და აღნიშნა, რომ ამ ფორუმის მიზანია გააანალიზოს გაერთიანების მიერ ჩატარებული მუშაობა დღიდან მისი დამუშავებისა და პირუთვნელად შეაფასოს იგი. კავშირის მაღალინტელექტუალურ დონეზე თავისთავად მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მის რიგებში გაწევრიანებულია და ყრილობის დელეგატებად წარმოდგენილია მეცნიერებათა აკადემიის 2 წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა 19 დოქტორი, 21 კანდიდატი, რესპუბლიკის არა ერთი დამსახურებული იურისტი, ახალგაზრდა იურისტთა ორგანიზაციის წევრები.

ყრილობას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ბ-ნი თედო ნინიძე, რომელმაც დელეგატებს გააცნო ყრილობის სახელზე მოსული საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის — იურისტთა კავშირის, აზერბაიჯანისა და სომხეთის იურისტთა კავშირების მისალმებანი. დელეგატებმა პატივი მიაგეს განვილი პერიოდში კავშირის ვარდაცვლილი წევრების ხსენებას.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა კავშირის გამგეობის ანგარიში რწმუნების პერიოდში გაწეული საქმიანობის თაობაზე (ანგარიში იბეჭდება ამავე ნომერში).



მოსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორებმა პროფესორებმა — გიორგი ტყეშელაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ რომან შენგელიამ, ადამიანთა უფლებების დაცვის და ეროვნებათა შორის ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ, გენერალური პროკურორის მოადგილემ ალექსანდრე შუშანაშვილმა, ახალგაზრდა იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, უზენაესი სასამართლოს წევრმა, კავშირის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ იური ტაბუცაძემ, იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლადო ბარათაშვილმა, კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა ნოდარ ნებიერიძემ. ანგარიში კავშირის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შესახებ ყრილობას წარუდგინა სარევიზო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ წურჭუბია.

პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ შეაფასა კავშირის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მისი მოღვაწეობა ქვეყნის სამსახურში მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაინც მეტის გაკეთება შეძლებოდა კანონიერების დაფუძნების საქმეში, რადგან სწორედ ეს ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია და ხელწიფება პირუთენელად გამოხატოს თავისი ობიექტური დამოკიდებულება რესპუბლიკის სამართლებრივ ცხოვრებაში არსებული პროცესების მიმართ. ორატორი შეეხო საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემუშავებული სამთავრობო კომისიის საქმიანობის შედეგებს და ყრილობას საერთო ხაზებში მოუთხრო კოდექსის პროექტის ძირითადი დებულებების შესახებ, რომ იგი შეიცავს 1400 მუხლს და რომ მასში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი წესის შესატყვისი სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობათა მარგვლირებელი ნოვაციური ხასიათის ნორმები, რომ იგი მაქსიმალურად გამოხატავს ეროვნულ-სამართლებრივ წარმოსახვებს და რომ პროექტმა გაიარა საერთაშორისო იურიდიული ასოციაციების ექსპერტიზა. ბ-მა ს. ჯორბენაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნება კავშირმა მოაწყოს აღნიშნული პროექტის განხილვა, რათა იურიდიულმა საზოგადოებრიობამ იმსჯელოს იმ დებულებათა ირგვლივ, რომლებიც ალბათ გარკვეულ სრულყოფას საჭიროებენ. ორატორმა ყურადღება გაამახვილა იმის თაობაზე, რომ მას-მედიის დიდმნიშვნელოვან და შრომატევად საქმიანობაში შეინიშნება გაუმართლებელი ტენდენცია იმისა, რომ არც თუ იშვიათად ქვეყნდება უსაფუძვლო, შეუმოწმებელი, ზოგჯერ ცილისმწამებელი პუბლიკაციები ამა თუ იმ პიროვნების თუ ორგანიზაცია-დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ, რომ ამის გამო პასუხს არ აგებენ ასეთ კორესპონდენციულ ავტორებს და რაც შეაფასა, თითქმის არ არსებობს რეაბილიტაციური მასალის გამოქვეყნების პრაქტიკა. ჩვენს პრესა აქამად მართლაც თავისუფალია ზემოდან დიქტატისაგან, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს პატივცემულ იუსტიციის მინისტრს, დღევანდელი ყრილობის თავმჯდომარეს ბ-ნ თედო ნინიძეს. ამასთან პრესის თავისუფლება სულაც არ ნიშნავს ყველაფრის თავისუფლებას, რადგან მას აქვს საზღვარი, რომლის იქით ლოგიკურად წარმოიშობა იურიდიული მნიშვნელობის ურთიერთობები გარკვეული სამართლებრივი განხილვის შედეგებით. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მიუხედავად პრესის შესახებ კანონის არსებობისა, ახალი სამოქალაქო კოდექსის პროექტში გათვალისწინებულია ასეთ შემთხვევაში მატერიალური პასუხისმგებლობა პიროვნებისათვის მორალური ზიანის მიყენების გამო, ვეფქრობ, აღნიშნა ორატორმა, რომ ჩვენმა კავშირმა უნდა ითავოს ამ მიმართებით კანონიერების დაცვის მედროშეობა, ყოველ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება სამართალშეფარდებით ორგანიზაციათა საქმიანობას.

პროფესორმა გიორგი ტყეშელაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ იურისტთა კავშირის გამგეობა, მისი ხელმძღვანელი ბირთვი, დღევანდელ პირობებში ცდას არ აკლებდა იურისტთა შეკავშირების ორგანიზაციას, მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, კერძოდ, რესპუბლიკის საკოდიფიკაციო მოღვაწეობაში თავისი წვლილის შეტანას. ამ მიმართებით მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანად უნდა გაიზარდოს. კავშირის წევრები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებაში, რა დროსაც ადგილი აქვს კამათს, მოსაზრებათა შეჯერებას, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებას და სხვ. ორატორი შეჩერდა კოდექსის პროექტის პრობლემატიკურ საკითხებზე და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ძნელად გადასაწყვეტი პრობლემაა დარჩენს თუ არა მომავალში სასჯელის უმაღლესი ზომის — სიკვდილით; დასჯის ინსტიტუტი. გადასაწყვეტია აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის დანიშვნის, კონფისკაციის, აუცილებელი მოკვრიების საკითხი. ბ-ნმა გ. ტყეშელაძემ წინადადება დააყენა, რომ ამასთან დაკავშირებით ყურანაღმა „სამართალმა“ გამართოს დისკუსია. აგრეთვე მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებ, რომ დაწესდეს იურისტთა კავშირის საპატიო სიგელი აქტივისტებისათვის და რომ კავშირმა მოიპოვოს დარგობრივი პროფკავშირის ფუნქციები.



პროფესორი **რომან შენგელია** დეტალურად შეჩერდა ქვეყანაში იურიდიული სწავლების მდგომარეობაზე და ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქვა მრავალი მოსაზრება, რომელთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვნად მიიჩნია კავშირის როლი. კერძოდ, კავშირმა უნდა გააწვევოს რამდენად საჭიროა დღეს თუ მომავლისათვის, 60 ათასი იურისტის იმ სახით მომზადება, როგორც ახლა ხდება. სწავლების იმ სისტემის მიხედვით, რომელიც ახლა შემოდის, უნდა გაირკვეს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხი. დასადგენია კომერციული იურიდიული სასწავლებლების მიერ გამოშვებული კონტიგენტის სტატუსი, ანუ მათი სრულყოფილებიან სპეციალისტებად აღიარება. ბ-მა რ. შენგელიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ახლადამთავრებულ იურისტთა კადრების სახელმწიფო განაწილების ტრადიციის აღდგენა.

ბ-მა **სანდრო კავსაძემ** თავის გამოსვლაში განაცხადა რომ საქართველოში არსებობს ასეთი ინტელექტუალური დონის იურისტთა კავშირი, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვიყენებთ მის პოტენციალურ შესაძლებლობებს. დღევანდელ შეკრებას, თქვა ორატორმა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ განისაზღვროს იურისტთა როლი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, რომ იურისტთა ასეთი ძალების არსებობისას გარკვეული დისპროპორცია შეინიშნება, რამდენადაც იურიდიული რეფორმები ჩამორჩება ეკონომიკურ რეფორმებს. ვფიქრობ, განაცხადა ბ-მა ს. კავსაძემ, რომ ამ პროცესში ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანთა უფლებების სრულყოფას და მათი გარანტიების უზრუნველყოფას, ეს კი წარმოუდგენელია იურისტთა კორპორაციის ინტენსიური, ნაყოფიერი მუშაობის გარეშე.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ბ-მა **ალექსანდრე შუშანაშვილმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საწინდებო მოთხოვნათა სხვადასხვა მიმართულებით კავშირის ასე თუ ისე ნაყოფიერად მოღვაწეობის მიუხედავად, მისი წევრები მთლიანად ვერ ამყვანებენ თავიანთ შესაძლებლობებს და არსებით გავლენას ვერ ახდენენ კანონმომქმედებით საქმიანობაზე. ჩვენ რატომღაც უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ამ სფეროში უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობას, ვიდრე ეს საჭიროა. საქართველოს იურიდიულ აზროვნებას ისეთი ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა გააჩნია, რომ შეიძლება ქვეყნისათვის საჭირო კანონმდებლობა დამოუკიდებლად შეიქმნას, თუმცა გასათვალისწინებელია უცხოეთის პრაქტიკაც და რეკომენდაციებიც. კავშირის საქმიანობის მიზნად მიმაჩნია ის, რომ იურისტებს დიპლტანტებმა ხელიდან გავაცალაუროს სამართალმომქმედებითი სფერო. მრავალი პრაქტიკული საკითხი დგას ჩვენს წინაშე, მაგალითად, საქართველოს პირობებში გასარკვევია რა არის გენოციდი, ეთნიკური წმენდა თუ სხვა. მიმაჩნია, რომ ამ მიმართებით იურისტთა კავშირმა მტკიცე და დასაბუთებული თავისი სიტყვა უნდა თქვას. ორატორი შეეხო ერთ მეტად მტკივნეულ საკითხსაც. კერძოდ, უკვე 3-4 წელია რესპუბლიკაში თითქმის სრულიად აღარ შემოდის უცხოური იურიდიული ჟურნალები, სხვა პერიოდული გამოცემები. ის კი არა და, პრაქტიკოსებისათვის ხშირად რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებათა ვაცნობაც ხელმიუწვდომელია. ამიტომ, ჩვენმა გაერთიანებამ რეალურად და ენერგიულად უნდა იზრუნოს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

საინტერესოა იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის ბ-ნ **დავით უსუფაშვილის** გამოსვლა. ასოციაცია, თქვა მან, აერთიანებს 230 წევრს, რომელთაგან 40 ახალგაზრდა, ამჟამად უცხოეთში სტაჟირებაზე იმყოფება. ორატორმა განაცხადა, რომ ასოციაციისათვის მოხსნილია ფინანსური პრობლემები, რამდენადაც მათ აფინანსებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის უცხოეთისაც, იმ იურიდიული ხასიათის სამუშაოთა შესრულების საფასურად, რასაც მათი დაკვეთები მოიცავენ. დღეისათვის ცხოვრების ყველა სფეროში, და ცხადია, სამართალმომქმედებით და სამართალშეფარდების დარგში მაღალპროფესიონალიზმი გვესაჭიროება. ჩვენი აზრით, განაცხადა ორატორმა, სწორედ ამის მისაღწევად უნდა წარიპართოს იურისტთა კავშირის მომავალი საქმიანობა, რაშიც ჩვენი ასოციაცია მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს. დაბოლოს, მან მივრძალებით მიმართა აუდიტორიას და თქვა, რომ ამ დარბაზში იმყოფება ქართველ იურისტთა აღმზრდელების უმეტესობა და ღრმად სწამს, რომ მათ მიერ სტუდენტის შეფასება ადეკვატური იქნება სტუდენტის ცოდნისა და ამით პროფესიონალიზმი აუცილებლად გაიმარჯვებს, ხოლო პირადად ჩვენ, ახალგაზრდა იურისტები არ გადავუხვევთ ჩვენი მასწავლებლების ზნეობრივი გზიდან და ეს იქნება კადრების პროფესიონალიზმის ერთ-ერთი გარანტი.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ **იური ტაბუცაძის** გამოსვლა დაეთმო როგორც კავშირის ისე კომისიის საქმიანობის ობიექტურ კრიტიკას. კერძოდ, აღნიშნა, რომ კომისიამ ვერ შესძლო კავშირის ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებების დაძლევის საქმეში გამოეჩინა რაიმე ინიციატივა, ხოლო კავშირისა და მისი კომისიების მოღვაწეობის ნაკლოვანებები გაპირობებულია პერიოდის სიღრმისყოფილ მიზეზებით. მიმაჩნია, რომ ჩვენი კავშირი ადეკვატურად ასახავს და წარმოაჩენს ქართველ იურისტთა პოტენციალურ შესაძლებლობებს. აქ გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭირო არ არის უცხოელი იურისტების აქტიური გამოყენება ქარ-



თულ კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მიგვაჩნია რომ, ასეთი მოსაზრება გაუმართლებელია, რამდენადაც უცხოეთთან კონტაქტებს და ურთიერთ თანამშრომლობას მხოლოდ სიკვანძო აქვს. ზოგიერთი ორატორი თვლის, რომ ჩვენი კავშირი რამდენადმე აპოლიტიკურია და კავშირებით, დასძინა ორატორმა, მე ვიტყვი, რომ პირიქით, კავშირის იერსახე ერთგვარად პოლიტიზირებულია და ამოცანა სწორედ იმაშია, რომ თუ კი მას სურს ნამდვილ საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს, უცილობლად უნდა ჩამოიცილოს მან ეს იერი და მე ვიმდგინებ, რომ იგი ახლო მომავალში მართლაც აპოლიტიკური გავრთიანება იქნება.


ბ-მა ლადო ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ ადვოკატთა კორპორაცია თავის საქმიანობის პროცესში არა ერთ სირთულეს და წინააღმდეგობას აწყდება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დაცვის ინსტიტუტის სათანადო დონეზე ფუნქციონირებას. კოლეგიას პრინციპული დავა აქვს პროკურატურასთან, შს ორგანოებთან რიგ საკითხებთან დაკავშირებით. თუნდაც, მაგალითად, დღემდე ვერ გაირკვა როდის შეიძლება საქმეში ჩაებას სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი და სხვ. ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ადამიანის უფლების დაცვის პრობლემა, ხოლო ადვოკატურა, როგორც ამ კონსტიტუციური მოთხოვნის რეალიზაციის მექანიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ყოველმხრივ ცდილობს კანონის კვლავიველი პირნათლად შესარულოს თავისი მოვალეობანი. ადვოკატთა კორპორაცია საჭიროებს რეალურ მხარდაჭერას ადვოკატურის შესახებ კანონის დროულად მიღებაში და მიგვაჩნია, რომ იურისტთა კავშირი ამ მიმართებით აქტიურ პოზიციას დაიკავებს.

კავშირის გამგეობის პრეზიდენტის წევრმა ბ-მა ნოდარ ნებიერიძემ, სხვა საკითხებთან ერთად, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კავშირის ვალია იზრუნოს გარდაცვლილი ღვაწლმოსილი იურისტების სახელების უკვდავსაყოფად.

სარეგულიო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ წურჭუბია წარმოადგინა ანგარიში კავშირის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რაც ყრილობამ დაამტკიცა.

ყრილობის თავმჯდომარემ ბ-მა თედო ნინიძემ თავის გამოსვლაში არსებითად შეაჯამა ყრილობის მუშაობის შედეგები. მან აღნიშნა, რომ კავშირი ისეთ პერიოდსა და პირობებში შეიქმნა და მოუწია მას ფუნქციონირება, რომ სულაც არაა გასაკვირი თუ ორატორთა გამოსვლებში გამოიკვეთა პოლარული მოსაზრებები მისი მუშაობის შედეგიანობის შესახებ. კავშირის შექმნა იმ დროისათვის, როგორც საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რადგან საქართველოში 20-იანი წლების შემდეგ ასეთი საზოგადოებრივი გავრთიანება აღარ არსებობდა. აქ საყვედურის ტონით გაქვრდა სიტყვები იმის თაობაზე, რომ კავშირი ერთნაირად არ აქტიურობდა კანონშემოქმედებით სფეროში. პასუხად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს მთლად ასე არ არის, რადგან სწორედ რომ ჩვენი კავშირის წევრების აქტიური მონაწილეობის შედეგად იქმნება ის საკანონმდებლო მასა, რომლის მოწმენი ჩვენ ვართ. კავშირი პერიოდულად აწყობს კანონპროექტთა საჯარო თუ უწყებრივ განხილვებს. მიუხედავად ამისა სწორია მოკამათეთა მიმართები, რომ თვით კავშირი უნდა გამოდიოდეს კანონშემოქმედებით პროცესების ინიციატორად, რადგან თუ ეს ინიციატივა არ იქნა, მაშინ ბუნებრივია, რომ მოღვაწეობის ამ სფეროში ადვილს დაიკავებენ სხვები, არაპროფესიონალები. ამიტომაც ჩვენ, გარკვევით, მტკიცედ და შეუვალად უნდა მოვიპოვოთ ჩვენი ადგილი ამ საქმიანობაში. რაც შეეხება უცხოელ სპეციალისტთა ჩვენთან თანამშრომლობას, ისინი მონაწილეობენ მხოლოდ იმ საკითხების დამუშავებაში, რაშიც შესაბამისი ცოდნა, ინფორმაცია არ გვაქვს. მაგალითად, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის ცალკეული ინსტიტუტების შემუშავება მათი კონსულტაციების გარეშე შეუძლებელი იყო. უცხოელ სპეციალისტთა დახმარებით და ადვოკატთა კოლეგიის ძალისხმევით მუშავდება კანონი ადვოკატურის შესახებ. როცა უცხოელთა მეშვეობით გავცნობიერდით იმაში, რომ ადვოკატურის ყველაზე უკეთესი სკოლა და კანონი მის შესახებ ფრანგებს გააჩნიათ, გამოცდილების გასაზიარებლად ჩვენ მათთან დავამყარეთ საჭირო კონტაქტები. სამწუხაროდ, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენის საქმეში ვერ გამოვიყენეთ ასეთი ძალები. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ამით უგულვებელყოფა ხდება ადგილობრივი შესაძლებლობების. პირიქით, მაღალ შეფასებას იმსახურებენ ჩვენი სპეციალისტები და საზოგადოებრიობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქართველ იურისტთა გარეშე ქვეყანაში არანაირი საკანონმდებლო საქმიანობა არ და ვერ წარიმართება. ორატორი შეეხო იურიდიული ხასიათის ინფორმაციული ვაკუუმის საკითხს, გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ნაკლოვანების დაძლევაში უნდა დაეხმარათ კომერციული სტრუქტურები. განზრახულია და მუშაობა მიმდინარეობს სპეციალური ბიულეტენის დასაფუძნებლად, რომელშიც გამოქვეყნდება მნიშვნელოვანი ქართული ნორმატიული აქტები, რაც მიეწოდება პრაქტიკულ მუშაებს, ასეთი მასლით დანტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს. დაბოლოს ბ-მა თ. ნინიძემ ყრილობის მონაწილეებს მიმართა იმის თაობაზე, რომ კავშირის წევრების მიერ საჭიროა მეტი ძალისხმევის და ყურადღების გამოჩენა ქართული იურიდიული კურონალის „სამართლის“ მიმართ, იმ თვალ-





საზრისით, რომ შესაბამისად ამაღლდეს მისი ხარისხი — აკადემიური თუ სამართალმეფარდებითი პრაქტიკის განზოგადების დონე, უზრუნველყოფილი იქნას გამოცემის პერიოდულობა და ტირაჟის გასაღება.

ყრილობამ იურისტთა კავშირის გამგეობის, მისი პრეზიდიუმის საქმიანობა რწმუნების პერიოდში შეაფასა დამაკმაყოფილებლად. ღია კენჭისყრით კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად კვლავ აირჩია ბ-ნი ზურაბ რატიანი, კავშირის გამგეობა 35 პირის შემადგენლობით, ეთიკის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეებად — ბ-ნები იური ტაბუცაძე და ზურაბ წურჭუჭია, დამატყვია კავშირის განახლებული წესდება.

ყრილობამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომლის ტექსტი დამსწრეებს გააცნო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ალბერტ აბესაძემ.

## საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში II ყრილობას\*

საქართველოს იურისტთა კავშირი დაფუძნდა ე. წ. გარდაქმნის პერიოდში, როცა შეიქმნა ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებიდან აზროვნების განთავისუფლების შესაძლებლობის წინა პირობა. იურისტთა პროფესიული ინტერესების მიხედვით გაერთიანების იდეა ადრეც იკვლევდა გზას, მაგრამ მან რიგი მიზეზების გამო ვერ პოვა რეალიზაცია.

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა შორის, სადაც დაარსდა ასეთი კავშირი 9 აპრილის ტრაგედიის მწვავე დღეებში, პერსპექტიული ჩანაფიქრით, რომ მისი საქმიანობა წაადგებოდა ქვეყნის განახლების პროცესებს.

კავშირის დამფუძნებლებს ახსოვთ ყრილობაზე გამოთქმული მოწოდებები, რომ საზოგადოებრიობა იურისტებისაგან მოეღის და მოითხოვს არსებული პოლიტიკური რეჟიმის სიმანხინჯეთა წინააღმდეგ, ნამდვილი სამართლიანობის დამყარებისათვის ხმის ამოღებას. ამ მხრივ უპირანია გახსენება ბატონ მინდია უგრეხელიძის სიტყვების, რომ: „სანამ კავშირი ვაბედულად არ იკისრებს მაღალ და საბასუხისმგებლო მისიას — პატიოსნად აღიმალლოს ხმა კონკრეტული ადამიანის თუ მოქალაქის პატივისა და ღირსების დასაცავად, რომლებიც ამას საჭიროებენ, ცხადია... კიდევ დიდხანს ვერ დამკვიდრდება გულდამშვიდებული შრომისა და ყოფის საქმიანი ატმოსფერო. ამის უფლება თუნდაც იმიტომ აღარ გვაქვს, რომ გაუთავებელი დუღილი საზოგადოებრივი პროცესებისა, ისეთივე დაღუპვას გვიქადის, როგორც ხანგრძლივი მაღალი სიცხე თანგავს ყოველ ცოცხალ ორგანიზმს“. განვლილ პერიოდში სწორედ რომ ასეთი დუღილის გარემოში ვიცხოვრეთ, თუმცა პოეტისა არ იყოს, „გადარჩა ჭირთა მთმენი ქვეყანა“. ახლა, როცა თანდათანობით სიმშვიდე მყარდება, უკვე შეიძლება პირუთვნელად შეფასდეს კავშირის მოღვაწეობა — ანუ შეძლო თუ არა მან წესდებით დასახული მიზნების რეალიზაცია. იმავე დროს უნდა აღინიშნოს თუ რა სირთულეები ახლდა მის საქმიანობას.

უწინარესად მუშაობა წარიმართა კავშირის ორგანიზაციული სრულყოფისათვის, რეგიონებში პირველადი ორგანიზაციების შესაქმნელად. ჩამოყალიბდა პროფესიული სექციები და განისაზღვრა მათი ამოცანები. აგრეთვე, ამ მხრივ აღსა-

\* იბეჭდება შემოკლებით.



ნიშნავია მთავრობისა და სამართალდამცავი დაწესებულებების მიერ გაღებული ერთდროული დახმარება.

კავშირმა და მისმა გამგეობამ იმ პერიოდისათვის მოქმედი საარჩევნო კანონის შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ასარჩევად იურისტთა კავშირიდან წამოაყენა იურიდიული მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეები, იურიდიული დარგის გამოცდილი, ავტორიტეტული მუშაკები. მაგრამ არჩევნები არ შედგა, რადგან იგი ჩაიშალა ყოფილი სახელმწიფოებრივი სისტემის და მისი მექანიზმის საწყისი რღვევის კვალობაზე. შემდგომ, მიუხედავად კავშირის დაჟინებით ცდისა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შენარჩუნებოდათ კანდიდატთა წამოყენების უფლება, გაუმართლებელ დათმობათა გამო, მათ ასეთი უფლება წაერთვათ. ამრიგად, ახლად არჩეულ ხელისუფლების ორგანოში, გაჩნდა სათანადო იურიდიული აზროვნების ვაკუუმი.


ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა წესების ცხოვრებაში შემოჭრამ შეხება პოვა სამართლებრივი სწავლების სფეროსთან. თავი იჩინა, იურიდიული განათლების კომერციული კერების ყოველგვარი გააზრების გარეშე გამრავლების ტენდენციამ, რასაც წინ აღუდგენენ კავშირი და სამეცნიერო დაწესებულებანი. ჩატარდა გამგეობის სპეციალური პლენარული სხდომა, რომელმაც მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და დასაბუთებული წინადადებებით შევიდა მაშინდელი ხელისუფლების წინაშე. სამწუხაროდ, ამ წინადადებებმა ვერ პოვეს მხარდაჭერა. პირიქით, შემდგომ პერიოდში ამ ტენდენციამ სულ უფრო დამახინჯებული სახე მიიღო, არა მარტო იურიდიული სწავლების, არამედ მთლიანად განათლების სისტემაში. ბოლო ხანს ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოიხატა ანალოგიური პოზიცია, მაგრამ სამწუხაროდ, არც ახლა მოპყლია მას შედეგი.

იურისტთა კავშირი, წმინდა გავებით არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ პოლიტიკის მიღმა ყოფნა მას არ მართებს. ამის კვალობაზე რესპუბლიკის ბოლო პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა საკითხი და მოვლენა, რომლის მიმართ ამა თუ იმ ფორმით კავშირს საჯაროდ არ გამოეთქვას თავისი პრინციპული დამოკიდებულება.

სწორედ იურისტთა კავშირის წევრებს მიენდო 9 აპრილის მოვლენების გამოძიება. უნდა ითქვას, რომ საამისოდ შექმნილმა კომისიამ წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას, ნათელი მოჰფინა საუკუნის დანაშაულს და პროფესიულად ამხილა, ე. წ. საკავშირო სამხედრო პროკურატურის მიერ შეითხზნილი სიყალბენი 9 აპრილთან დაკავშირებით, რამაც სათანადო ასახვა პოვა პრესასა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა დოკუმენტებში. 1991 წლის სექტემბერ, დეკემბერ-იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით, სიტუაციის განმუხტვის მიზნით კავშირი არა ერთი მოწოდებით გამოვიდა.

როცა ამ პოლიტიკურ აქციათა შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა დადგა, საჭირო შეიქნა ახალი საარჩევნო კანონის შემუშავება, რაშიც კავშირმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო, რათა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში ადგილი არ ჰქონოდა თვითშემოქმედებას, არაპროფესიულობას. კავშირის გამგეობამ გაფართოებულ პლენუმზე განიხილა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო კანონის პროექტი, გამოთქვა შენიშვნები. მისი წინადადებით შეიქმნა პროექტის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია, რომელშიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ კავშირის წევრები, მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები. კომისიის საქმიანობა არცთუ სრული ურთიერთ გავებით წარიმართებოდა, ამიტომ, ახალი კანონიც ნაკლოვანებათაგან დაზღვეული არ აღმოჩნდა.





კავშირის ერთ-ერთი საწესდებო ამოცანაა უცხო ქვეყნების იურიდიულ საზოგადოებებთან კონტაქტების დამყარება. ამ მიმართულებით პერსპექტიული საქმიანობისათვის ადრევე დაისახა გზები, გეგმები და ამ მხრივ ერთგვარ წარმატებებსაც აქვს ადგილი. საანგარიშო პერიოდში უცხოელ იურისტთა არა ერთმა დელეგაციამ მოინახულა საქართველო. 1990 წელს ჩამოვიდა მოსკოვში გამართულ მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა დიდი ჯგუფი, რომელმაც ურთიერთობათა დასამყარებლად საგულისხმო წინადადებები შემოგვთავაზა. 1991 წელს თბილისს ეწვია აშშ-ს ტუხასის შტატის იურისტთა ასოციაციის დელეგაცია, რომელთანაც დაიდო ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება. იმავე წელს, მათი მოწვევით ჩვენგან გაემგზავრა იურისტთა ჯგუფი სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, თემაზე — „სამართალი ცვალებად სამყაროში“, სადაც დელეგაციის წევრებმა ღირსეულად გაართვეს თავი კონფერენციის მონაწილეთა მოვალეობას. ბ-ნ მინდია უგრეხელიძის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლა მოხდა და ურთიერთობა დამყარდა ინგლისის სამეფო იურიდიულ საზოგადოებასთან. მიღწეულია კავშირი ევროპის იურიდიულ საზოგადოებათა გაერთიანებასთან, რომლის ცენტრია რომი. გაერთიანება გეგმავს თავის ხარჯით საქართველოდან მიიღოს ახალგაზრდა იურისტების ჯგუფი იურისტ-მენეჯერებად მოსამზადებლად.


ჩვენი კავშირი მჭიდროდ ურთიერთობაშია იურისტთა მსოფლიო ასოციაციასთან, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია. ამ ასოციაციასთან ერთობლივად განსაზღვრულია თბილისში, მომავალი წლის ოქტომბერში გაიმართოს იურისტთა მსოფლიო კონგრესი თანამედროვეობის აქტუალურ სამართლებრივ პრობლემებზე. ამ ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციის მიზნით თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა ასოციაციის ხელმძღვანელობა, რომელიც შეხვდა სახელმწიფო მეთაურს ბ-ნ ელუარდ შევარდნაძეს, დინტერესებულ ორგანიზაციებს და თანამდებობის პირებს. ამჟამად კავშირის უახლესი ამოცანაა ამ მეტად პრესტიჟული ღონისძიების სათანადო ღონეზე ჩატარება.

როცა აფხაზმა სეპარატისტებმა უცხო თუ შინა რეაქციული ძალების მონაწილეობით ბარბაროსული ომი გააჩაღეს, კავშირის გამგეობამ სპეციალურად იმსჯელა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და საზღვარგარეთის იურიდიულ საზოგადოებებს მიმართვები გაუგზავნა თხოვნით — ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინათ დემოკრატიული ქვეყნებისათვის ამ მოვლენების თაობაზე.

ამრიგად, ამ უბანზე საქმიანობა პერსპექტივას იძლევა იმისა, რომ მომავალში გამოინახოს შესაძლებლობები, რათა ფართოდ დაინერგოს კავშირის წევრების მივლინებები სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე და სსვ.

საანგარიშო პერიოდში თავისი ინიციატივით კავშირმა მთავრობის თუ სამართალდამოყენებითი სტრუქტურების წინაშე არაერთი საკითხი დააყენა საკონსტიტუციო მშენებლობის სფეროდან, აგრეთვე მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, რაც შესაბამისად გაზიარებულ იქნა. ამ მხრივ კავშირს მაინც მეტი პრინციპულობა მართებს, რამდენადაც მოქალაქეები მიმართავენ მას კანონიერ მოთხოვნებში დახმარების გასაწევად, ადამიანები კი ნამდვილად საჭიროებენ დარღვეული უფლებების აღდგენას.

კავშირის გამგეობა მჭიდროდ თანამშრომლობს უზენაეს სასამართლოსთან, იუსტიციის სამინისტროსთან, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სამართლის ინსტიტუტთან კონფერენციების, სემინარების ჩატარების თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებისას. ამასთან, ასეთი ღონისძიებების ჩატარებისას სასურველია ზოგიერთი ორგანიზაციული თუ მეთოდური საკითხის წინასწარი გააზრება მეტი შედეგიანობისათვის.





საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ცხოვრებაში მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს ფორმირების მიზნით, შემოქმედებით, თუ აკადემიური ხასიათის სხვა გაერთიანებებთან ურთიერთობებს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ორი წლის განმავლობაში კავშირმა რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი შეკრება-შეხვედრა მოაწყო. მაგალითად, ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, ჩატარდა გამგეობის სპეციალური პლენუმი, სადაც შესაბამისი რეზოლუციის მიღებით, საკმაოდ მწვავედ იქნა განხილული რესპუბლიკაში ადამიანის ღირსების და უფლებათა დაცვის მდგომარეობის საკითხი, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, სამართლის ინსტიტუტთან, დემოკრატიურისტთა ასოციაციასთან ერთად მოეწყო გამოჩენილი იურისტის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, ქ-ნ თინათინ წერეთლის დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავი საიუბილეო შეხვედრა. არსებითად, იგი სულიერების, ზნეობრიობის ამალღების ნიშნით და ახალგაზრდობის ამ ტალღაზე აღზრდის სურვილის გამოხატულებად იქცა. უპირაინა ასეთი ღონისძიებების მომავალშიც ჩატარება, რადგან საზოგადოებაში არსებობს ამის შინაგანი მოთხოვნილება.


აღსანიშნავია, რომ გამგეობამ, კავშირის დაარსების პირველ პერიოდში დააწესა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის დიდი განმანათლებლების — თინათინ წერეთლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ალექსანდრე ვაჩიეშვილის სახელობითი სტიპენდიები. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში, ობიექტური მიზეზების გამო, წახალისებების ეს პრაქტიკა შეწყდა. იგი კვლავ უნდა აღდგეს სხვა გამოჩენილი მეცნიერების სახელთა უკვდავსაყოფად. უნდა დაწესდეს აგრეთვე პრემიები, წიგნები იურისტთა კავშირში წარმატებითი საქმიანობის აღსანიშნავად. საანგარიშო პერიოდში არა ერთი კოლეგა აღესრულა. კავშირს არცერთი მათგანის ხსოვნა არ დაუტოვებია აღნიშვნის გარეშე და მათი მემკვიდრეობა შემოუნახა შთამომავლობას.

რეზონანსი ჰქონდა მწერალთა კავშირში იურისტებისა და მწერლების შთამბეჭდავ შეხვედრას დევიზით — „საუბრობენ მწერლები და იურისტები“. ეს ღონისძიება ფართოდ ასახა ლიტერატურულმა გაზეთმა, შეხვედრის მთლიანი შინაარსი გადაიცა ტელევიზიით და რადიოთი. ამრიგად, ასეთი ღონისძიებები საკმარისადაა ჩატარებული, და რაც მთავარია, აკადემიურ ღონეზე.

ცნობილია თუ რა მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ სფეროში მეცნიერულ გამოცემებს, პუბლიკაციებს, მონოგრაფიებს, ბროშურებს, პრესას. სამწუხაროდ, სამეცნიერო გამოცემებზე კავშირს ხელი არ მიუწვდება. რაც შეეხება პერიოდულ გამოცემებს — ჟურნალსა და გაზეთს, მათ ზრუნვა არ დაკლებიათ. საკმაო სიმწელებებთან იყო დაკავშირებული საკუთარი გაზეთის გამოცემის უფლების მოპოვება, მაგრამ საწადელს მაინც მივაღწიეთ და 1990 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ დღეს, იშვა ილიას სულით და გონით შთაბერილი გაზეთი „ცხოვრება და კანონი“. მისი დანიშნულება უნდა ყოფილიყო სამართლებრივი ფაქტების ოპერატიული ასახვა, იურიდიული პრაქტიკის გაშუქება, სამართლებრივი კულტურის დანერგვა. სამწუხაროდ, გაზეთი აცდა პირდაპირ მიზანს და დამოუკიდებელი ორგანო გახდა. ჟურნალ „სამართალში“ აკადემიური ღონე საგრძნობლად აიწია, მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ბ-ნი თედო ნინიძე. ამჟამად რედაქცია ყოველმხრივ ცდილობს შეუნარჩუნოს მას აღიარება, თუმცა საჭიროა იურიდიული მრევლის მეტი ყურადღება და მრავალმხრივი ძალისხმევა რომ მან არ დაკარგოს თავისი რენომე.

წესდების შესაბამისად, კავშირი მოწოდებულია ილვაწოს ქვეყანაში კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. მიუხედავად განხორციელებული





დონისძიებებისა, დღემდე დაუძლეველ რეალობად რჩება, უკვე ჩვეულებაში გადაზრდილი, კანონიერების საყოველთაო უგულებელყოფა, ხელისუფლების თუ მმართველობის სტრუქტურებში მოკალათებულ მოხელეთა წრეგადსული თვითნებობა, კორუფცია, მოქალაქეთა უფლებების შეუწყნარებელი დარღვევები, დამნაშავეობა და სხვა ნეგატიური მოვლენები. არც თუ იშვიათია საგამოძიებო პრაქტიკაში მატერიალური და საპროცესო ნორმებიდან უხეში გადახვევის, საქმეთა საგამოძიებო და სასამართლო განხილვის გაჭინაურების ფაქტები, სამოქალაქო დავების არაკანონიერი გადაწყვეტის მაგალითები თუ სხვ. ყოველივე ეს მეტად აწუხებს მოსახლეობას, ბაღებს მათში კანონისადმი უნდობლობას, სამართლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. კავშირის განახლებულმა გამგეობამ ეტაპობრივად უნდა შეისწავლოს და განიხილოს კანონიერების და მართლწესრიგის, სამართალშემოქმედების, სასამართლო რეფორმის, იურიდიული განათლების აქტუალური პრობლემები. განვიღო პერიოდში კავშირის სხვადასხვა დროს ჰქონდა მსჯელობა აღნიშნულ პრობლემებზე. ასეთი პრაქტიკა მხოლოდ ხელს შეუწყობს იურისპრუდენციის ავტორიტეტის ამაღლებას.

მეტი აქტიურობაა საჭირო ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისათვის. ქვეყანას უკვე გააჩნია საამისო ბაზა — კონსტიტუცია, რამაც უნდა გააადვილოს ამ მიმართებით შემოქმედებითი მოღვაწეობა. ფართო გაგებით, დიდად მნიშვნელოვანია იურიდიული მექანიზმის სფეროში კადრებთან მუშაობის საკითხი. ამ ჭრილში ერთობ პასიურია კავშირის საქმიანობა.

აღსანიშნავია ახალგაზრდა იურისტების ასოციაციის აქტიურობა სამართალშემოქმედებით სფეროში. იმედია, ეს გაერთიანება მეტ ურთიერთობას იქონიებს უფროს კოლეგასთან, რაც საქმეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება.

რესპუბლიკაში მოღვაწეობს დემოკრატი იურისტთა ასოციაცია, რომლის პროფესიული და ავტორიტეტული ხმა მნიშვნელოვანია სამართლის სისტემაში.

ბატონებო! განსაკუთრებით ხაზგასასმელია რესპუბლიკის კონსტიტუციის შექმნის საქმეში იურისტთა კავშირის წევრების მოღვაწეობა, რომელთა მხრებზეც ძირითადად გადაიარა ამ ისტორიული მისიის შესრულებამ.

ყრილობას უნდა მოხსენდეს, რომ დასმულია საკითხი მოსკოვში საქართველოს იურისტთა კავშირის განყოფილების შექმნის შესახებ, რომლის როლი და მნიშვნელობა განისაზღვრება კავშირის წესდებით და განყოფილების დებულებით. ასეთი განყოფილების დაფუძნება მხოლოდ სარგებლობის მომტანი იქნება. კავშირის წესდებაში გამგეობის მიერ შეტანილია რიგი ცვლილებებისა, იგი გამარტივებულია და მასში ახლებურად არის ჩამოყალიბებული კავშირის მიზნები და ამოცანები, სტრუქტურული დანაყოფების უფლება-მოვალეობანი, მთლიანად კავშირის ორგანიზაციული საქმიანობის ფორმები და მეთოდები.

კერძოდ, ნაცვლად 5 წლის ვადისა, გათვალისწინებულია ყრილობის 3 წლიწადში მოწვევა. ეს მომენტი ხელს შეუწყობს კავშირის მობილურობას, მოქმედების ოპერატიულობას, საქმიანობის დემოკრატიულ საფუძველზე წარმართვას. წესდების 44-ე მუხლი ითვალისწინებს გამგეობის პლენუმის მნიშვნელოვანი უფლების გაზრდას. მაგალითად, გამგეობის და პრეზიდიუმის არჩევიდან, ერთი-ორი წლის ვადის გასვლის შემდეგ, გამგეობის პლენუმი განიხილავს საკითხს თავისი წევრების პრაქტიკული საქმიანობის შედეგების შესახებ და წყვეტს მათი გადარჩევის საკითხს, ვინც კავშირის საქმიანობაში თავი ვერ ან არ გამოიჩინა.

კავშირის მოღვაწეობის ერთ დადებით მომენტად უნდა აღინიშნოს, შესაძლებლობების ფარგლებში, მისი წევრებისთვის მცირეოდენი მატერიალური დახმარებების გაღება.



ასეთია ძირითადად იურისტთა | ყრილობის მოწვევიდან დღემდე კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული მომენტები.

გაანდა თუ არა კავშირის მოღვაწეობას ამ პერიოდში ნაკლოვანებანი? უსათუოდ გაანდა, რომელთა საერთო სურათი ასეთია: კავშირის ხელმძღვანელობამ — გამგეობამ, პრეზიდიუმმა, სარევიზიო და ეთიკის კომისიებმა, სექციებმა — ვერ სრულყვეს გაერთიანების სისხლხორცეული მოღვაწეობა, ვერ მოხერხდა ყველა რეგიონში პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ხოლო სადაც ჩამოყალიბდა, სათანადოდ ვერ გაიშალა საქმიანობა.


კავშირი ჯერჯერობით ვერ იქცა რესპუბლიკის იურისტთა სოციალური საჭიროებების ქმედით ქომავად და ხელშემწყობ კორპორაციად. სათანადოდ ვერ ჩამოყალიბდა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბოლო ხანებში საქმიანობა არ მიმდინარეობს გეგმიურად, ზოგიერთი საჭირო და კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი რჩება და სხვ.

აღნიშნულ ღონისძიებათა გარდა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მიმდინარე ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც ძირითადად მდგომარეობდა უწყებებთან, დაწესებულებებთან, საინფორმაციო ორგანოებთან, მონათესავე გაერთიანებებთან ურთიერთობების დამყარებასა და თანამშრომლობაში.

დღეგატთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, რომელიც აისახა ყრილობის რეზოლუციაში, ხელს შეუწყობს კავშირის ახლად არჩეული ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის მკვეთრად გარდაქმნას, რაც უცილობლად განაპირობებს ამ გაერთიანების ავტორიტეტის ამაღლებას.

*[Handwritten signature]*





# საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო

საქართველოს სახალი კონსტიტუციის ბაზაზე 1996 წლის 31 იანვარს მიღებული კანონით „საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ“ და 1996 წლის 21 მარტის კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ ფაქტობრივად დასრულდა ნორმატიული ბაზის შექმნა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რომელსაც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. საქართველოს სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მან უნდა უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა, განუხრელად დაიცვას კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის უფლებების უფლებანი და თავისუფლებანი.

საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინა სათავეს იღებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც პირველად დაკანონდა ხელისუფლების დანაწილების იდეა, შემდგომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთგაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმი დამკვიდრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, კონსტიტუციური ზედამხედველობის ფუნქციას გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, თურქეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ახორციელებენ სპეციალური კონსტიტუციური სასამართლოები, საფრანგეთში, ამ ფუნქციას ასრულებს საკონსტიტუციო საბჭო, ხოლო აშშ, მექსიკაში, დანიაში, იაპონიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში – უზენაესი სასამართლოები. სახელწოდებაში განსხვავებათა მიუხედავად, ეს ორგანოები ყველგან აღიარებულია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელ უმაღლეს არბიტრად, რომელთა მეშვეობითაც წყდება ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი შექმნისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესი. დაკანონდა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპები, როგორცაა მუშაობაში კანონიერების დაცვა, კოლეგიალობა, საქვეყნობა, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, კონსტიტუციური სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა. გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი სპეციფიკური ხასიათის მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, ერთდროულად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურასთან.

კონსტიტუციის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა ცხრა წევრით განისაზღვრა, რომელთა უფლებამოსილების ვადა ათი წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად აირჩევა და დაინიშნება 35 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. პროფესიულ გამოცდილებასთან, ერთად, სასამართლოს წევრების კანდიდატურების შერჩევისას მხედველობაში მიიღება მასზე საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკურ ძალთა განლაგება პარლამენტში, საპარლამენტო კომიტეტებში კანდიდატურების განხილვისას მიღებული დასკვნე-



ბი; სასამართლოს ცხრა წევრიდან სამი ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, რასაც პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება. სამი წევრი არჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეზუთედით. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, კანონის თანახმად, მისი თავმჯდომარე საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს დაასახელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე, სადაც კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც მიიღებს პლენუმის დამსწრე წევრთა ხმათა ორ მესამედს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევის შერეული წესი გავლენას არ ახდენს მათ უფლებამოსილებაზე. ეს იმითაც დასტურდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრი თავისი შემადგენლობიდან არჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს, მის ორ მოადგილეს და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს. კანონი კრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობას იმ პირისათვის, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნისა და არჩევის ზემოაღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა თანაბრად იქნას წარმოდგენილი ამ ორგანოში როგორც საკანონმდებლო, ისე პრეზიდენტისა და სასამართლო ხელისუფლების ინტერესები. ეს გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ერთი რომელიმე თანამდებობის პირის ან ორგანოსადმი ანგარიშვალდებულებას, რაც მათ საშუალებას აძლევს სრულად განახორციელონ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფუნქციები. სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები, დაიცვას წევრისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება. სასამართლო დეპოლიტიზირებული ორგანოა, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თავისუფლებიან რომელიმე პოლიტიკური პარტიისადმი ერთგულებისაგან. რაც შეეხება პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრის არჩევას, აქ მხედველობაშია მისაღები როგორც პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, ისე მის გარეთ, ვინაიდან ამ ორგანოს ევალება გამოხატოს პარლამენტს მიღმა დარჩენილი განსხვავებული საზოგადოებრივი ძალების ინტერესებიც.

იციან, რომ სახელმწიფოს ყოველი ორგანოს არსი მის ფუნქციებში ვლინდება. თავისი უფლებამოსილებით კონსტიტუციური სასამართლო არსებითად განსხვავდება მოქმედი მართლმსაჯულების ორგანოებისაგან. მას არა აქვს მეორე ინსტანცია და არ იცნობს მსაჯულთა ინსტიტუტს. მისი საქმიანობის პროცედურა მოწესრიგებულია არა მოქმედი სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, არამედ პარლამენტის მიერ სპეციალურად მიღებული კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. მის ფუნქციებში შედის საქართველოს კანონების, პრეზიდენტის აქტების და ყველა დონის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარკვევა, დაგები სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის თაობაზე, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება, საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის გარკვევა და სხვ.

კანონით განისაზღვრა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურაც. აღნიშნული ორგანო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში შედის სასამართლოს ცხრავე წევრი. პლენუმს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს ოთხი წევრით განისაზღვრა. კო-



ლეგის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. კოლეგიის წევრებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს აღნიშნული სასამართლოს პლენუმი. კანონის თანახმად, კოლეგიის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან ათი დღის ვადაში.

საკონსტიტუციო სასამართლო მის კომპეტენციაში შემაჯავლი დავების განხილვას იწყებს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ კანონით განსაზღვრული სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე. საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუმცა სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს დახურულ სხდომაზეც. კანონის თანახმად სხდომაზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი, თუ ის არ არის მოწმე. რაც შეეხება სასამართლოს სხდომაზე რადიო, ტელე, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების გაკეთებას, იგი დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილველი სასამართლოს თანხმობით.

საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ ამ საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილე მოსამართლეებს. თუ რომელიმე მოსამართლე შეიცვლება, კანონის თანახმად საქმის განხილვა თავიდან დაიწყება.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. სხდომა ტარდება ზეპირად. სასამართლო ვალდებულია კანონით დადგენილი წესით მოისმინოს სამართალწარმოების მონაწილეთა განმარტებები და სიტყვები, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა ჩვენებები, გამოაქვეყნოს საქმეში არსებული და პროცესის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებანი.


სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სათათბირო ოთახში. საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. გადაწყვეტილების მიღებისას მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც გადმოიცემა წერილობითი ფორმით. კანონის თანახმად, სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება პრესაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საერთო სასამართლოსთან ურთიერთობაც. მაგალითად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნება კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი ვალდებულია შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

საყურადღებოა კანონმდებლის მითითება, რომ ყოველგვარი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების გაუქმებას. იგი გამოიწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.)

კანონმდებლობით დეტალურად არის მოწესრიგებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურა. სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით საკითხის კოლექტიური





განხილვის შედეგად. კანონის თანახმად თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მასშტაბის მქონე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ საქმის განხილვაში.

კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ დეტალურად არის ერომანეთისაგან გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, სასამართლოს მდივნისა და სხვა სტრუქტურული ორგანოების ფუნქციები. სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობის ხელმძღვანელობისა და საქმიანობის წარმართვაში გაზრდილი უფლებამოსილებები აკისრია სასამართლოს თავმჯდომარეს. „საკონსტიტუციო სამართალწამოების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის თანახმად სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია არჩევიდან 15 დღის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, რომელიც დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ ღია კენჭისყრის დროს მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ ექვსი წევრი. მას ევალება აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისათვის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და სასამართლოს მდივნის კანდიდატურების წარდგენა, სასამართლო აპარატის ხელმძღვანელობა, სასამართლოს საბიუჯეტო ასიგნებების განკარგვა და სხვ.

კანონმდებელი ბუნებრივია გვერდს ვერ აუვლიდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების საკითხს. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა კანონის თანახმად არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმის განხილვის ვადას, არა უმეტეს 30 დღისა, აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა უნდა დამთავრდეს მაქსიმუმ ორი თვის ვადაში. სასამართლოს დასკვნას ხელს აწერს განხილვაში მონაწილე სასამართლოს ყველა წევრი. სასამართლოს დასკვნაზე ხელმოწერის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას ან დასკვნას აცხადებს სხდომის დარბაზში საქართველოს სახელით.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, იგი საქმეს არსებითად განიხილავს პლენუმის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს სასამართლოს თავმჯდომარე. პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საქმე, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 6 წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია საქმეს არსებითად განიხილავს კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

კოლეგია უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას კოლეგიის 4 წევრიდან ესწრება სულ ცოტა 3 წევრი. რაც შეეხება კოლეგიის შემადგენლობას, მას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს აღნიშნული სასამართლოს პლენუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის ძალით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით



ორგანოში ქვეყნდება შვიდი დღის ვადაში. დაინტერესებული მხარეების გარდა გადაწყვეტილებებისა და დასკვნების პირები აუცილებლად ეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა საპატიო და პასუხსაგები თანამდებობაა, რომელიც მოითხოვს მათი დაცვის სამართლებრივი და ორგანიზებული გარანტიების არსებობას. საქართველოს კონსტიტუციის ძალით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. კანონი კრძალავს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, დაკავებას ან დაპატიმრებას, აგრეთვე მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირად გაჩხრეკვას საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. კანონმდებელი აქედან გამონაკლისს აკეთებს დანაშაულზე წასწრების დროს, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს საკონსტიტუციო სასამართლოს. მასზე თანხმობის არმიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი ექვემდებარება დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

კანონი ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანოს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეასრულონ საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტასთან და აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს უფლება აქვთ ყველა საჭირო ორგანოდან გამოითხოვონ ინფორმაციები, აგრეთვე რეგლამენტის შესაბამისად მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოების შესასრულებლად.

კანონით განისაზღვრა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ფორმებიც. ესაა გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების საკითხს წყვეტს წერილობითი განჩინებით.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხს სასამართლო გადაწყვეტს წერილობითი დასკვნის ფორმით.

კანონის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საკანონმდებლო წესით ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტისა და კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენა. სასამართლოს რეგლამენტი, კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს თავისი არჩევიდან 15 დღის ვადაში. რეგლამენტი დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ ღია კენჭისყრის დროს სასამართლოს ცხრა წევრიდან მას მხარს დაუჭერს არანაკლებ ექვსი წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკულად ამოქმედებამდე უნდა განისაზღვროს გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც.

ჩიმიხათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი საქმიანობით შესძლოს ქვეყანაში მაღალი ზნეობრივ-სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება, დიდი მნიშვნელობა ექნება უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მისი სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ასპექტის საკანონმდებლო მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით სათანადო კორექტივების შეტანა.



მიზანშეწონილად გვეჩვენება კანონში „საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ“. გაუმართლებლად გვეჩვენება ცხრა წევრიანი საკონსტიტუციური სასამართლოს რთული სტრუქტურა, მასში პლენუმისა და კოლეგიების არსებობა, რაც ჩვენის აზრით, ბიუროკრატიულს გახდის აღნიშნული ორგანოს საქმიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოს კანონიერების ერთ-ერთ რეალურ გარანტიად გადაქცევას ხელს შეუშლის სასამართლოს უშუალო ინიციატივით კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმატიული აქტების შემოწმების დაუშვებლობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-11 მუხლი, რომლის ძალითაც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, როცა მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს ამ აქტების მხოლოდ რომელიმე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძალად ავტორიტეტს არ ესადაგება საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ კანონის მე-12 მუხლი, რომლის მიხედვითაც მისი თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ წარუდგინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარლამენტს, და უზენაეს სასამართლოს ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონების შესახებ. უფრო მართებული იქნება თუ ამას იგი გააკეთებს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ან პარლამენტის მოთხოვნით.)

შესამცირებელია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადები, რაც ქმნის საფრთხეს ამ ორგანოს ბიუროკრატიულ უწყებად გადაქცევისათვის.)

კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდა როგორც კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების შეტანისათვის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებისა და გადაწყვეტილების ასლების ხელმეორედ გაცემისას.

კანონმდებლის მიერ კატეგორიული ფორმით არის აღნიშნული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს არც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების, არც ბაჟის გაზრდის და არც მისი შემცირების უფლება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის ძალით საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე აღიძვრება მას შემდეგ, როცა შევა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეზუთედის, სასამართლოს, სახალხო დამცველის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წარმომადგენლებისა და კონსტიტუციით მითითებულ შემთხვევაში მოქალაქეთა სარჩელები, გაუგებარი ხდება ვის ვახდენებთ ამ ბაჟს, ან როგორ განვსაზღვროთ ბაჟის ოდენობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და რიგითი მოქალაქისათვის. ეს ძალზე დელიკატური საკითხია, რაც კანონმდებლობით დაზუსტებას და ოპერატიულად გადაჭრას საჭიროებს. უფრო მართებულად გვეჩვენება, რათა არ იყოს დაწესებული ბაჟი საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის.

აღნიშნულის მიუხედავად, თანამედროვე სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა იმის უტყუარი დასტურია, რომ დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველო გახდა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ღირსეული მონაწილე, რომელიც კანონის უზენაესობის დამკვიდრების ბაზაზე, რეალურად უზრუნველყოფს ადამიანის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელად შესრულებას.)



არჩილ კაკანაძე

# საზოგადოება

(რამდენიმე მოსაზრება)

**საზოგადოება** — ეს არის საერთო ტრადიციით (ეკონომიკური და სულიერი კულტურა, ენა, მორალი) გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა. საზოგადოება წარმოიქმნება ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ეკონომიკური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოება ადამიანთა პიროვნებათა-შორისი ურთიერთობების განვითარების უმაღლესი საფეხურია და ცვლის პიროვნების სოციალურ მნიშვნელობას. იგულისხმება პიროვნების სოციალური როლის განცალკევება მისი პროფესიისაგან. მარტივი მაგალითი, მიწათმოქმედი და მჭედელი აკმაყოფილებენ ერთმანეთის მოთხოვნილებას საკუთარი პროდუქციით. ასეთ შემთხვევაში მოცემული საზოგადოების წევრთა საზოგადოებრივი როლი და პროფესია თანხვედრა ერთმანეთს. შემდეგ, მიწათმოქმედი სთავაზობს მჭედელს, დამატებითი ანაზღაურების ფასად, მიხედოს წესრიგს მათ საცხოვრებელ მიდამოში, ვიდრე მიწათმოქმედი იქნება ველზე. მას შემდეგ, რაც მჭედელი დათანხმდება, მისი საზოგადოებრივი როლი გამოეყოფა პროფესიას: პროფესიით მჭედელია, ხოლო მისი საზოგადოებრივი როლი არის დამცველი. შემდეგ, მჭედელი სთავაზობს თავის მოწაფეს, მიწათმოქმედისაგან მიღებული დამატებითი ანაზღაურების ნაწილის ფასად, მიხედოს წესრიგს. ამ შემთხვევაში მჭედელი ასრულებს გადასახადების გადამხდელთა სახსრების განმანაწილებლის ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების როლს. მოწაფე დათანხმდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ირკვევა, რომ ახალი საქმე მთლიანად აკმაყოფილებს მოწაფის ეკონომიკურ და სულიერ მოთხოვნებს. ის ანებებს თავს მჭედელთან მუშაობას და მთლიანად გადაერთვება ახალ საქმიანობაზე. ამრიგად, მისი საზოგადოებრივი როლი — დამცველი — თანხვედრა მის პროფესიას.

საზოგადოებაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საზოგადოებრივი როლი. მათ შორის არიან ისეთები, სადაც საზოგადოებრივი როლი თანხვედრა პროფესიას, მაგალითად, პოლიციელი — დამცველი, პროფესიონალი სამხედრო — დამცველი, ქურდი — ბოროტმოქმედი (ბოროტი) და სხვ. საზოგადოების არსებობის და განვითარების პროცესში ზოგიერთი პროფესია შეიძლება დაემთხვეს საზოგადოებრივ როლს ან შეიძლება წარმოიქმნას ისეთი საზოგადოებრივი როლები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი საზოგადოების განვითარების სხვა სტადიებისათვის. მაგალითად, შიმშილობის დროს პურის მცხოვრების პროფესია, ქალაქებში, თანხვედრა მის საზოგადოებრივ როლს — მარჩენალი; დიდი კატაკლიზმების დროს წარმოიქმნება ახალი საზოგადოებრივი როლი — მაშველი და სხვ. მაგრამ ძირითადი საზოგადოებრივი როლი არის გადასახადების გადამხდელი, რომელიც თვალყურს ადევნებს თავისი ფულის სწორ გამოყენებას.

საზოგადოების წევრი გადასცემს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს საზოგადოებას საზოგადოებრივი ღონისძიებების გასატარებლად ანუ საზო-





გადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და წინააღმდეგობათა გადასაჭრელად. ამავე მიზნით, საზოგადოების წევრი, აგრეთვე გადასცემს საკუთარი შემოსავლების ნაწილს. აქედან გამომდინარე მას არა მარტო აქვს უფლება, არამედ ვალდებულიც კი არის თვალყური ადევნოს იმას, თუ როგორ იხარჯება მისი ფული.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის ასეთი ვაგებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ ასრულებს პიროვნება თავის პროფესიულ მოვალეობას, არამედ ის, თუ რამდენად თანმიმდევრულად ასრულებს ის საკუთარ საზოგადოებრივ როლს. „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“. ეს საზოგადოებისათვის ნიშნავს, რომ ყველა უნდა ასრულებდეს საკუთარ საზოგადოებრივ როლს. აქვე იგულისხმება საზოგადოებრივი ინსტიტუტების (სახელმწიფო, საზოგადოებრივი გაერთიანებები და სხვ.) პასუხისმგებლობის აუცილებლობა საზოგადოების წევრთა წინაშე, რაც მათი საზოგადოებრივი როლის შემადგენელი ელემენტია.

ამდენად, სტაბილური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს საზოგადოების წევრთა მიერ საკუთარი საზოგადოებრივი როლის თანმიმდევრული შესრულება და საზოგადოებრივი ინსტიტუტების პასუხისმგებლობა საზოგადოების წევრთა წინაშე. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, საბჭოთა კავშირის კრახი იყო არა სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრახი, არამედ პარტოკრატული სახელმწიფოს კრახი. ეს იყო ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელსაც არ აწუხებდა პასუხისმგებლობა საზოგადოების წევრთა წინაშე. ამავე დროს, საზოგადოების წევრები მოკლებული იყვნენ საკუთარი ნების გამოხატვის უფლებას, რაც მათ საზოგადოებრივ ინდიფერენტულობას იწვევდა. საინტერესოა, რომ ე. წ. „დათბობის“ პერიოდებში ყოველთვის აღინიშნებოდა სწორედ სახელმწიფო აპარატის მხრიდან პასუხისმგებლობის მომატების მცდელობა.

\* \* \*

**საზოგადოება** არ განსხვავდება ბუნებისაგან, ვინაიდან იგი ბუნების ნაწილია. საზოგადოება ვითარდება, ვინაიდან წარმოადგენს ორგანიზმს, მას ორგანიზმული ანუ იერარქიული შენება აქვს, გააჩნია თვითრეგულირების პოტენციალი და ევოლუციისკენ მიდრეკილება.

განვითარების პროცესში, საკუთარი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობების გადასაწყვეტად, საზოგადოება ამუშავებს კანონებს ან ცვლის მათ, ან მათ წაკითხვას (ინტერპრეტაციას, ვაგებას). უნდა ხაზგასმით აღინიშნოს — საზოგადოება ეს არ არის სახელმწიფო. სახელმწიფო არის საზოგადოების არსებობის ხერხი.

მონტესკიე ამბობდა: „კანონები წარმოიქმნებიან სავანთა ბუნებიდან“. იგი არჩევდა კანონების სამ სახეობას: ერების კანონები (რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებს განეკუთვნება), პოლიტიკური კანონები (რომლებიც არეგულირებს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობებს) და სამოქალაქო კანონები (რომლებიც არეგულირებენ მოქალაქეთა შორის ურთიერთობებს). მეორე და მესამე სახეობის კანონები მოწოდებულია საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობების გადასაჭრელად, ხოლო პირველი — გარეგანი წინააღმდეგობების გადასაჭრელად.

პიროვნებათშორისი ურთიერთობები პიროვნებისათვის გარეგანი წინააღმდეგობებია. მათ გადასაჭრელად შეიქმნა საზოგადოება. ეს წინააღმდეგობები, თავისთავად, საზოგადოებისათვის შინაგანი წინააღმდეგობებია, რომელთა არსებობა იწვევს საზოგადოების განვითარებას. სხვადასხვა საზოგადოებათა არსებობა განაპირობებს მათ შორის წინააღმდეგობებს, რაც იწვევს საზოგადოებათა თანაარსებობის რეგულირების აუცილებლობას. შესაბამისად, იგულისხმება რეგულირების ასეთი მექანიზმების (საზოგადოებისათვის გარეგანი წინააღმდეგობების გადასაჭრელად) —



საზოგადოებათა თანაარსებობის კანონების არსებობა (აქ საზოგადოებად იგულისხმება ერები, სახელმწიფოები და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ კერძო განსაზღვრებებია, საზოგადოებათა არსებობის ან ცხოველმყოფელობის ხერხებია).

საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა განვითარების ანუ საზოგადოებათათვის გარეგანი წინააღმდეგობების თანდათან გადაჭრის პროცესში, ალბათ, უნდა წარმოიქმნას სუპერსაზოგადოება საზოგადოებათა თანაარსებობის ეფექტიანი რეგულირებისათვის. ასეთი სუპერსაზოგადოების განვითარება დემორჩილება განვითარების იგივე საყოველთაო კანონებს ანუ წარიმართება საკუთარი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობების გადაჭრის გზით.

საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა რეგულირებისათვის კაცობრიობა იყენებს მექანიზმს, რომელიც აისახება იურიდიულ კანონებში. საზოგადოების მთავარი შინაგანი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ანუ პიროვნების თავისუფლების პრობლემა.

ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა, ადამიანი საზოგადოებაში კარგავს ყველაფრის, რაც კი შეუძლია, ადების თავისუფლებასა და უფლებას, მაგრამ იძენს სამოქალაქო თავისუფლებას და კერძო საკუთრების უფლებას. ველურის თავისუფლება, — განაგრძობს რუსო, — არ არის ნამდვილი თავისუფლება, ველური ადამიანი არაკონტროლირებადი სურვილების მონაა. ხოლო მორალური თავისუფლება, რომელსაც ადამიანი მხოლოდ საზოგადოებაში იძენს, ადამიანს საკუთარი სურვილების პატრონად აქცევს. ვინაიდან დემორჩილო შენს მიერ დადგენილ კანონს — არის თავისუფლება.

მაგრამ პიროვნების თავისუფლება უნდა განხორციელდეს საზოგადოების და არა სახელმწიფოს მორალურ ფარგლებში, ვინაიდან სახელმწიფო არის საზოგადოების საკუთარ წინააღმდეგობათა ნაწილის გადაჭრის ინსტრუმენტი.

ურთიერთობათა განვითარების ასეთი დონის მისაღწევად კაცობრიობა იძულებული გახდა განესაზღვრა პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა მინიმუმი ადამიანის უფლებათა დეკლარაციის საშუალებით, რათა დაეცვა პიროვნება საზოგადოების აღმასრულებელი ინსტრუმენტის — სახელმწიფოს და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ერი, ეკლესია, საზოგადოებრივი აზრი და სხვ.) დიქტატისაგან.

ამ ნაბიჯმა შექმნა პირობები იმისათვის, რომ გადასინჯულიყო შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალი ასპექტი, უფრო ჰარმონიული გამხდარიყო პიროვნებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ურთიერთობა, პიროვნებას საშუალება მისცა უფრო სრულად გამოევიწყებია შემოქმედებითი პოტენციალი, ხოლო საზოგადოებას — უფრო მაღალ დონეზე გადაეწვიტა საკუთარი წინააღმდეგობანი. ეს იყო პროგრესული ნაბიჯი.

მაგრამ კაცობრიობის რიცხობრივ ზრდასთან, ურთიერთობათა განვითარებასთან, სივრცის შემცირებასთან (კავშირის საშუალებათა განვითარების გამო) ერთად გამოიხატა კაცობრიობის, როგორც სუპერსაზოგადოების ანუ საზოგადოებათა გაერთიანების, პრობლემები.

პირველი მსოფლიო ომი, ერთა ლიგა, მეორე მსოფლიო ომი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ჰელსინკის შეთანხმება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმება და ბევრი სხვა — ეს არის სუპერსაზოგადოების ცდა გადაწყვიტოს საკუთარი წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიქმნება მის შემადგენელ საზოგადოებათა შორის.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, ალბათ წარმოიქმნება, ან შესაძლოა უკვე წარმოიქმნა, საზოგადოებათა და თვით სუპერსაზოგადოების თავისუფლებათა და უფლებათა მინიმუმის განსაზღვრის აუცილებლობა ადამიანის უფლებათა ანალოგიურად. ეს ნაბიჯი ალბათ მოგვცემს შესაძლებლობას



შევქმნათ უფლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ დავიცვათ საზოგადოება პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის დიქტატისაგან, დავიცვათ სუპერსაზოგადოება პატარა ან დიდი საზოგადოებების დიქტატისაგან, შევქმნათ საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა რეგულირების უფრო ეფექტიანი მექანიზმი. დღეს ეს აქტუალურია, ვინაიდან კაცობრიობა ჩათრეულია უამრავ რეგიონალურ კონფლიქტში და თუ დროზე არ შეიქმნა მათი დარეგულირების მტკიცე უფლებრივი საფუძველი, თანდათანობით ეს შეიძლება გადაიზარდოს „პანდემიაში“.

ბოლოს, შეიძლება წარმოვიდგინოთ შესაძლო დოკუმენტების სქემა, ადამიანის უფლებათა ანალოგიურად:

#### **ადამიანის უფლებები:**

იცხოვროს, იმუშაოს, დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები, გაითვალისწინოს და პატივი სცეს საზოგადოებისა და კაცობრიობის (სუპერსაზოგადოების) მოთხოვნილებებს;

#### **საზოგადოების უფლებები:**

იარსებოს, უზრუნველჰქვოს ადამიანის უფლებათა დაცვა, დააკმაყოფილოს განვითარებისათვის საჭირო საკუთარი მოთხოვნილებები (იგულისხმება, რომ საზოგადოება არის ადამიანის ეკონომიკური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება), გაითვალისწინოს და პატივი სცეს კაცობრიობის (სუპერსაზოგადოების) მოთხოვნილებებს, დიალექტიკური წინააღმდეგობის ფარგლებში დაარღვიოს პიროვნების უფლებები ზემოთქმულის განსახორციელებლად;


#### **კაცობრიობის (სუპერსაზოგადოების) უფლებები:**

იარსებოს, უზრუნველჰქვოს ადამიანის უფლებათა დაცვა (საზოგადოებასთან შედარებით უფრო მცირე ფარგლებში), უზრუნველჰქვოს საზოგადოებათა უფლებების დაცვა, დააკმაყოფილოს განვითარებისათვის საჭირო საკუთარი მოთხოვნილებები (იგულისხმება, რომ კაცობრიობა — სუპერსაზოგადოება, არის ადამიანის ეკონომიკური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება), დიალექტიკური წინააღმდეგობის ფარგლებში დაარღვიოს ადამიანისა და საზოგადოებათა უფლებები ზემოთქმულის განსახორციელებლად.

მოცემული ტიპის დამფუძნებელი დოკუმენტების რეალიზაცია შექმნის საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ უფლებრივ საფუძველს. რაც მთავარია — ეს აამაღლებს შედარებით ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებათა პასუხისმგებლობას კაცობრიობის წინაშე, ხოლო მაღალგანვითარებული საზოგადოებები გაააქტივებენ საკუთარ საქმიანობას სიცოცხლის გადასარჩენად.







ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრის

## საზოგადოებრივი საშიშროების საშიშროების კრიზისისათვის

საზოგადოებრივი საშიშროება საბჭოთა სამართლის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე დანაშაულის ცნების დამახასიათებელ სპეციფიკურ მატერიალურ ნიშნად ითვლებოდა. საქართველოში გასაბჭოების შემდგომ მიღებულ სისხლის სამართლის პირველივე აქტებში საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის დამფუძნებელ ერთადერთ ნიშნად იყო აღიარებული. ქმედობა დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოსამართლის „სოციალისტური მართლშეგნების“ თანახმად, საზოგადოებრივად საშიში იყო. საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა კი ქმედობის დანაშაულებრიობას გამოირიცხავდა.

ანალოგიის აღიარება და მართლწინააღმდეგობის უარყოფა საბჭოთა სამართალდამცავ ორგანოებს უფლებას ანიჭებდა, „სოციალისტური მართლშეგნების“, თანახმად, თავისუფალი შეხედულების მიხედვით გადაეწყვიტა საკითხი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების და დასჯადობის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მათ კანონმდებლის უფლებებით აღჭურავდა.

საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, მართალია, კრძალავდა ანალოგიის და აღიარებდა მართლწინააღმდეგობას, მაგრამ ძალაში ტოვებდა მოსამართლის უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საკითხი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის შესახებ. საქართველოს 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულად არ ითვლებოდა მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო, არ წარმოადგენდა საზოგადოებრივ საშიშროებას.


საბჭოთა სისხლის სამართლის ამ ცნობილი ნორმის შესახებ სისხლის სამართლის თეორიაში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.\*

1. არსებობს თუ არა დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში? ამ საკითხზე ქართველი სისხლის სამართლის თეორეტიკოსების შეხედულება განსხვავდებოდა სხვა საბჭოთა სისხლის სამართლის სპეციალისტების შეხედულებისაგან.

თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის აზრით, ფაქტობრივი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას, გადაიქცევა წმინდა ფორმალობად, რომელიც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ვერ გამოდგება. ასეთ შემთხვევაში მოქმედება ფორმალურად შეესაბამება დანაშაულის

\* თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ. 18-20.





შემადგენლობას, შინაარსობრივად კი — არა, რადგან გამოცლილი აქვს თვით მისი არსი, — საზოგადოებრივი საშიშროება.<sup>1</sup>

ამრიგად, თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი აღიარებენ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში დანაშაულის შემადგენლობის არსებობას, თუმცა მას ფორმალურად მიიჩნევენ. საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდა ა. პიონტოვსკი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი საშიშროების უქონლობა დანაშაულის შემადგენლობის არსებობას თავისთავად გამოორიცხავს. მისი აზრით, დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის ცნებას შეეძლო შეესუსტებინა სოციალისტური კანონიერება.<sup>2</sup>

თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის შეხედულებას იზიარებდა თ. შავგულიძე. იგი სისხლის სამართლის ქართველ თეორეტიკოსთა მტკიცებას საფუძველს უმყარებდა და ამტკიცებდა, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც წესი, დანაშაულის შემადგენლობის თვისობრიობას წარმოადგენს, მაგრამ... ყოველ თვისობრიობას ახასიათებს მისი შესაბამისი რაოდენობა და რაოდენობრივმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს თვისობრიობის შეცვლა. ასევეა აქაც, მოქმედება შეიძლება ემთხვეოდეს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ აშკარა უმნიშვნელობის, ე. ი. აუცილებელი რაოდენობის უქონლობის გამო თავისი თვისობრიობა, საზოგადოებრივი საშიშროება და შესაბამისად, მართლწინააღმდეგობაც დაკარგოს. დანაშაულის შემადგენლობა კარგავს თავის შინაარსს, საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ ინარჩუნებს ფორმას, ე, ი. იქცევა დანაშაულის მხოლოდ ფორმალურ შემადგენლობად და არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს“.<sup>3</sup>

თ. შავგულიძის აზრით, ერთი კოლოფი ასანთის ქურდობისას ქურდობის შემადგენლობის ყველა ფორმალური ნიშანი, როგორც მისი ობიექტური, ისევე სუბიექტური მხარე სახეზეა, მაგრამ ამის მიუხედავად ამ ქმედობის ჩამდენ პირს სამართლო დაშნაშავედ არ ცნობს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო. წვრილმანი ქურდობის ჩამდენი პირი, მართალია, სისხლისსამართლებრივად პასუხს არ აგებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წვრილმანი ქურდობა საზოგადოებრივად სასარგებლოა და არაა გასაკიცხი.<sup>4</sup>

ამრიგად, სისხლის სამართლის ქართველი სპეციალისტების აზრით, ქმედობა, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს, მოიცავს დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობას.

ისმის კითხვა: როგორია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მცირემნიშვნელოვანი ქმედობის სამართლებრივი ბუნება და ემსგავსება თუ არა იგი უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოკერძობის სამართლებრივ ბუნებას?

თ. წერეთელი ამ მუხლს საქართველოს სსრ სსკ-ის მე-15 (აუცილებელი მოკერძობა) და მე-16 (უკიდურესი აუცილებლობა) მუხლებთან ერთად განიხილავდა როგორც დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის შემცველ ქმედობას. ქმედობის მცირემნიშვნელოვნება, მისი აზრით, საზოგადოებრივი საშიშროების გამოპრიცხველი ისეთივე გარემოებაა, როგორც უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოკერძობა.<sup>5</sup>

ჩემი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედობის მცირემნიშვნელოვნების სამართლებრივი

1 თამაზ შავგულიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 18.  
 2 დასახ. ნაშრომი, გვ. 18.  
 3 დასახ. ნაშრომი, გვ. 19.  
 4 დასახ. ნაშრომი, გვ. 20.  
 5 თ. წერეთელი, ვ. ტყეშელაძე, „მომღვრება დანაშაულზე“, თბილისი, 1969, გვ. 105-106.



ბუნება აშკარად განსხვავდება უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგვარიების სამართლებრივი ბუნებისაგან. მართალია, მე-8 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მცირემნიშვნელოვნების გამო ქმედობა საზოგადოებრივად საშიშად და აქედან გამომდინარე დანაშაულად არ ჩაითვლება და მისი ჩამდენი პირი სისხლის-სამართლებრივად პასუხს არ აგებს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარ ქმედობათა მიმართ საზოგადოება ნეიტრალურადაა განწყობილი ანდა მათ იწონებს. ერთი კოლოფი ასანთის ქურდობა, მართალია, არ დაისჯება სისხლის სამართლის წესით, მაგრამ ქურდობა საგნებისა, რომელთაც მცირე საცვლელი ღირებულება აქვთ, სოციალურად ადექვატურ ქმედობად არ შეიძლება ჩაითვალოს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არ გამოირიცხავს ამ ქმედობის ჩამდენი პირის მორალურ გაკიცხვას. უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოგერიება კი არა მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოირიცხავს, არამედ მორალურ გაკიცხვასაც.

როდესაც კანონმდებელი საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში მოქმედებაში საზოგადოებრივი საშიშროების უქონლობაზე მიუთითებს, ის კი არ იგულისხმება, რომ მოქმედება საერთოდ საზოგადოებრივად საშიში არ არის, არამედ ის, რომ არა გვაქვს საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმუმი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის წარმოქმნასა და ამდენად სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამოყენების მიზანშეწონილობას დასაბუთებდა. საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებთა კაცის უდანაშაულოდ ცნობა მისი გაკიცხვის შესაძლებლობას სულაც არ გამოირიცხავს, რადგან ჩადენილი მოქმედება, მართალია, დანაშაულს არ წარმოადგენს, მაგრამ უზნეო მანკ არის.<sup>6</sup>

ამგვარად, საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი არ შეიძლება ჩაითვალოს **გამამართლებელ გარემოებად** უკიდურესი აუცილებლობის და აუცილებელი მოგერიების გვერდით.

2. მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის სამართლებრივი ბუნების გარკვევის მიზნით, თ. შავგულიძე საქართველოს სსკ-ის 51-ე მუხლს იშველიებს. ამ მუხლის თანახმად „ისეთი ქმედობის ჩამდენი პირი, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის ვითარების შეცვლის შედეგად, მის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.“

დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება სასამართლოს განაჩენით გათავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმწიკვლო ყოფაქცევის და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად“.

თ. შავგულიძის აზრით, „ეს მუხლი არსებითად განსხვავდება საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისაგან. საქართველოს სსრ სსკ-ის 51-ე მუხლში საქმე გვაქვს დანაშაულის ჩამდენთან, რომელსაც სასამართლო ათავისუფლებს სასჯელი-საგან მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო, ხოლო მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არ შეიძლება სასჯელისაგან გათავისუფლებაზე ლაპარაკი, რადგან თვით დანაშაულებრივი მოქმედება არა გვაქვს... პირველ შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვა ბოლომდე უნდა მიიყვანოს და გამამტყუნებელი განაჩენიც დაადგინოს, ოღონდ სასამართლოში მიცემული სასჯელისაგან გაათავისუფლოს, მეორე შემთხვევაში კი სისხლის სამართლის საქმე სრულიად არ უნდა აღიძრას, ხოლო თუ სასამართლო განხილვისას გამომჟღავნდა კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში მითი-

<sup>6</sup> თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემო-ებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 20.



თეზული გარემოება (ქმედობის მცირე მნიშვნელობა) სასამართლო მოვალეა საქმის განხილვა ბოლომდე მიიყვანოს და გამამართლებელი განაჩენი დაადგინოს“.<sup>7</sup> ამრიგად, თამაზ შავგულიძის აზრით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში საქმეიანაშაუ- გვაქვს სასჯელისაგან გათავისუფლებასთან, რადგან არ არსებობს თვით დანაშაუ- ლებრივი მოქმედება.

**3. შეიძლება თუ არა საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში გათვა- ლისწინებული ქმედობა ჩათვალოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ გარემოებად? ჩემი აზრით, არა, რადგან იქ, სადაც სა- ერთოდ არაა დანაშაული, არ შეიძლება საუბარი სისხლის სამართლის პასუხისმგებ- ლობისაგან გათავისუფლებაზე.**

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში გათვალის- წინებული ნორმის სამართლებრივი ბუნება არსებითად განსხვავდება როგორც გა- მამართლებელი გარემოებების შემცველ ნორმათა სამართლებრივი ბუნებისაგან, ასევე იმ ნორმის სამართლებრივი ბუნებისაგან, რომელიც სისხლის სამართლის პა- სუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს.

საქართველოს სსრ სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის მსგავს ნორმებს მოიცავ- და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებიც. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ, ევ- როპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სისხლის სამართლის თეორეტიკოსების უმრავლესობა აკრიტიკებს დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას. პოლონელი სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ 90-იანი წლების დასაწყისში შემუშა- ვებულ სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთ პროექტში დანაშაულის მატერია- ლური განსაზღვრება ფორმალური განსაზღვრებით იყო შეცვლილი. თუმცა პო- ლონელმა სპეციალისტებმა დანაშაულის ფორმალური განსაზღვრების შემოტანით დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას თავი მაინც ვერ დააღწიეს. მართალია, ისინი დანაშაულად მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით დასჯად ქმედობას მიიჩ- ნევდნენ, მაგრამ ქმედობის დანაშაულებრიობის გამომრიცხველ ნიშნად ისევ საზო- გადობრივი საშიშროების არარსებობას აღიარებდნენ.

### სოციალური მავნეობა, როგორც დანაშაულის ცნების ნიშანი ავსტრიისა და გერმანიის სისხლის სამართალში


სოციალისტური სამართლის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში და- ნაშაულის ფორმალური საკანონმდებლო განმარტება დანაშაულის ცნების ბურჟუ- აზიული გაგების კრიტიკის მიზეზი იყო. ქართველი მეცნიერები მიუთითებდნენ, რომ „დანაშაულის ცნების მარტო ფორმალური ნიშნებით განსაზღვრების მეშვე-ობით ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა ფარავს დანაშაულის სოციალურ არსს, მის ნამდვილ კლასობრივ ბუნებას და დანაშაულს მუდმივ, არაისტორიულ კატეგორიად წარმოგვიდგენს“.<sup>8</sup>

დანაშაულის ცნების განსაზღვრებისათვის ბურჟუაზიული სისხლის სამართალი, განვითარების ადრეულ პერიოდში, ქმედობის მართლწინააღმდეგობას იშველიებდა და დანაშაულად მხოლოდ ისეთ ქმედობას თვლიდა, რომელიც კანონით ნათლად (კა- ტეგორიულად) იყო აკრძალული. თუ კლასიკური სისხლის სამართალი მართლწინა- აღმდეგობაში ქმედობის სისხლის სამართლის კანონისადმი წინააღმდეგობას ხედავ- და (მართლწინააღმდეგობის ფორმალური გაგება), დანაშაულის ნეოკლასიკურმა სის-

<sup>7</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>8</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელაიძე, მოძღვრება დანაშაულზე, გვ. 22.





ტემამ მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს მიაქცია ყურადღება და სისხლის სამართალში ახალი ცნება — სოციალური მავნეობა შემოიტანა.<sup>9</sup> თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლის სამართალიც დანაშაულად მართლსაწინააღმდეგო ქმედობას აღიარებს და მართლწინააღმდეგობაში არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ შინაარსსაც სდებს.<sup>10</sup>

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დანაშაული მართლსაწინააღმდეგო ქმედობაა, რომლის ჩადენისთვისაც კანონი თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა ანდა უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს. მართალია, დანაშაული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ფორმალური ნიშნებით, მართლწინააღმდეგობითა და დასჯადობითაა განსაზღვრული, მაგრამ მართლწინააღმდეგობაში იგულისხმება არა მხოლოდ ფორმალური წინააღმდეგობა ნორმის მოთხოვნისადმი, არამედ მისი მატერიალური შინაარსი, რომელიც ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას მოიცავს.

როგორ წყდება გერმანიის და ავსტრიის სისხლის სამართალში საკითხი, როდესაც ქმედობა მართალია ფორმალურად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას, მაგრამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე უმნიშვნელოდ ზიანდება?

იღვას იმის შესახებ, რომ ქმედობის მცირემნიშვნელოვნებისას არა კანონიერების, არამედ სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობის პრინციპია მხედველობაში მისაღები, გერმანული სისხლის სამართლის ისტორიაში თითქმის ასი წლის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1896 წელს გამოთქვა ფრანც ლისტმა აზრი იმის შესახებ, რომ მატერიალურ სამართალში შემოღებულ უნდა იქნას ნორმა, რომელიც მიყენებული ზიანის მცირემნიშვნელოვნებისას ქმედობის დაუსჯელობას ითვალისწინებს.<sup>11</sup>

გერმანიის 1909 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის § 83 მიხედვით, მოსამართლეს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო სასჯელი თავისუფალი შეხედულების მიხედვით შეემსუბუქებინა და სადაც ეს კანონით სპეციალურად იყო გათვალისწინებული, ქმედობის ჩამდენი პირი სასჯელისაგან საერთოდ გაეთავისუფლებინა კიდევ. ქმედობა განსაკუთრებულად ითვლებოდა მაშინ, როდესაც მან უმნიშვნელო შედეგი გამოიწვია, პირის დანაშაულებრივი ნება სუსტი და გარემოებათა მიხედვით გასამართლებელი იყო, რის გამოც სასჯელის გამოყენება გაუმართლებელი სიმკაცრე იქნებოდა.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 1909 წლის პროექტისაგან განსხვავებით, ქმედობის განსაკუთრებულ მცირემნიშვნელოვნებისას პირის სასჯელისაგან გათავისუფლებას ავსტრიის 1912 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებდა.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მეორე, 1922 წლის პროექტი პირიქით, ნორმას ქმედობის განსაკუთრებულ მცირემნიშვნელოვნებისას პირის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ კოდექსის ზოგად ნაწილში ათავსებდა. ამ პროექტის § 107 განსაკუთრებულად მსუბუქ შემთხვევად თვლიდა ისეთ შემთხვევას, როდესაც ქმედობამ უმნიშვნელო შედეგები გამოიწვია და ამასთან პირი გარემო პირობათა ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც მას ქმედობის ჩადენა თითქმის არ შეიძლება დაეყვადროს. სასამართლოს შეეძლო ასეთ შემთხვევაში სასჯელი თავისუფალი შეხედულების მიხედვით შეემსუბუქებინა და კანონით დაშვებულ შემთხვევაში პირი სასჯელისაგან საერთოდ გაეთავისუფლებინა.

9. Graf zu Dona, Rechtswidrigkeit, Seite 27.  
 10. Jescheck, Lehrbuch des Strafrechts. 1988, Seite 210.  
 11. Listz, Lehrbuch des deutschen Strafrechts, 7. Aufl, 1896, S. 60.



ქმედობის განსაკუთრებულ მცირემნიშვნელოვნებისას პირის სასჯელისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებდა აგრეთვე რადბრუხის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, გერმანიის 1925 წლის და გერმანია-ავსტრიის 1927 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტები. გერმანია-ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის § 76 განსაკუთრებულად მცირემნიშვნელოვნად თვლიდა ისეთ შემთხვევას, როდესაც პირის ბრალი იმდენად მცირეა და ქმედობის შედეგები იმდენად უმნიშვნელო, რომ სასჯელის გამოყენება არაა საჭირო.

დღეისათვის სამართლებრივი სიკეთის უმნიშვნელო დაზიანების პრობლემას გერმანიაში არა მატერიალური, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წყვეტს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 153 და 154 სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის სხვა (ეკონომიკურობის, დევნის სტრატეგიის, პოლიტიკური) საფუძვლებთან ერთად მოიცავს სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტას მცირედი ბრალის გამო, როდესაც სისხლის სამართლის დევნისათვის საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს.

მართალია, § 153 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია შეტანილი, მაგრამ გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ § 153 არა პროცესუალური, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმაა.<sup>12</sup>

შვეიცარიის სისხლის სამართლის 1908 წლის კოდექსიც ითვალისწინებდა წვრილმანი დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სისჯელის შემცირებას მოსამართლის თავისუფალი შეხედულების მიხედვით. შვეიცარიის დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს განსაკუთრებულ ზოგად ნორმას ქმედობის მცირემნიშვნელოვნებისას პირის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ და ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში კანონით მკაცრად განსაზღვრული ზოგიერთი შემთხვევისას მოსამართლის თავისუფალი შეხედულების მიხედვით პირის სასჯელისაგან გათავისუფლებით კმაყოფილდება.

ამრიგად, ქმედობის მცირემნიშვნელოვნების დროს, სისხლის სამართლის კოდექსების აღნიშნული პროექტების მიხედვით მოსამართლე პირს წვრილმანი დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად მიიჩნევდა და მას სასჯელისაგან გათავისუფლებდა. შემოხსენებული ნორმების სამართლებრივი ბუნება აშკარად განსხვავდება საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის სამართლებრივი ბუნებისაგან, რადგან ამ უკანასკნელის მიხედვით ქმედობის დანაშაულებრიობა და აქედან გამომდინარე, მისი დასჯადობაც გამოირიცხება.

საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მსგავს პოზიციას იკავებს ავსტრიის დღევანდელი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის § 42, რომლის მიხედვითაც ქმედობის მცირემნიშვნელოვნების დროს განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ქმედობა დანაშაულად არ ჩაითვლება. ეს პარაგრაფი ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა 1971 წელს. სისხლის სამართლის ევროპელი სპეციალისტების ერთი ნაწილი ამ ნორმას დადებითად აფასებს, როგორც მცირემნიშვნელოვანი ქმედობის დეკრიმინალიზაციის საკითხის „ორიგინალურ ავსტრიულ“ საუკეთესო გადაწყვეტას.<sup>13</sup>

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსში § 42 შეტანამ სათავე დაუდო დისკუსიას ამ ნორმის სამართლებრივი ბუნების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი

12. Naucke, Maurach. FS. 1972. 197 ff.

13. Nowakowski, ZStW 92 (1980), S. 257; Jescheck, Die Kriminalpolitik der deutschen Strafrechtsreformgesetze im österreichische Strafrechtsreform, Festschrift für Lange, S. 365 ff.



თქმის, რომ § 42 დანაშაულის შემადგენლობას გამოირცხავს და იგი დანაშაულის „ზოგადი ნეგატიური ნიშანია“.<sup>14</sup>

არსებობს აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ § 42 გათვალისწინებული ქმედობა, მართალია, ფორმალურად დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება, მაგრამ მატერიალურად ვერ აღწევს სოციალური მავნეობის იმ ზღვარს, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის არსებობისთვისაა საჭირო.<sup>15</sup>

თვით ამ ნორმის ერთ-ერთი ავტორი ნოვაკოვსკი მიუთითებს, რომ § 42 გათვალისწინებული ქმედობა არაა სასჯელის ღირსი, რადგან იგი ვერ აღწევს იმ ზღვარს, რომელიც სასჯელის ღირს ქმედობებს სხვა ასოციალური ქმედობებისგან გამოპყოფს. უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, პირი, რომელმაც ამგვარი ქმედობა ჩაიდინა, განხილულ უნდა იქნას როგორც პირი, რომელსაც არავითარი დასჯადი ქმედობა არ ჩაუდენია, მან მხოლოდ გამოავლინა ასოციალური პიროვნული თვისებები.<sup>16</sup>

პალინი, თვით ამ ნორმის მეორე ავტორი, ამტკიცებს, რომ § 42 უმართლობის გამოპირიციველი სპეციალური გარემოებაა და იმ შემთხვევაში, როცა ქმედობა როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად უმნიშვნელოა, სისხლისსამართლებრივად აკრძალული უმართლობა არ არსებობს.<sup>17</sup>

შენდელუბას § 42 ქმედობის მცირემნიშვნელოვნების დროს დანაშაულის შემადგენლობის გამოპირიცივის შესახებ პყავს მოწინააღმდეგეები. ისინი ამტკიცებენ, რომ § 42 აუცილებლად მცირემნიშვნელოვან უმართლობას და მცირემნიშვნელოვან ბრალს, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის შესრულებას მოითხოვს. § 42 ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ქმედობის მიერ სამართლებრივი სიკეთის უმნიშვნელო დაზიანებას, რაც არაა სოციალურად აღქვადური და სისხლისსამართლებრივად სრულიად უმნიშვნელო.

§ 42-ის მოწინააღმდეგეთა აზრით, ეს ნორმა არც უმართლობასა და ბრალს გამოირცხავს, რადგან სამართლის მცირემნიშვნელოვანი დარღვევაც სამართლის დარღვევაა და მცირემნიშვნელოვანი ქმედობის ჩადენისას არსებობს მცირემნიშვნელოვანი ბრალი.<sup>18</sup>

შენდელუბას იმის შესახებ, რომ § 42 ჯერ ქმედობის დასჯადობას გამოირცხავს და, ამგვარად, დანაშაულს, არევიარევა შეაქვს დანაშაულის დოგმატიკურ გაგებაში. გერმანულენოვან სისხლის სამართალში დანაშაულის ცნებას პირამიდის მსგავსად აგებენ. დანაშაული შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და დასჯადი ქმედობაა. პირამიდის საფუძველი, დანაშაულის შემადგენლობა არ გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში, ისევე როგორც ბრალის არარსებობა მართლწინააღმდეგობას არ გამოირიცხავს. ასევე დასჯადობის, როგორც პირამიდის მწვერვალის გაუქმება არ გამოირიცხავს შემადგენლობისადმი შესაბამისობას, როგორც პირამიდის ფუქს.<sup>19</sup>

დოგმატიკურმა დისკუსიამ § 42 სამართლებრივი ბუნების შესახებ თეორიიდან პრაქტიკაში გადაინაცვლა, როცა ინსბრუკელმა გუსტავ ადოლფმა 1978 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის შტრასბურგის კომისიაში საჩივარი შეიტანა ავსტრიის სასამართლოს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფის გა-

14. Graßberger, ÖJZ, 1973, S. 65.

15. Driendl, ZStW 90 (1978), S. 1049.

16. Nowakowski, ZStW, 92, (1980), S. 284.

17. Pallin, Der modernen Gesellschaft ein modernes Strafrecht, 1968, S. 29.

18. Moos, Die mangelnde Strafwürdigkeit bei Bagatelldelikten nach § 42 österr. StGB, ZStW, 95 (1983), Heft 1 Seite 166.

19. Moos, Die mangelnde Strafwürdigkeit... Seite 168.



მო, რადგან სასამართლოს დადგენილებაში გუსტავ ადოლფის მიმართ საქმის შეწყვეტის თაობაზე ლაპარაკი იყო მის მცირემნიშვნელოვან ბრალზე. გუსტავ ადოლფი თავის საჩივარს დოგმატიკურად ასაბუთებდა: § 42 გათვალისწინებული ქმედობა არაა დანაშაული და იქ, სადაც დანაშაული არაა, არც ბრალზე შეიძლება ლაპარაკი.

ამ საქმის შესახებ მიღებულ იქნა ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი. ადამიანის უფლებათა დაცვის შტრასბურგის კომისიის აზრით, ბრალის დადგენა საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებულ დადგენილებაში არღვევს არაბრალეულობის პრეზუმფციას. საწინააღმდეგო აზრის იყო საქმის უკანასკნელი ინსტანციის წესით განმხილველი ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, რომელიც მიუთითებდა, რომ არაბრალეულობის პრეზუმფცია არ ირღვევა, იმის მიუხედავად, დადგინდება თუ არა ბრალი § 42 მიხედვით საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში, რადგან § 42 მიხედვით, საქმის შეწყვეტისას იგულისხმება არა ბრალი, არამედ ბრალში ეჭვმიტანილობა (Schuldverdacht).

ჩემი აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შეხედულება იმის შესახებ, რომ § 42 მიხედვით, საქმის შეწყვეტისას, იგულისხმება არა ბრალი, არამედ ბრალში ეჭვმიტანილობა, არაა სწორი, რადგან პირი, რომლის მიმართაც ბრალში ეჭვმიტანილობის საფუძვლით შეწყდება საქმე, საზოგადოების თვალში ისევე დადგას მუდმივად, როგორც პირი, რომლის მიმართაც საქმე მცირედი ბრალის გამო შეწყდა.

საკითხი ავსტრიის სსკ-ის §42 სამართლებრივი ბუნების შესახებ დღევანდლამდე სადავოდ რჩება. სისხლის სამართლის ქართველი სპეციალისტებისათვის საინტერესოა ის, რომ მიუხედავად ორი სამართლებრივი სისტემის სრული სხვაობისა, ავსტრიის სსკ-ის § 42 საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი მსგავსი სამართლებრივი ნორმებია და ამიტომაც დისკუსიები ამ ნორმათა სამართლებრივი ბუნების შესახებ მსგავს, დღესდღეობით ჯერ კიდევ სადავო საკითხებს წამოჭრის.

**წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებამ.**





ოთარ გაყრალია

# გერმანული სისხლის სამართლის ზეპაკონსტიტუციური ქართულ სისხლის სამართალზე\*

უწინარესად, ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: პირველი ის, რომ საქართველო, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაადა და მოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზას, რამაც ჩვენში ადრე დაწყებული სარეფორმო მოძრაობა სისხლის სამართლის სფეროში (ისევე, როგორც მთელი ქართული სამართლის რეფორმა) კიდევ უფრო დააჩქარა. მეორეც, ის, რომ სულ ახლახან 1995 წლის 24 აგვისტოს ჯერ კიდევ წინა პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რის შემდეგაც სარეფორმო მოძრაობა საქართველოში სრულიად ახალ ფაზაში შევიდა. კონსტიტუცია, რომელიც ძალაშია ახლადარჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (1995 წ. 27 ნოემბერი), თავისთავად მოითხოვს წარსული იდეოლოგიური დოგმებით დამძიმებული, დრომოჭმული კანონების შეცვლას ახლადმიღებული ძირითადი კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით.

თუ ამ გარემოებებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ წარსულის გახსენებას ჩვენთვის, ქართველი იურისტებისათვის უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შექმნილი ვითარება ჩვენი მხრივ მოითხოვს ტრადიციული კავშირების ახლებურად გააზრებას, ამ კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას და გერმანული სისხლის სამართლის მიღწევების გამოყენებას საქართველოში ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის პროცესში.

წარსულში საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, გამუდმებით უზღებოდა ბრძოლა პოლიტიკური ორიენტაციისათვის. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ ამ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას ისტორიულად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ბერძნულ-რომაულ კულტურულ სამყაროსთან, რაც, ცხადია, გავლენას ახდენდა ქართულ სამართლებრივ აზროვნებაზეც.

შუა საუკუნეებში, როცა მონღოლების შემოსევის შედეგად ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკე სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს და კულტურის მესვეურებს თვალი კვლავ ქრისტიანული დასავლეთისკენ გაუბრუნდა.

ახალ დროში ურთიერთობა დასავლეთთან კიდევ უფრო გაძლიერდა. მართალია, 1801 წელს საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, გაუქმდა ქართული სამართალიც და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა რუსული კანონმდებლობა, მაგრამ ქართული იურიდიული აზროვნება ამით, ცხადია, არ შეწყვეტილა. თუმ-

\* ქ. პასუს (გერმანია) უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე 1996 წლის 15 იანვარს წაკითხული მოხსენება.



ცა, მისი მოქმედების არეალი ერთგვარად შევიწროვდა და მხოლოდ სამეცნიერო და პუბლიცისტური სფეროთი შემოიფარგლებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით შეიმჩნევა ევლოში გერმანული ფილოსოფიითა და სამართლის მეცნიერებით დანიჭტრე-სება. საგულისხმოა ის, რომ ამ დროის ქართულმა იურიდიულმა აზროვნებამ ერთგვარი ზეგავლენა განიცადა გერმანიაში აღმოცენებული სამართლის ის-ტორიული სკოლისა (ნ. ზიზანაშვილი).

საქართველოში უყურადღებოდ არ დარჩენილა ისეთი გამოჩენილი გერ-მანელი მეცნიერის შემოქმედებაც, როგორც იყო რ. იერინგი. უთუოდ აღ-სანიშნავია ის ფაქტი, რომ რ. იერინგის სახელგანთქმული ნაშრომი „ბრძოლა უფლებისათვის“, რომელიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ენაზეა თარგმნილი, ქართულად უშუალოდ გერ-მანულიდან ითარგმნა და გამოიცა 1908 წელს.

1918 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც 1922 წლიდან გაიხსნა იურიდიული განყოფილება. სულ მალე აქ თავი მო-იყარა ევროპულად განსწავლულმა პროფესურამ, რომელსაც ძირითადად გერმა-ნული იურიდიული და ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული.


მაშინდელი ქართული პროფესურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობ-და სამართლის მეთოდოლოგიურ საკითხებს. ეს პრობლემები იმ დროს, რამ-დენადაც ვიცი, გერმანულ აზროვნებაშიც წინა პლანზე იყო წამოწეული.

საქართველოში მაშინ ერთგვარი გასავალი ნახა ჰ. კელზენის წმინდა სა-მართლის მოძღვრებამ. თუმცა სამართლის ფენომენოლოგიურ სკოლას 20-იანი წლების ქართველ იურისტთა შორის ჰყავდა რამდენიმე ძლიერი წარ-მომადგენელი, რომლებიც საფუძვლიანად აკრიტიკებდნენ კელზენის თეორიას. სანიშნოდ დავასახელებ პროფესორ ირ. სურგულაძის სადოქტორო დისერტა-ციას „Gewalt und Recht“, რომელიც 1925 წელს გერმანულ ენაზე დას-ტამბა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ და რომლის ხელახალი გა-მოცემაც ამჟამად მზადდება თბილისში. ირ. სურგულაძე ამ წიგნში გამოჩე-ნილი გერმანული ფილოსოფოსის ედ. ჰუხერლის ფენომენოლოგიურ მეთოდს იყენებდა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების სისტემის ასაგებად.

ამ სკოლის მეორე დიდი წარმომადგენელი საქართველოში იყო პროფე-სორი გ. ნანეიშვილი. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გ. ნანეიშვილმა 1919 წელს გერმანიას მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად და ფრაიბურგის უნივერსიტეტში იღრმავებდა ცოდნას გერ-მანულ ფილოსოფიასა და სამართლის მეცნიერებაში. მისი სადოქტორო დი-სერტაცია „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასა-ბუთებისა“ ედ. ჰუხერლის ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენების საუკუ-თესო ნიმუშია სამართლის რაობის ასახსნელად.

1930 წელს თბილისში გაიმართა დიდი დისკუსია სამართლის მეთოდო-ლოგიურ საკითხებზე. მაგრამ ამ დისკუსიას, სამწუხაროდ, უფრო პოლიტი-კური დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე მეცნიერული. ე. წ. მარქსისტი იურისტები და ფილოსოფოსები გ. ნანეიშვილს, ირ. სურგულაძეს და სხვებს გაბატონებული პოლიტიკური წრეების შეკვეთით ვულგარული სოციოლოგიზმის პოზიციები-დან აკრიტიკებდნენ და პოლიტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ ანტიმარქსის-ტობის გამო. პროფესორი ნანეიშვილი ამ ბრალდების გამო 1937 წელს უსა-მართლო რეპრესიებს შეეწირა. დისკუსიის მასალები დაიბეჭდა წიგნში «Против идеализма в правовой мысли советской Грузии (стенограмма дискуссии под. ред. А. А. Болотникова), Тифлис, 1931».





ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ შევეხები უშუალოდ სისხლის სამართლის სფეროში არსებულ ვითარებას.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველომ 1918 წელს მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც 1921 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში არ გატარებულა და სისხლის სამართლის კოდექსი არ მიუღიათ.

პირველი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველომ თანამედროვე გაგებით მხოლოდ 1922 წელს მიიღო, როცა საქართველოში უკვე ბოლშევიკები ბატონობდნენ. ამ კოდექსმა ექვს წელიწადს იმოქმედა. 1928 წელს მიღებული იქნა ახალი კოდექსი. ამჟამად საქართველოში მოქმედი კოდექსი მიღებულია 1960 წლის 30 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფო იყო და კანონმდებლობაც ფედერაციულ საწყისებზე ჰქონდა აგებული. ქვეყანაში მოქმედებდა, ერთი მხრივ, საკავშირო, ხოლო, მეორე მხრივ, რესპუბლიკური კანონმდებლობა. მათ შორის ფუნქციები კი ასე იყო განაწილებული: საკავშირო კანონმდებელი განსაზღვრავდა სისხლის სამართლის (ისევე, როგორც სხვა დარგის) ძირითად პრინციპებს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკა ამ ზოგადი პრინციპების საფუძველზე იღებდა თავის კოდექსს. ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი მოსკოვში იწერებოდა და მისი არსებითი შეცვლა რესპუბლიკას არ შეეძლო. ეს კი მოკავშირე რესპუბლიკის სამართალშემოქმედებით საქმიანობას არსებითად ზღუდავდა.

თუ შექმნილ ვითარებას ამ თვალსაზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საბჭოური პერიოდის ქართულ სისხლის სამართალზე გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა არაერთგვაროვანია და ძირითადად რუსული სისხლის სამართლითაა გაშუალებული, რადგანაც უშუალო ზეგავლენის გამოვლენების შესაძლებლობას გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმი იშვიათად თუ იძლეოდა. რაც შეეხება თვითონ რუსულ-საბჭოურ სისხლის სამართალს, ის ხშირად გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით არ ითვალისწინებდა გერმანული სისხლის სამართლის უახლეს მიღწევებს და აიძულებდა მოკავშირე რესპუბლიკებს თვითონაც ასე მოქცეულიყვნენ.

მიუხედავად ამისა, ქართველი იურისტები არ ურიგდებოდნენ შექმნილ ვითარებას და ქვეყანაში მომხდარ ყოველგვარ „პოლიტიკურ დათბობას“ საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. ასეთი „დათბობა“, რასაკვირველია, არ ყოფილა 50-იანი წლების ბოლომდე, სანამ საბჭოთა კავშირში ორთოდოქსალური ბოლშევიკური რეჟიმი ბატონობდა.

თავის მხრივ, იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის სისხლის სამართალი, თუმცა განიცდიდა გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენას, მაგრამ ეს გავლენა ცალმხრივი იყო. ძირითადად ბატონობდა სოციოლოგიური სკოლის პრინციპები. ნებადართული იყო ანალოგიის წესით კანონის გამოყენება, ყურადღება არ ექცეოდა ბრალეულ პასუხისმგებლობას, დაცული არ იყო პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვ. ერთი სიტყვით, პიროვნების თავისუფლების არავითარი საკანონმდებლო გარანტიები არ არსებობდა. ამიტომ რეფორმა საბჭოთა კავშირში 50-იანი წლების ბოლოს გარდუვალი იყო.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დაიწყო 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის („საფუძვლები“) გამოცემით, რომელიც იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო. გაუქმდა ანალოგია, განმტკიცდა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვ. ამ კანონის საფუძველზე რეფორმა გაგრძელდა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც დაიწყო კოდექსების პროექტებზე



მუშაობა. რაც მთავარია, რეფორმამ, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მძლავრი იდეოლოგიური დიქტატისა, მაინც ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შექმნა აგრეთვე მეცნიერული მუშაობისათვის.

სწორედ ამ დროს საქართველოში ხდება ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა. 1957 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირში ცნობილი მეცნიერი, გერმანული სისხლის სამართლის თეორიის კარგი მცოდნე პროფესორი თინათინ წერეთელი. ეს განყოფილება შემდეგში მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტად გადაიქცა და დღესაც, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სიძნელეებისა, შეძლებისდაგვარად აგრძელებს თავის საქმიანობას.

60-იანი წლებიდან თ. წერეთლის ხელმძღვანელობით აქ გაიშალა ფართო სამეცნიერო მუშაობა სისხლის სამართლის დოგმატიკაში, რაც მაშინ განსაკუთრებით საშური საქმე იყო პიროვნების თავისუფლების გარანტიების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. 1963 წელს მოსკოვში მე-2 გამოცემით გამოვიდა თ. წერეთლის ფუნდამენტური მონოგრაფია „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომელიც გერმანული ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ღრმა ცოდნით იყო დაწერილი. უფრო ადრე კი, 1957 წელს მოსკოვში გამოიცა მეორე ცნობილი ქართველი მეცნიერის ვ. მაყაშვილის მონოგრაფია „პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის“.

ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან, ვადრე რეფორმა გატარდებოდა, რ. წერეთელმა და ვ. მაყაშვილმა დაიწყეს მუშაობა დანაშაულის ცნების სტრუქტურის აგებისათვის, რადგან ამ ცნებას მთელი სისხლის სამართლის სისტემის შემუშავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მათ გაიზიარეს და ქართულ მეცნიერებაში გადმოიტანეს გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამომუშავებული დანაშაულის ცნების სამსაფეხუროვანი სტრუქტურა, რომლის მიხედვით დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით აღწერილი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება. ამ დებულებას 60-იანი წლებისათვის უკვე ძლიერი საკანონმდებლო ბაზაც გააჩნდა, რადგან 1958 წლის 25 დეკემბრის ზემოთხსენებული საკავშირო კანონი სწორედ ამ საში ნიშნით განსაზღვრავდა დანაშაულის ცნებას (იხ. მმ. 3, 7), რომელიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსში აისახა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მმ 3, 8).

მაგრამ, მიუხედავად ასეთი საკანონმდებლო ბაზისა, რუსულმა საბჭოურმა სისხლის სამართლებრივმა აზრმა მხარი არ დაუჭირა დანაშაულის ცნების სამსაფეხუროვან სტრუქტურას. ამ საკითხზე მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა თ. წერეთელსა და საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერების ფუძემდებელს აკადემიკოს ა. პიონტოკოვსკის შორის. ეს უკანასკნელი იცავდა დანაშაულის ცნების ერთსაფეხუროვან სტრუქტურას და დანაშაულის ცნებას დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან აიგივებდა.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, ზოგიერთმა მათგანმა გაიზიარა დანაშაულის ცნების სამსაფეხუროვანი სტრუქტურა და ამ საკითხზე პოლემიკა რუს და ქართველ მეცნიერთა შორის 80-იან წლებშიც გაგრძელდა. მაგრამ უმრავლესობამ ქართველი მეცნიერებისა პიონტოკოვსკის თვალსაზრისს დაუჭირა მხარი და დღესაც იმავე პოზიციაზე დგას. ასე, რომ დანაშაულის ცნების საკითხი თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთმნიშვნელოვნად არის გაგებული, რაც ქართველ მეცნიერთა მხრივ გერმანული ლიტერატურის სუსტი ცოდნით უნდა აიხსნას.



მაგრამ, ცხადია, მართო დანაშაულის ცნების სტრუქტურის გამოუმუშავება საკმარისი არ იყო და საჭირო გახდა სამეცნიერო საქმიანობის კიდევ უფრო გაღრმავება მთელი სისხლის სამართლის სისტემის ასაგებად. ამის ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 60-იან წლებში, როცა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს უფლება მისცეს უცხოური ვალუტით გამოეწერათ სამეცნიერო ლიტერატურა დასავლეთის ქვეყნებიდან. ჩვენ დაუყოვნებლივ ვისარგებლეთ ამ შეღავათით და ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ნელ-ნელა შეივსო გერმანულენოვან ქვეყნებში გამოცემული უახლესი ლიტერატურით. ამ გზით მივიღეთ ჰ. ველცელის ე. მეცგერის, რ. მაურახის, ა. კაუფმანის და სხვა გამოჩენილი გერმანელი ავტორების წიგნები. ჩვენს წინ გადაიშალა სრულიად ახალი სამეცნიერო სამყარო ჩვენთვის მანამდე თითქმის უცნობი პრობლემატიკით.

როგორც ცნობლია, იმ წლებში გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დიდ დავას იწვევდა უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღების შუაგულში იდგა ჰ. ველცელის ფინალური მოქმედების მოძღვრება. ამ პრობლემებს ქართველი მეცნიერებიც გამოეხმაურნენ. ჩვენ შევნიშნავდით ველცელის მოძღვრების ზოგიერთ დადებით მომენტს, თუმცა ფინალურ თეორიას საქართველოში მიმდევრები არ ჰყოლია.

ქართველ მეცნიერთა ყურადღება მიაპყრო ჰ. ველცელისა და ე. მეცგერის ცნობილმა პოლემიკამ უმართლობის სუბიექტური ელემენტების გამო. როგორც ცნობილია, ე. მეცგერის აზრით, განზრახვა მცდელობის უმართლობის აუცილებელი ელემენტია. მაგრამ, როგორც კი დელიქტი დასრულდება, ეს სუბიექტური ელემენტი, ე. მეცგერის შეხედულებით, ბრალის ელემენტად გადაიქცევა (იხ. E. Mezger, moderne wege der Strafrechtsgematik). ე. მეცგერს მხედველობაში ჰქონდა ის დელიქტები, რომელთა ჩადენა ზღებოდა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

ჰ. ველცელი, ჩვენი აზრით, ამაზე სწორად პასუხობდა. როგორ შეიძლება, ამბობდა ის, რომ სუბიექტური ელემენტი ერთ ეტაპზე დანაშაულის განვითარებისა მცდელობის უმართლობას ასაბუთებდეს, ხოლო მეორე ეტაპზე, ესე იგი დელიქტის დამთავრების დროს, იგივე ნიშანი ბრალის ელემენტად იქცეს.

მიუხედავად ამისა, ქართველი კრიმინალისტები არ ეთანხმებოდნენ ჰ. ველცელის გადაჭარბებულ სუბიექტივიზმს. ჰ. ველცელის მოძღვრებაში ორი დებულება იწვევდა ყველაზე დიდ ეჭვს: 1) მოქმედების ფინალურ საფუძველზე აგება, რომელიც ვერ ეგუება გაუფრთხილებლობითი დელიქტის სტრუქტურას და 2) პერსონალური უმართლობის მოძღვრება, რაც იწვევს ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა ერთმანეთში აღრევას.

რაც შეეხება ე. მეცგერის თვალსაზრისს, მას თ. წერეთელი იზიარებდა თავის უკანასკნელ ნაშრომში. თუმცა ვერც ეს თვალსაზრისი გვაკმაყოფილებდა, რადგან მიგვაჩნდა, რომ ე. მეცგერს სუბიექტური ელემენტების როლი უმართლობის ცნების აგებისათვის არასაკმარისად სრულად ჰქონდა წარმოდგენილი.

ჩვენი აზრით, არსებობენ დელიქტები, რომელთა უმართლობები ან წმინდა ობიექტური მომენტებით აიგებიან ან, ობიექტურთან ერთად, სუბიექტურ ელემენტებსაც საჭიროებენ. სუბიექტური ელემენტი უმართლობას ასაბუთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დელიქტი პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. ესე იგი, როცა მიზანი, რომელიც ჩვენ უმართლობის ერთადერთ სუბიექტურ ელემენტად მიგვაჩნია, პირდაპირ არის მიმართული შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევისაკენ.

ამ კონსტრუქციის მიხედვით მიზანი უმართლობას ასაბუთებს, უპირველეს ყოვლისა, არა მართო მცდელობის დროს, არამედ მაშინაც, როცა დელიქტი



დამთავრდა, მიუხედავად დელიქტის ტიპისა. ამავე დროს, ჩვენ ვიზიარებთ ე. მეცვერის შეხედულებას, რომლის მიხედვით, სუბიექტურ ელემენტს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში აქვს ორმაგი როლი: მის საფუძველზე შეიძლება აიგოს უმართლობაც და ბრალიც. უფრო მეტიც, სუბიექტური ელემენტი შეიძლება იყოს აგრეთვე შემადგენლობის ნიშანიც.

ამის შემდეგ საქართველოში გაიშალა მუშაობა თანამონაწილეობის პრობლემატიკის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე დასამუშავებლად. დაიწყო თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველის გამომუშავება, რომელიც გერმანულ და შვეიცარულ ლიტერატურაში საკმაოდ პრობლემატურია. მწვავე კრიტიკის საგნად იქცა საქართველოში, ე. წ. კორუფციის თეორია ანუ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, რომელიც ვფიქრობთ, თანამონაწილეობის პრობლემას საერთოდ აუქმებს და შლის ზღვარს თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის. ჩვენი აზრით, თანამონაწილის დასჯადობის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე ამსრულებელთან ერთად ასრულებს ერთიან უმართლობას. რაც შეხება ბრალს, ეს პერსონალურია და დანაშაულის ყველა მონაწილეს საკუთარი ბრალი მიუძღვის ამ ერთიან უმართლობაში.

თავის მხრივ, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ტიპის უმართლობაში, რომელიც აიგება სუბიექტური ელემენტის მეოხებით, ესე იგი, როცა დელიქტი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. სწორედ ამით არის დასაბუთებული დანაშაულის ყველა თანამონაწილის მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელება.

დანაშაულის ცნების სამსაფეხუროვანი სტრუქტურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა აგრეთვე პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემის აგება. გაზიარებულია გერმანულ მეცნიერებაში შემუშავებული თვალსაზრისი, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართალში უნდა დაიყოს ორ რიგად: 1) გამამართლებელი, ესე იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები და 2) საპატიო ანუ ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. თუმცა ეს პრობლემა საქართველოში ჯერ კიდევ დამუშავების საწყის სტადიაზეა და საჭიროებს გაღრმავებას.

საქართველოში ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა ბრალის პრობლემის ირგვლივ. მაგრამ დღემდე მაინც ბრალის ფსიქოლოგიური თეორიაა გაბატონებული. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქართველ კრიმინალისტებს კვლავ ბრალის ელემენტებად მიაჩნიათ. თუმცა მართლ ამით არ კმაყოფილდებიან და ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შემოაქვთ ნორმატიული ელემენტი — საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება (განზრახვა) ან მისი შეგნების შესაძლებლობა (გაუფრთხილებლობა). ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია ჩვენში ვერ განვითარდა, ჩემი აზრით, უფრო პოლიტიკური მოტივების გამო. |

ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისის შემუშავებაზე უთუოდ დამთრგუნველი ზეგავლენა იქონია რუსულ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულმა აზრმა, თითქოს ბრალის ნორმატიული ცნება, რომელიც შეფასების ელემენტს შეიცავს, შესაძლებლობას აძლევს დასავლეთის ქვეყნების ევრეთწოდებულ „ბურჟუაზიულ მოსამართლეს“ თვითნებობისა და კანონიერების დარღვევისათვის. ამ შეხედულების მიხედვით ბრალის ფსიქოლოგიური ცნება მყარ საფუძველს ქმნის კანონიერების განმტკიცებისა და მოქალაქის თავისუფლების დასაცავად სასამართლო ხელისუფლების თვითნებობისაგან.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურა გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ამ თვალსაზრისის თანახმად საპროცესო კანონმდებლობაში მატერიალურ სისხლის სამართალზე



დაყრდნობით უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სამი საფუძველი.

პირველი საფუძველი იქნება საქმის შეწყვეტა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. მაგალითად, ის, ვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა არ ჩაუდენია და მხოლოდ შეცდომით ან სასამართლო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით მიცემულია პასუხისგებაში, უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

ამავე საფუძველით ვერ გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით აღწერილ შემადგენლობას განახორციელებს, ვთქვათ, აუცილებელი მოგერიების ან მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის თუ სხვა მსგავსი გარემოების გამო. მის მიმართ საქმე უნდა შეწყდეს მართლწინააღმდეგობის არარსებობის დროს.

მესამე საფუძველი საქმის შეწყვეტისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა უნდა იყოს გათავისუფლება ბრალის არარსებობის გამო. ასეთი იქნება, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა მცირეწლოვანობის, ფსიქიური დაავადების გამო შეურაცხადობის, საპატიო უკიდურესი აუცილებლობის თუ სხვა მსგავსი გარემოების დროს.

ქართველმა იურისტებმა გაიზიარეს გერმანული საკანონმდებლო სრატეტიკის გამოცდილება და საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ნორმა, რომლის მიხედვით მძიმე შედეგი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილით დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, არ შეიძლება შეერაცხოს დამნაშავეს ბრალის გარეშე, ესე იგი, მის მიმართ უნდა დამტკიცდეს დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც (იხ. საქართველოს სსკ, მ. 11, გერმანიის სსკ § 13) ამ ნორმამ, რომელიც საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველოს კოდექსის თავისებურებას წარმოადგენდა, წამყვან რუს მეცნიერთა მოწონება დაიმსახურა.

შემდგომმა მეცნიერულმა კვლევამ ეს პრინციპი კიდევ უფრო გააღრმავა და შემუშავდა საკანონმდებლო წინადადება, რომლის თანახმად არა მარტო მძიმე შედეგი, არამედ ყველა სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი დანაშაულისა, რომელიც მოცული არ იყო დამნაშავეს განზრახვით, შეიძლება შეერაცხოს დამნაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნიშნის მიმართ მას გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც ჰქონდა (მ. უგრეხელიძე).

საქართველოში გერმანული სისხლის სამართლის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ გერმანული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების დრმად შესწავლაში ქართველ მეცნიერებს ხელს უშლიდა ენის უცოდინარობა: უკანასკნელ წლებში ეს დაბრკოლება თანდათან იხსნება, რადგან ქართველ ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა პირდაპირ გერმანიაში გაიღრმავოს ცოდნა. ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ამზადებს დისერტაციას თემაზე „გერმანული და ქართული სისხლის სამართლის სისტემების შედარებითი ანალიზი“ (მ. ტურავა). მომავალში ეს ურთიერთობები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაღრმავდება და, ვფიქრობთ, დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოში ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმაზე და საზოგადოდ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაზე.

ქ. ფრაიბურგი, 8. 1, 96 წ.





პიორბი ნაღარქიშვილი

## ზომიერება

**ზომიერებას**, როგორც ზნეობრივ თვისებას, ყურადღება მიაქციეს ძველ საბერძნეთში. ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში სათნოებას უკავშირებდნენ ისეთ ზნეობრივ თვისებებს, როგორიცაა სიმამაცე, სიბრძნე, სამართლიანობა და ზომიერება. არისტოტელე (ძვ. წ. 384—322) ფიქრობდა, რომ საერთოდ სათნოება და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი ფასეულობები არ არიან თანდაყოლილნი. ისინი გამოუმუშავდებოდათ ადამიანებს სოციალური პრაქტიკის მეშვეობით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ევოლუციის პროცესში.

ადამიანმა მიზანს უნდა მიიღწიოს სათნოებით აღჭურვილმა. სათნოება არის სწორი გზის არჩევის უნარი. არჩევანი კი უნდა გაკეთდეს ზედმეტობასა და უქონლობას შორის... სწორედ აქედანაა ზომიერების მნიშვნელობაც...


ზომიერებას და თავმდაბლობას ახალი სული შთაბერა ქრისტიანობამ. ზომიერება და თავმდაბლობა, როგორც მორალური თვისებები, ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მორწმუნეთა სასურველ თვისებად გამოაცხადა... და ზომიერების ასეთმა ამალგებამ კარგი სამსახური გაუწია კაცობრიობას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ზომიერების დაცვა არ ნიშნავს საკუთარი ღირსების დამცირებას, საკუთარი თავისადმი, საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის ან უკეთესი მომავლისადმი რწმენის დაკარგვას, უსასობას.

სტოიციზმის წიაღში წარმოიშვა პრინციპი — „მემენტო მორი“ — გასსოვდეს სიკვდილი, ე. ი. გასსოვდეს, რომ მომაკვდავი ხარო. ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, რომ თითქოს დღევანდელი დღე იყოს მისთვის უკანასკნელი, მოიქცეს უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით. ხსენებული პრინციპით ხელმძღვანელობა გულისხმობდა ზომიერების დაცვას როგორც მოქმედებაში, ასევე მეტყველებაში... ადამიანმა არ უნდა თქვას ისეთი რამ ან არ უნდა ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომლის გამოსწორების საშუალებაც არ ექნება მას ამ ქვეყნად — წუთისოფელში, ხოლო „მარადიულ სოფელში“, იმ ქვეყნად მას ამისათვის უთუოდ დაეკისრება პასუხისმგებლობა. როგორც რუსთველი იტყოდა, „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ზომიერებისაკენ მოუწოდებდნენ, ზოგჯერ ცნობილ საეკლესიო მოღვაწეებსაც თავი ვერ დაუდწევიათ უკიდურესობამდე მიყვანილი დოგმატიზმისათვის. ნაწილი საეკლესიო მამებისა ქადაგებდა, რომ საჭირო იყო ადამიანებს უბიწოების ნაჯახით გაეჩეხათ ქორწინების ტყე. მაგრამ ქრისტიან მოღვაწეებს ეყოთ გონიერება ხელი აეღოთ რელიგიური მოძღვრებიდან უკიდურესი დასკვნების გაკეთებაზე და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ უმაღლესი სანქცია მისცეს საქორწინო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას რელიგიურ საფარველქვეშ. ისტორიული ფაქტია, რომ ერთხელ ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ — ფრანსუა ასიზელმა (1182—1226) ერთ-ერთ ქალაქში იმდენად ბრწყინვალე აგიტაცია გასწია ბერ-მონაზნობის სასარ-





გებლოდ, რომ ყველა ახალგაზრდამ გადაწყვიტა მიედო ფრანცისკანელთა ორდენის აღთქმა, მაგრამ ჭკვიანი ბერი შეაშფოთა ასეთი ნაბიჯის მომავალმა საზოგადოებრივმა შედეგებმა და ხალხს ურჩია ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე. ამ გამოცდილებამ უკარნახა ფრანსუა ასიზელს დაეარსებინა ახალი — ე. წ. ტერციარების ორდენი, სადაც ადამიანები, მართალია, შეადგენდნენ სასულიერო ძმობას, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებდნენ თავიანთ საერო მდგომარეობასაც, ე. ი. ქორწინებასა და ოჯახს. ფრანსუა ასიზელის წინდახედულებამ და ზომიერებამ გაიმარჯვა უკიდურესობამდე მიყვანილ დოგმატიზმზე. მაგრამ ისტორიამ მრავალზე მრავალი შემთხვევა იცის იმისა, როდესაც წინდაუხედავად, გადაჭარბებულად და გაზვიადებულად გამოყენებულ პოლიტიკურ დოგმას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება შეუფერხებია. დღევანდელ ჩინეთში ამკარად აღიარებენ, რომ ე. წ. კულტურული რევოლუციის ორი ათეული წელი „გაცდენილი“ და „უნაყოფო“ იყო ამ გიგანტური სახელმწიფოსათვის. თუ სახელმწიფოს მეთაურს აკლია ზომიერება, ეს აირეკლება მის მიერ გატარებულ პოლიტიკურ მიმართულებაზეც. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა საბედისწერო როლს ასრულებს. „პოლიტიკა ბედიაო“, უთქვამს ნაპოლეონ ბონაპარტეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე სამყაროში სახელმწიფო და მის მიერ გატარებული პოლიტიკა ისეთსავე დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, როგორსაც ბერძნულ ტრაგედიაში ბედისწერა...

ზომიერება ღალატობდათ ძველ ეგვიპტელ ფარაონებსა და ჩინელ იმპერატორებს, როდესაც ისინი მათზე დამოკიდებული — ჩაგრული ხალხების წარმომადგენლებისაგან მოითხოვდნენ უზომოდ თავის დამცირებას, რაც აისახებოდა დიპლომატიურ ცერემონიაში და მიმოწერაში. სირიელი მთავრები ეგვიპტის ფარაონთან მიმოწერაში თავიანთ თავს უწოდებდნენ „ფარაონის ძაღლებს...“

გადაჭარბებულად ცალმხრივმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა პრინციპულად გამორიცხავდა მტრის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, თავი იჩინა IV—V საუკუნეებში. შემორჩენილია ინფორმაცია ნეტარი ავგუსტინეს (354—430) მიერ ჩრდილოეთ აფრიკელი მემამულის პუბლიკოლას შეკონებისა. ამ უკანასკნელს ეჭვები ღრღნიდა — ხომ არ იქნებოდა ანტიქრისტიანული საქციელი და ცოდვა, თუ ქალაქის დასაცავ კედელს ააშენებინებდა და დამპყრობელთა სისხლს დაღვრიდა თავდაცვის ვითარებაში? პუბლიკოლას შეკითხვაზე ნეტარმა ავგუსტინემ კითხვითვე უპასუხა: განა დასაშვებია, რომ ქრისტიანის ჯოგში ხარები ურქოდ იყვნენ ან რემაში ცხენები უფლოქვებოდ, აქაო და ამით ვინმეს ზიანი არ მიაყენონო.

ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც დამნაშავე მხარეს სინდისის ნასახი მაინც შერჩენია და წინააღმდეგობის გაუწევლობას შეაფასებს როგორც მოწოდებას დანაშაულზე ხელის აღებისა. ქრისტიანული სოციალური პრაქტიკა ბოროტების ძალით აღკვეთას არ უარყოფს, ზომიერების დაცვით უნდა მოხდეს სოციალური სინამდვილისა და სოციალური იდეალის მორიგება. „რაც უნდა ვნება ზღვასავით გულში გიღელავდეს... მაინც საამო ზომიერება იქონიე“, — გვარიგებდა შექსპირი.

იურისტი ა. კონი წერდა, რომ „ადვოკატი (დამცველი) უნდა იყოს ადჭურვილი კანონთა ცოდნით, დიდი პატიოსნებით, ზომიერი თავისი ხერხებით და მატერი-ალურად უანგარო“... ასეთ კონტექსტში ზომიერებას, როგორც სათნობას, დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული, მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც მკვლევარი წერს, რომ მას „ქართულ ჩუქურთმაში მუდამ ხიბლავს ზომიერება“, ამ შემთხვევაში ზომიერება მეცნიერულ გარკვეულობასაც ღებულობს.

ცნობილმა პოეტმა ანა ახმატოვამ, როდესაც ის ალექსანდრე პუშკინის შესახებ მონოგრაფიას წერდა, აღნიშნა, რომ „მწერლის მომავალი ბიოგრაფია და რე-



რეპუტაცია დამოკიდებულია ლიტერატურის ისტორიკოსთა ზომიერების გრძნობაზე“.

უეჭველია, რომ ზომიერების გრძნობას მეცნიერული მნიშვნელობა და განზომილებაც აქვს. ქართულ ანდაზაში — „წმინდა ბერი წმინდად წაწყმდა“ — უნდა იყოს გატარებული, რომ უკიდურესობამდე მიყვანილ სიწმინდე-პატიოსნებასაც კი ურყოფით შედეგებამდე მივყავართ. მაქსიმალიზმი და უკიდურესობა სოციალურ პრაქტიკაში ყოველთვის უარყოფით შედეგებს იწვევს.

ქრისტიანული ეკლესია სასულიერო პირებისაგან გონივრულ ზომიერებას მოითხოვდა. არც თეთრი და არც შავი სამღვდელოების წარმომადგენელს არ ეკრძალებოდა, ვთქვათ, ღვინის სმა, მაგრამ აქ მას უნდა გამოეჩინა ზომიერება. დაუშვებელი იყო სასულიერო პირის სიმთვრალე. თვით მონასტრებშიც კი ბერს ღვინო ეძლეოდა, მაგრამ, ცხადია შეზღუდულად და ზომის დაცვით. მშვენვირად ესმოდათ, რომ მცირე ოდენობით, ე. ი. ზომიერად ღვინო წამალია, ხოლო უზომოდ — დასათრობი დოზით — საწამლავი. „მცირე სჯულისკანონი“, რომელიც მოქმედი საეკლესიო სამართლის ძეგლი იყო ფეოდალურ საქართველოში, თეთრი სამღვდელოების მისამართით აწვევებდა შემდეგ ქცევის წესს:

„და შემდგომად ჟამისწირვისა ვამცნებთ ხუცესთა და დიაკონთა, რაჲთა ეკრძაღნენ მეტისა ღვინისა სუმად, რამეთუ არაოდეს ჯერ-არს მღვდელთა და დიაკონთა მეღვინეობაჲ. ხოლო უმეტესად დღესა მას, რომელსაც ჟამი ეწიროს, ყოვლადვემცანუ იკადრებენ მეტისა ღვინისა სუმად, რაითა არა საბრხესა მტერისასა შთავარდენ, არამედ ყოვლით კერძო კრძალულობითმცა იქცევიან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი უბიწოდ და უბრალოდ, რათა საონო ეყვენენ მეუფესა და უფალსა თვისსა“.<sup>1</sup>

მოციქულთა კანონების მიხედვით, რომელიც „დიდ სჯულისკანონში“ იყო მოთავსებული, დადგენილი იყო, რომ ეპისკოპოსი, ხუცესი ან დიაკვანი (დიაკონი) თუ დათვრებოდა, საეკლესიო სასჯელით დაისჯებოდა ან გარკვეული დროით აუკრძალავდნენ ღვთისმსახურების აღსრულებას ან საერთოდ „განკვეთდნენ“ ეკლესიისაგან.

სასულიერო პირის სიმთვრალე ზომიერების დარღვევად ითვლებოდა. მღვდელს არ ეკრძალებოდა საქორწილო ღვინოში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მისგან მოითხოვდნენ მკაცრად განსაზღვრულ ზომიერებას. დადგენილი წესის თანახმად, მღვდელი ქორწილს, საქორწინო ღვინოს თავიდან ბოლომდე არ უნდა დასწრებოდა. ჩვეულებრივ მას მანამდე ჰქონდა საქორწინო სუფრაზე დასწრების უფლება, სანამ ის სასულიერო პირისთვის დადგენილი ზომიერების ფარგლებს არ გასცილდებოდა. საქორწინო ღვინოს მღვდელი დიდხანს არ უნდა შერჩენოდა. ის მას მოკლე ხანში ოთხგვებდა და ფაქტობრივად მისი წასვლის შემდეგ იწყებოდა შედარებით შეუზღუდველი ღვინო და ღრეობა.

„მემთვრალეობას“ სასტიკად გმობდა, როგორც ეკლესია, ასევე საზოგადოებრივი აზრიც. „მოსუმურობისათვის“ დამნაშავე ბერს მონასტრიდან განდევნიდნენ, მოიკვეთავდნენ. იოანე ბოლნელი აშკარად ქადაგებდა სიმთვრალის წინააღმდეგ.

ქართული მონასტრების წესდებაში ზომიერება და წესიერება უმაღლეს სათნოებად იყო მიჩნეული. „ვაჰანის ქუაბთა“ განგებაში — „სამონასტრო წესდებაში“ — საგანგებოდ იყო დაგმობილი როგორც სიმთვრალე, ასევე ზედმეტი ჭამა-ნაყროვნება, მუცელმერთობა. სათანადოდ იყო დამოწმებული პავლე მოციქულის წერილი (ეპისტოლე) ეფესელთა მიმართ: „ნუ დათვრები ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით“ (V, 18). იმავე პავლე მოციქულის სხვა ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (1, 6, 10) პირდაპირ იყო მითითებული, რომ

<sup>1</sup> „მცირე სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადა ელვუჯა გიუნაშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1972, გვ. 77.



„ვერც მპარაენი, ვერც ხარზნი, ვერც ლოთინი“... ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველს. ზომიერება იდეალური სათნოების დონემდე აღზევდა ქრისტიანული იდეოლოგიის წიაღში. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულატურაში, როგორც ეს შუა საუკუნეების ბიზანტიური დიპლომატიკის მასალებიდანაც ჩანს, „მისი ზომიერებაც“ შედიოდა.

1768 წელს მეფე ერეკლე მეორისა და პატრიარქ ანტონის (პირველი) ხელმოწერით გამოცემული კანონით, რომელსაც „ცნებაჲ მღვდელთათვის“ ერქვა, მღვდლებს ეკრძალებოდათ „სასმლისა და საჭმლის დაჭარბება“, „უძღებად სმა და ჭამა“.<sup>2</sup> „უკეთუ ვინმე ეს მცნება არ დაიმარხოს, ეპისკოპოსმან ამხილოს, და კუალადცა არ შეისმინოს, განიკუეთოს, სამწყსოც ჩამოერთვას; ამისათვის, რამეთუ არა ჯერ-არას უძღებთა და მემთვრალეთა მღუდულობად“, „ამად ვაფრთხილებთ მღუდელთა და ვაკრძალებთ: ნურაოდეს ნუ დაითრობიან, თორემ მღუდულობა ჩამოერთვათ ჭეშმარიტად“.

მასასადამე, არსებობდა უზენაესი საკანონმდებლო მოთხოვნა — განაწესი, რომლის მიხედვითაც ზომიერება სასულიერო პირთა განსაკუთრებულ სათნოებად იყო მიჩნეული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ არაიშვიათად ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქები თავს იწონებდნენ ზომიერებით, როგორც სპეციფიკური სასულიერო სათნოებით.

ცხადია, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცალკეული სასულიერო პირი უღირსად იქცეოდა, ანგარებას უხდიდა ხარკს და ზომიერებას ღალატობდა. ასეთ შემთხვევაში მას მიუთითებდნენ გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო დანაშაულისათვის სჯიდნენ. ჩვენამდე მოაღწია 1218 წლით დათარიღებულმა ეტიფანე კათალიკოსის „დაწერილმა“ ანელ ხუცესთა სარგოს განწესების შესახებ. კათალიკოსმა დავმო პრაქტიკა, როდესაც მღვდლები გვირგვინთა კურთხევისათვის დაქორწინებულებს ას დრამას ახდევინებდნენ... და დადგენილ იქნა გაცილებით ნაკლები და ზომიერი გამოსადები ხუცესთათვის გვირგვინის კურთხევისათვის.

საეკლესიო სასამართლოს ნორმების თანახმად ის სასულიერო პირი, რომელიც ღვთისმსახურებას მთვრალი შეასრულებდა ან ეკლესიაში ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმეს, კარგავდა უფლებას ყოფილიყო საეკლესიო თანამდებობის პირი.

ზომიერება და თავშეკავება ევალბოდა სამღვდლო პირს აუცილებელი მოგერიების ვითარებაშიც. რუსული მართლმადიდებლური ეკლესია იზიარებდა შეხედულებას, რომლის თანახმადაც სასულიერო თანამდებობიდან უნდა გადაყენებინათ ის პირიც კი, ვისაც თუნდაც აუცილებელი მოგერიებისას კაცი შემოაკვდებოდა. ზომიერების დაკარგვას არც ერთი პარტიისათვის, არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის არ მოუტანია დაფნის გვირგვინი. რევოლუციური რადიკალიზმი და მაქსიმალიზმი ყოველთვის კრიჭაში ედგა ზომიერებას. ამიტომაც, ე. წ. „რევოლუციურ მოაზროვნეთა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ კ. მარქსმა აღმოაჩინა ისტორიის განვითარების კონონებო, აშკარად მოკლებულია ზომიერებასაც და ჭეშმარიტებასაც.“

მხოლოდ ზომიერებას მოკლებულ რადიკალს და „რევოლუციონერს“ შეეძლო ეთქვა, რომ სამართალს, ისევე როგორც რელიგიას, საკუთარი ისტორია არა აქვს, რომ რელიგია ოპიუმია ხალხისათვის, რომ გვჭირდება „არა სინდისის რელიგიური თავისუფლება, არამედ სინდისის გათავისუფლება რელიგიური ცრურწმენისაგან“.

და ა. შ.

კომუნისტურმა წესწყობილებამ სსრ კავშირში თავისი ზომის გადასული უკიდურესი ეტატიზმით და კომუნისტური მსოფლმხედველობის დიქტატურით, დაიმ-

<sup>2</sup> იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, თბ., 1970, გვ. 871-877.



სახურა არა პროგრესის პრინციპის შემოქმედის და კაცობრიობის მომავლისაკენ გზის გამკვლავის სახელი, არამედ ზომიერებას მოკლებული უკიდურესი ლიტარული სისტემის სახელი.


ფილოსოფოსმა ნ. ა. ბერდიაევმა ბოლშევიკების ბელადს ვ. ი. ლენინს უწოდა „თითქმის გენიოსი უხეშობისა“... და ცხადია, ეს უხეშობა ზომიერების და გონიერების დეფიციტს უკავშირდება. ზომიერებას თან ახლავს თავშეკავებულობა და მოთმინება. ქართული ანდაზის მიხედვით „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, გონიერული მოთმინება და ზომიერება ამშვენებს ადამიანს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა — ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე დაკარგა ზომიერება, გაიხადა ფეხსაცმელი და როგორც უკიდურესმა ხულიგანმა, მაგიდაზე ურტყა, რითაც ხელს უშლიდა ამ უმაღლესი ფორუმის მუშაობას... ეს, მისი აზრით, საბჭოურ-რუსული პროტესტის ნორმალური გამოსატულება იყო. ზომიერება, როგორც სათნობა, თავის გაშლა-გამოვლენაში კანონზომიერებას უკავშირდება. თუ სწორია ვ. კ. ჰეგელის დებულება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ისტორია არის პროგრესი თავისუფლების განვითარებისა და მისი განუხრელი განხორციელებისა, ცხადია მისი სოციალური იდეალიდან სოციალურ სინამდვილედ გადასატყვევად ზომიერებით აღჭურვილ ადამიანთა გარდა სხვა მასალა არ არსებობს.

ზომიერება, როგორც სათნობის შემადგენელი ნაწილი, უპირველესი თავისუფლება და ღირსებაა ხალხისათვის. ზომიერება დაკავშირებულია ზნეობასთან, სამართალთან, რელიგიასთან, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებასთან... საფიქრებელია, რომ მათ ერთი საერთო წყარო ასაზრდოებს.

სოლონს (ძვ. წ. VI ს.) ცნობილ ძველ ბერძენ კანონმდებელს ერთ-ერთს შვილი ბერძენი ბრძენიდან მიეწერება გამოთქმები: „ვინც ისწავლა საკუთარი თავის მართვა, ის შეძლებს სხვების მართვასაც“, „ისეღმძღვანელებ გონებით“ და „ყველაფერი აკეთე ზომიერად“. თვით სოლონის არქონტობის დროს ათენში განხორციელებული საკანონმდებლო აქციები მეტ-ნაკლებად გამოდგება კანონმდებლისა და კანონმდებლობის მიერ გამოჩენილი ზომიერების ნიმუშად.

ძვ. წ. VII საუკუნის დამლევს ატიკის მოსახლეობაში დიდი მღელვარება შეიმჩნეოდა. ეს ჩანს არისტოტელეს ნაშრომიდან „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ (II). სოლონის დროს მდიდრები და ღარიბები გააფთრებული ებრძოდნენ ერთმანეთს. ატიკის მთელი ადგილ-მამული ერთი მუჭა მდიდრების ხელში იყო. ვალაუვალ ღარიბ დებიტორებს მონებად ჰყიდდნენ. ბევრი მოვალე იძულებული იყო გაეყიდა საკუთარი შვილები. ბევრს ეგონა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი, რომელიც ხალხს წონასწორობაში მოიყვანდა და წესრიგს დაამყარებდა, ტირანია იყო. ათენელი ხალხის სხვადასხვა ფენებს შორის მტრულმა ურთიერთობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მაგრამ ორივე მებრძოლმა მხარემ შესძლო ზომიერების დაცვა და ურთიერთშეთანხმებით ძვ. წ. 594 წელს სოლონი აირჩიეს არქონტად. სოლონმა გააუქმა სასტიკი სავალო კანონები. მოახდინა ვალების სრული გაუქმება და აკრძალა სესხის აღება მოვალის (დებიტორის) დამონების პირობით. სოლონის ასეთ საკანონმდებლო ღონისძიებას „სისისათეია“ — ტვირთის მოხსნა უწოდეს. ცხადია, ბევრი მოელოდა, რომ სოლონი მოახდენდა ადგილ-მამულების თანაბარი ოდენობით გადანაწილებას ათენელთა შორის, მაგრამ მან ასეთი უკიდურესი ღონისძიების გატარებისგან თავი შეიკავა, შეინარჩუნა სახელმწიფო მოღვაწისათვის საჭირო ზომიერება და ამით ათენი იხსნა მძიმე შედეგებისაგან. დიას, სოლონს რომ გლახობის რადიკალური ნაწილის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა მიწები თანაბრად გაენაწილებინა და სრული პოლიტიკური თანასწორობა მიენიჭებინა მთელი მოსახლეობისათვის, ეს არარეალური დამდუპველი ნაბიჯი იქნებოდა მაშინდელ ვითარებაში, მონათმფლობელურ საბერძნეთში...





ზომიერებით რომ ყოფილიყვნენ შემკულნი ძველი თუ ახალი სამყაროს ის დი-  
დი სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც ეს სათნოება ასე თუ ისე აკლდათ, ცხა-  
და, მსოფლიო სხვა ისტორიულ სიმაღლეზე აღმოჩნდებოდა. ვ. ლენინისა და ლე-  
ნინელების მხრივ გამოჩენილი „რევოლუციური“ მაქსიმალიზმი, ექსტრემიზმი და  
ზომიერების გრძნობის დაკარგვა ძვირად დაუჯდა რუსეთს, ყოფილი რუსეთის იმ-  
პერიის ხალხებს, ევროპასა და თუ გნებავთ, მთელ მსოფლიოსაც. რუსული რევო-  
ლუციონერების რევოლუციური რადიკალიზმი, მაქსიმალიზმი, ე. წ. „რუსული კო-  
მუნისმი“ გააკოტრა ზომიერების დაკარგვამ. ასე სჯის „ისტორიის ღმერთი“ ყველას,  
ვისაც დაუკარგავს რეალობისა და ზომიერების გრძნობა.

ძველი ჩინური ფილოსოფიური თხზულების — „სათნოების წიგნის“ ავტორი  
ლაო-ძი (ძვ. წ. VI ს.) ზომიერებას აღიარებდა ადამიანთა მოღვაწეობის საერთო  
ზნეობრივ კანონად. მისი აზრით, ზომიერება აწესრიგებს და აწონასწორებს ადა-  
მიანის ყოველნაირ გამოვლინებას. „ვიცა ბევრს ღაღადებს — მარცხდება. ზომი-  
ერება ყოველივეს ძირი და ფუძე“. ფილოსოფოსის აზრით, ზომიერება ყოფიერების  
მარადიული და უცვლელი კანონია. ჩინელები მას „მარადიულ ზომიერებას“ („ჯუნი  
იუნ“) უწოდებენ.

ზომიერება უკიდურესობებს გარიდებული არსებობაა. „ზომიერება გონებით  
შემიძენება და თავად არის გონების გამოვლინება, მისი სახესხვაობა“...<sup>3</sup>

3. ლაო-ძი, დაო ღემინი, გამოცემლობა „განათლება“, მეორე გამოცემა, თბ., 1990, გვ. 66.





## სერგო ჯორბენაძე 70 წლისაა

**ჩვენი** ქვეყნის ინტელექტუალურმა საზოგადოებრიობამ მოკრძალებითა და გულითადად აღნიშნა სერგო ჯორბენაძის სამეცნიერო, პედაგოგიკური და საასპარეზო ღვაწლი მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით. რეგალიები — წოდებანი და ჯილდონი მრავლად გააჩნია ბატონ სერგოს, ამიტომ ახლა მათი აღნუსხვა-გასაჯარისება განსაკუთრებულს არაფერს შეჰმატებს მის სახელს — იგი თავადაა რეგალია კაცური კაცობისა, სიბრძნისა, ჭმუნვისა და გრძნეულებისა, რითაც ასე წელგამართულად, ნათელი სახითა და დიდი ადამიანური უფლებით ვლო მან ცხოვრების ართკუ ხანგრძლივ გზაზე.

ფართოა ბატონი სერგოს მეცნიერული თვალსაწიერი — ფუნდამენტური განათლებით აღჭურვილი, ღრმად ერუდირებული სოციოლოგი, ნიჭიერი პუბლისცისტი, მშვენიერი კალმოსანი, შესანიშნავი ორატორი, ავტორია მრავალი ნაშრომისა — საერთო ეროვნული მნიშვნელობის პრობლემატიკის თუ იურისპრუდენციის სხვადასხვა სფეროს რომ შეეხება, რის გამოისობით, იუბილარის მონააზრები მონოგრაფიული კვლევის საგანია.

თუ ქანდაკების სრულყოფილად აღქმას ყველა სამხერიდან ჭვრეტა ეგების, უწინარესად ეს ეგების ღვაწლმოსილი ადამიანის შეცნობას, მისი ნამოქმედარის თუ ნაფიქრალის შეფასებას.

პიროვნების ფენომენის ცნება ჭეშმარიტად რომ ბატონ სერგოს მიესადაგება. უწინარესად, ეს ჩანს იუბილარის უზადო მამულიშვილობაში, სამშობლოს განუზომელ, თუმცა, გონივრულ სიყვარულში, მისადმი ნაამაგრობაში და, რაც მთავარია, სულ-ხორციელ სიწმინდესა და შემნდობ ხასიათში.

ღვთით ნაბოძები გონით ტვირთული ყმის 50-წლოვანი შემოქმედებითა ცხოვრების ყოველი დღე ერთ-ერთი ფურცელია ჩვენი სათაყვანებელი უნივერსიტეტის ისტორიისა, უნივერსიტეტისა, ასე ფრთაშლილ თეთრი კედლივით, ერის დარაჯად დედაქალაქში რომ წამომდგარა. აქ, ამ კურთხეულ ტაძარში აღზრდილმა, აკი მიუძღვნა მას არაერთი მრავალგზის აღიარებული გამოკვლევა, მათ შორის, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, რაიცა ზნეობრივ მემკვიდრეობად დარჩება მაღლიერ შთამომავლობას.

საიუბილეო დღეებში ბატონი სერგოს თანამოღვაწეებმა ბევრი საგულისხმო ამბავი გაიხსენეს მასთან ურთიერთობიდან და ეს შეულამაზებელი, უანგარო მოგონებანი მეტ-ნაკლებად წარმოაჩენენ მის პორტრეტს. ჩვენ კი ვით ავირჩიოთ თუნდაც რომელიმე ფრაგმენტი მოგონებათა იმ კლიტულიდან, ასე ღრმად რომ ძეგს ჩვენს მეხსიერებაში?

ეს იყო 50 წლის იქით, როცა უნივერსიტეტის ეზოში ერთი ჯერ კიდევ კაფანდარა ყმაწვილი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სახელით დამაფიქრებელი სიტყვით გამოეთხოვა დიდ განმანათლებელს იროდიონ სურგულაძეს. მაშინ იმ სულისა და აზრის შემხუთველ ჟამს, სიტყვა იგი, თუმც შეფარვით წარმოთქმული, საჯარო შერკინება იყო გამეფებულ რუტინასთან, სიტყვა მგმობი ინტელექტუალური მონაგარის უსაფუძვლოდ უარყოფისა. განსვენებული ოფიცინოზისგან დასავლური, ე. წ. ბურჟუაზიული მეცნიერების აპოლოგე-



ტად იყო შერაცხული. საოცარია, ვით არ მიიქცია მაშინ ამ გამოსვლამ ლურჯ-ქუდიანთა ყურადღება. მაგრამ, საბედნიეროდ, საზოგადოებას ამით ეუწყა, რომ უნივერსიტეტის სწავლულ ქურუმთა ძნელად შესაღწევ ოჯახს სამომავლოდ ღონიერი, წიგნიერი, შემართული და გულწრფელი მეცნიერი შეემატებოდა.

ბატონი ნიკო კეცხოველი, ახლა რომ თითქმის ჩრდილფენილია, ბრძენი, საპშობლოზე გულანთებული პიროვნება ბრძანდებოდა, რომლის ნეშტი, ვფიქრობთ, დაუძაღვლებლად იმსახურებდა უნივერსიტეტის შემოგარენში განსვენებას, მასზედ გაწეული დიდი ამაგის ნიშნად. ჰოდა, ამ პატრიოტის თაოსნობა იყო უნივერსიტეტის თითქმის ყველა სპეციალობის სტუდენტ-ასპირანტთა მაშინდელი სახელმწიფოს უმაღლესი განათლების სზგადასხვა კერაში მეტი დაოსტატებისთვის მივლინება. ჩვენდა საამაყოდ, ახალგაზრდათა ეს დიდი ნაკადი ასე რომ მიწოფინა ქვეყნის კუთხეებს, უკლებლივ, შუბლნათელი, ცოდნადჭურვილი, მკერდსავსე დაუბრუნდა სამშობლოს.

ბატონი სერგო ერთ-ერთი პირველთაგანი ბრძანდებოდა იმ პლეადიდან, ქართველ მოსწავლე იურისტთა, თუ შეიძლება ითქვას, კოჰორტას რომ შეადგენდა. სწორედ სერგო გახლდათ ამ პლეადის მიღწევათა ანგარიშმგებელი ბატონი ნიკოს წინაშე მისი დროაღდრო მოსკოვში ჩაბრძანებისას.

განსწავლულობისთვის ბეჯითობის მაგალითი იყო სამეცნიერო გზაზე შემდგარი სერგო ჯორბენაძის სწავლა მოსკოვის ასპირანტურაში. ჯერ კიდევ თბილისში შესანიშნავი მასწავლებლების — ალექსანდრე ვაჩიშვილის, თინათინ წერეთლის, დიმიტრი პოლუმორდვინოვის, იოსებ მრეველიშვილის და სხვათა გარემოში ფეხადგმულმა, სულ მალე მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში აღიარება მოიპოვა. ერთ ეროვნულ ფასეულობად ღირდა სამეცნიერო საბჭოს შეკრებებზე მისი პაექრობანი ისეთ მსოფლიო ავტორიტეტებთან, როგორნიც იყვნენ იურისპრუდენციის კლასიკოსები — პერეტერსკი, აგარკოვი, გენკინი, ფლეიშცი, ბრატუსი, პიონტოვსკი, ტრაინინი, ალექსანდროვი და სხვანი.

ასპირანტთა სემინარულ კოლოკიუმებზე იუბილარის გამოსვლებს იმდენი აკადემიურობა და აზრის მიმოქცევა გააჩნდა, რომ მუხლმოდრეკით სთხოვდნენ მას თანამაძიებელნი, არ დასწრებოდა ასეთ შეკრებებს, რამდენადაც ვერ უძლებდნენ მის თონენტობას. არც ყმაწვილკაცური გატაცებანი აკლდა მაშინ ბატონ სერგოს — ლიტერატურა, ხელოვნება, განსაკუთრებით სპორტი მისი მუდმივი ინტერესების წრეს შეადგენდა.

შემდგომ და შემდგომ, შრომისა და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე იგი თვალსაჩინო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. დიდი წილი და პატივი ერგო მას, რომ ვიქტორ კუპრაძის, ილია ვეკუას, ევგენი ხარაძის, ივანე ბერიტაშვილის, შალვა ნუცუბიძის, აკაკი შანბის და სხვათა კვერდივერდ თავგამოდებით ემოღვაწნა უნივერსიტეტის ავტორიტეტის ასამაღლებლად, უფრო გასაერვნულებად, მისი რეზონანსის განსავრცობად. ამიტომაც, ამ პიროვნებათა ბიოგრაფია ერთი ნაწილია იუბილარის მდიდარი ბიოგრაფიისა, რაც მის მომავალ მემუარებს ცხოველ ინტერესს შეჰმატებს და დაამშვენებს.

იმ წყეულ 56 წელს, დაგუბებული ეროვნული სულის ამბოხის ჟამს, იგი ერთ-ერთი მედროშე ბრძანდებოდა ჯერ კიდევ სრულიად გაუცნობიერებელი მოძრაობისა. სწორედ ეს ჟამი იყო საწყისი იუბილარის იდეოლოგიურ მრწამსში ბზარის გაჩენისა და დაქვევებისა. ალბათ, მრავალთ ახსოვთ ამ ასპარეზზე გამართულ ბატალიებში ბატონი სერგოს გმირობის ტოლფასი გამოსვლები, ნამოქმედარი. ასევე დაუვიწყარია იუბილარის ზეკაცობა იმ ორომტრიალში, როცა



დედა-ენას ცენტრისტული ოფიციალიდან ყოფნა-არყოფნის საშიშროება დაემუქრა.

ბატონი სერგო ღირსეული მოქალაქე, შეუვალი პიროვნება და უბაღლო ლექტორია. მიმოიკითხეთ უნივერსიტეტულ იურისტებში — ვინ იყო მათი კუმირი ნათელი აზრის მოწოდებისა, ცოდნის უმურველად გაღებისა თუ ზნეობისა. და, პასუხი უმაღ და ცალსახა იქნება — სერგო ჯორბენაძე.

თვისებათა ეს კონა მისი წარმომავლობითაა გაპირობებული — სერგოს ნეტარსხენებული მშობლები — ქალბატონი ანასტასია, ბატონი მანასე, მთის ჰაერით სულგამჭვირვალე, შრომაში დამაშვრალი, ჭირთამთმენი, ფაქიზი, მოყვასეობით აღსავსე, ლამაზი და მომხიბლავი ადამიანები ბრძანდებოდნენ. მადლობა მათ ასეთი შთამომავლობისთვის.

იუბილარი თვინიერი მეოჯახეა. მშვიდი მეუღლე, შესანიშნავი ბიჭების მამა და გონდაკარგული ბაბუა. ამ ჰარმონიის მოთავეა მისი უახლოესი მეგობარი, უპრეტენზიო, ბუნებით ყოველად შემკული ქ-ნი ნუნუ. მადლობა ამ ჯვალას სერგოსადმი ასეთი თანადგომისა და ზრუნვისთვის.

დაბოლოს, კიდევ ერთი ნიშანთვისებისა და ფასდაუდებელი დეაქლის აღსანიშნავად: ბატონი სერგოს ცხოვრების გზა არ ყოფილა სულ ია-ვარდ მოფენილი. არცთუ ცოტა ტკივილი განუცდია მის გულს ზოგ-ზოგთა მხრივ უსამართლო დამოკიდებულების გამოჩენისა გამო. მიუხედავად ამისა, ბოღმის ნატამაღს არ დაუბუდრებია მასში. ამ კურთხეულ მიწაზე უცოდველად მავალი კაცი, თვითაა სხვათა ცოდვების შემნდობი, თანამყოფთა შორის მცდარი ურთიერთობების გარკვევის მოსურნე.

სულ ახლახანს, ბატონი სერგოს თაოსნობით, მისი უშუალო, აუნაზღაურებელი შრომის შედეგად დამთავრდა საქართველოს ისტორიაში პირველი, დამოუკიდებელი სამოქალაქო სამართლის, ნამდვილად ეროვნული კოდექსის შემუშავება, ამ სფეროში ცივილიზებული მსოფლიოს მიღწევათა გათვალისწინებით. როგორც ზოგადად განმარტავენ, იგი კონსტიტუციის ტოლფასი ნორმათა ერთობლიობაა, რომელმაც სრულიად ახლებურად უნდა მოაწესრიგოს ახლებური სამართლებრივი ურთიერთობანი. გამარჯვება, დამკვიდრება და შედეგაიანობა ვუსურვით სერგოსეულ 1400 მუხლობრივ ჩანაფიქრს.

კმარა? რა თქმა უნდა — არა, მაგრამ ახლა მადლობა უნდა ვუთხრათ იუბილარს, მისი ასეთად ამალღებული ძეობისთვის სამშობლოსა.

პატივცემულო მკითხველო! ეს მისალმება პანეგირიკი არაა, არც ამ პიროვნებისადმი თითქოს ბრმა სიყვარულით გამოწვეული აღფრთოვანება, მით უმეტეს, არცა რაიმესა გამო მის მიმართ ხარკის გაღებაა. არა, უბრალოდ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით ერთად განვლილი გზისადმი თვალის წუთიერი შევლებაა.

საქართველოს იურისტთა კავშირი, ყურნალ „სამართლის“ რედაქცია და ბადების 70 წელთან დაკავშირებით მიესალმება, მათ ერთ-ერთ მოამაგეს, ბატონ სერგოს, უსურვებს კვლავინდებურად სულის მხნეობას, ჯანმრთელ სიცოცხლეს და ადამიანურ ბედნიერებას.

კავშირისა და რედაქციის სახელით  
ზურაბ რატიანი.








# ჩ ე მ ი

## სსოპრების

### გ ზ ა \*



გულწრფელად დიდ უხერხულობას ვგრძნობ იმის გამო, რომ უნდა შევა-  
წუხთ ჩემს შესახებ საუბრით. 70 წლის მანძილზე ეს პირველად მიხდება.

54 წლის წინ 16 წლის ყმაწვილი მოვედი აქ და მას შემდეგ ერთი დღეც  
არ მიცხოვრია თბილისის უნივერსიტეტთან კავშირის გარეშე.

უნდა გითხრათ, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია: მეცნიერ-მუშაკი, პედა-  
გოგი სამუშაო ადგილს ჩინოუნკივით არ უნდა იცვლიდეს. მეცნიერების ამა თუ  
იმ დარგში მუშაობას ხომ არასოდეს არ ჰყოფნის ადამიანის ერთი სიცოცხლე.

სწორედ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო ჩემი ოცნება.

წარჩინების ატესტატის მიუხედავად სამედიცინო ინსტიტუტზე არასდროს  
მიფიქრია. ჩემი ქიმიის მასწავლებელი კი მთავაზობდა ქიმიის ფაკულტეტზე  
შესვლას.

1942 წელს, მაშინდელ რექტორს დოც. დავით ყიფშიძეს ორ ფაკულტეტზე  
– ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე შესვლა ვთხოვე. მან ეს ღიმი-  
ლით მოისმინა... ბოლოს იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე. ამასთან, ფილო-  
ლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, ფილოსოფიის ფაკულტეტების მეცნიერული  
დავა-კამათის ხარბი მსმენელი ვიყავი.

მაშინდელი უნივერსიტეტი დღევანდელი იურიდიული ფაკულტეტის ნახე-  
ვარს ითვლიდა. ალექსანდრე ჯანელიძის შეცვლას ნიკო კეცხოველის მიერ რე-  
ქტორის თანამდებობაზე მრავალი სიახლე მოჰყვა, ეს მარტო სპორტსა და თვით-  
მოქმედებას კი არ დაუტყო, არამედ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. განსა-  
კუთრებით აქტუალური იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. სტუ-

\* ამ ანგარიშით წარსდგა ბატონი სერგო ჯორბენაძე მისი დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს მონაწილეთა წინაშე, რომელიც 19 აპრილს გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



დენტა სამეცნიერო მუშაობაში შეუდარებელი იყო არნოლდ ჩიქობავა, როგორც მეცნიერ ხელმძღვანელი.

რექტორი აკად. ნ. კეცხოველი თვითონ მონაწილეობდა სტუდენტთა მოხსენებების განხილვაში. ერთხელ იგი ჩემს მოხსენებასაც დაესწრო და ამის შემდეგ მას ჩემთვის ყურადღება არ მოუკლია. ომის მკაცრი ვითარების მიუხედავად მაინც შენარჩუნებული იქნა სტუდენტური მოხსენებების ბეჭდვის ტრადიცია, მე განსაკუთრებით მეამაყება და მიყვარს ამ დროს დაბეჭდილი მოხსენებების თეზისები. რექტორის აქტიური მხარდაჭერით ჩავირიცხე ასპირანტურაში და 1947 წელს ლევან ალექსიძესთან და სერგო მამულიასთან ერთად მიმავლინეს მოსკოვში. მოვხვდი ცნობილ ცივილისტ პროფესორ დიმიტრი გენკინთან.

თავიდან დიდად ვღელავდი ჩემი რუსულის გამო, მაგრამ მას შემდეგ რაც პროფ. დ. გენკინი მაღლობის წერილებს უგზავნიდა უნივერსიტეტის რექტორს ჩემს შესახებ, ღელვამ გამიარა. ჩვენთვის დიდი სიხარული იყო რექტორის ყოველი ჩამოსვლა მოსკოვში, რომელიც მუშაობის ანგარიშსაც ისმენდა და უზვადაც გვიმასპინძლებოდა.

ასპირანტობის დროს პოლიტექნიკურ მუზეუმში ლექციების კურსი მოვისმინე ფსიქოლოგიაში. საკავშირო იურიდიულ მეცნიერებათა ინსტიტუტში მე და ზურაბ რატიანი უადრესად თბილ, მეგობრულ და შემოქმედებით გარემოში ვმუშაობდით. მალე დაიწყო კოსმოპოლიტიზმის დაუნდობელი კრიტიკა. უპირატესად იგი ებრაელ მეცნიერთა წინააღმდეგ იყო მიმართული. მახსოვს ლოცენტი თინათინ წერეთელი ყველა ქართველ ასპირანტს გვაფრთხილებდა, არავის არ გამოვეყენებინეთ ამ კამპანიაში.

როცა ერთ-ერთ ასპირანტთაგანმა თავი ვერ შეიკავა და ამ მტრულ კამპანიაში ჩაერთო, იგი ჩვენ მოსკოველმა ასპირანტებმა ერთსულოვნად გავკიცხეთ. სტალინისა და ბერიას სამშობლოს წარმომადგენლებს მაინც მორიდებით გვექცეოდნენ, ალბათ შიშითაც, თუმცა ჩუმი ჩქმეტები უკვე იგრძნობოდა. ზოგჯერ გამომწვევი შეიძლება ჩვენც ვიყავით.


მახსოვს მოსკოველ ფილოლოგებთან და იურისტებთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკის წინ ჩავიარეთ, სადაც დიდი გორელიეფებია. მე ვთქვი: შეხედეთ XII საუკუნის შოთა რუსთაველი და XIX საუკუნის ჭუშკინი — 700 წელი. ერთმა რუსმა ფილოლოგმა ამაზე წყენით მიპასუხა: — იცით, ძვირფასო სერგო, 1937 წლამდე ჩვენ არ ვიცნობდით შოთა რუსთაველს. ამაზე მე დაუყონებლივ მიუვი: — ყოველ შემთხვევაში ეს რუსთაველის ბრალი არ არის-მეთქი.

მოსკოვში მყოფი ძალუმად ვგრძნობდი სამშობლოს მონატრებას. ჩემთვის მძიმე იყო ის დღე, ქართველს რომ ვერ შევხვდებოდი. ნოსტალგიის გრძნობა თანდათან ძლიერდებოდა ჩემში.

როცა 1950 წლის ივნისში სამეცნიერო ხარისხი დავიცავი, პოდმოსკოვიეში პროფესორმა ვიქტორ ჩხიკვაძემ დამიბარა. იგი ორი უმაღლესი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი იყო, წინადადება მომცა წავდი და მოიფიქრე, მოსკოვში დაგტოვებ, აქ იმუშავე და სადოქტორო ხარისხსაც ადრე დაიცავო. მაღლობა მოვუხადე და კატეგორიულად ვუთხარი: ჩემთვის არჩევანი არ არსებობს, დღეებს ვითვლი სანამ საქართველოში წავალ. მართლაც, გალაქტიონისა არ იყოს, დიდი ძალა აქვს სამშობლოს გრძნობას გასაკვირველს.

თბილისის უნივერსიტეტში ჩვეული გულთბილობით გვიღებს მისი რექტორი ნ. კეცხოველი.





ლექციების კითხვა სტუდენტობასთან უდიდეს სიხარულს მანიჭებდა. 26 წლისას კათედრის გამგის თანამდებობაზე მნიშნავენ. ნ. კეცხოველის მხარდაჭერას ბევრი ნატრობდა, მე კი, ის უხვად მქონდა.

შემდგომ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად მირჩევენ. ვერ ვიკონებ, რომ ვინმე პარტიის რიგებიდან გამერიცხოს. ამას ხომ უმძიმესი თანმდევი შედეგები ახლდა. ბევრი ჩემი მეგობარი, ე. წ. ხალხის მტრის შვილები კი მიმიღია პარტიის რიგებში. არცერთ, ე. წ. პარტიული აქტივის ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიმიღია, რომელიც ვინმეს დასჯას, გასახლებას ითვალისწინებდა. ერთია, ადრეც და ახლაც ზედმეტი აქტიურობა გამოგვიჩინია საარჩევნო კამპანიების ჩატარების დროს, როცა აგიტოლექტივების წევრები დილის 5 სთ. და 30 წთ. მუსიკით ვაღვიძებდით ამომრჩევლებს.

მახსოვს, ქობულეთის აღმართზე როგორ გამოგვლანძმა ერთმა მოქალაქემ დილით ძილის გატეხვის გამო და გავგაფრთხილა, დამის 12 საათს 15 წუთი რომ დააკლდება, მაშინ მოვალ კენჭისყრაზეო, ჩვენ კი გვაგეგმინებდნენ დილის 11 საათამდე დაგვემთავრებინა კენჭისყრა 100 პროცენტისანი შედეგით.

თანდათანობით ვრწმუნდებოდი ჩემი რწმენის გულუბრყვილობაში, რომ პარტიული მუშაობის ხაზითაც შეიძლება სამართლიანობისათვის ბრძოლა.

მიუხედავად ჩემი მშვიდი ხასიათისა, ხშირად მომდიოდა კონფლიქტები რაიკომისა და ცენტრალური კომიტეტის ფუნქციონერებთან.

მახსოვს, 1953 წლის დეკემბერია. ერთ-ერთი პარტიული ხელმძღვანელი მავალებს: როცა წაკითხული იქნება ბერიას დახვერეთის შესახებ მითხონა, ტაშის ორგანიზაცია შენზეაო. მე პრინციპული უარი ვუთხარი ამ დავალების შესრულებაზე, რითაც შემდგომ ზეპირი საყვედური დავიმსახურე. ჩემი უკიდურესი აღმფოთება იმანაც გამოიწვია, რომ ეს პიროვნება ბერიას მიერ იყო აღმოჩენილი და დაწინაურებული.

ლ. ბერიას საბრალდებო დასკვნაში ბევრი იურიდიული და მორალური ნონსენსების გვერდში, ერთი საზარელი ბრალდება იყო: ბერია მფარველობდა თბილისის უნივერსიტეტის სამ ფაშისტ პროფესორს, გესტაპოს აგენტებს შ. ნუცუბიძეს, სიმ. ყაუხჩიშვილს და ეუკ. ბერიძეს. სამივე ჩემთვის უსაყვარლესი პროფესორები იყვნენ. დადგა საკითხი მათთვის პროფესორობის წართმევისა და უნივერსიტეტიდან განდევნის შესახებ. საბჭომ ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე პროფესორმა წუხილით, მაგრამ რევოლუციური სიფუხიზლით დაგმო „სამშობლოს მტერი“ პროფესორები. მე, როგორც პარტკომის მდივანს, სიტყვა არ მითქვამს, ერთადერთი, ვინც წინააღმდეგ გამოვიდა აკად. ივ. ბერიტაშვილი იყო, რომელმაც ამაოდ მოუწოდა საბჭოს: ნუ ვჩქარობთ ამ გადაწყვეტილების მიღებასო. კიდევ კარგი, რომ მოსკოვის ვაკმა ეს დადგენილება არც განიხილა, ისე უარყო.

შეუძლებელია არ მოვიგონო, ჩემი ერთი წინდაუხედავი ფრაზა, რომელმაც პროფ. ს.ყაუხჩიშვილის საშინელი გაბრაზება გამოიწვია.

მახსოვს, როგორ განიცდიდა იგი ამ ახალ დაუმსახურებელ ბრალდებას. დიდი პორტფელით ხელში, ყოველთვის საქმით დატვირთული, იგი კვლავ ზრუნავდა უნივერსიტეტის გამომცემლობაზე. ერთხელ იქ შევხვდი და ვკითხე: როგორ ბრძანდებით ბატონო სიმონ, ისევ მუშაობთ სტამბაში? საშინლად იფეთქა: როგორ, ახალგაზრდა, მე სტამბაში აღარ უნდა ვმუშაობდე? თქვენ დაბადებული არ იყავით მე რომ აქ მუშაობა დავიწყეო. ბევრი ვამშვიდე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. შემდგომ ძლივს შემოვირიგე და მოგვიანებით, როდესაც იგი ივ. ჯა-



ვახიშვილის პრემიით დაჯილდოვდა, თბილი წარწერით მომიძღვნა ვახუშტის უკვლავი ნაშრომი.

1955 წლის სექტემბერში განცხადება დავწერე პარტიული კომიტეტის მდივნობისაგან განთავისუფლების შესახებ. კონფლიქტები ზემდგომ პარტიულ ორგანოებთან კვლავ გრძელდებოდა. ამ წელს ჩატარებული საშვიდნობებრო დემონსტრაციის ჩაშლისათვის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ვ. მყავანაძემ საკითხი დააყენა არა მარტო ჩემი მოხსნის, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადაყვანის თაობაზე.

ყოველივე ამან, ჩემი უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. პარტიის ისტორიას მე არ ვკითხულობდი, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადავსულიყავი. ამასთან, არც პროტექციით მოუყვანივარ ჩემს მშობლებს უნივერსიტეტში. არავითარი კონკრეტული ბრალდება ჩემს მიმართ არ ყოფილა, მაგრამ იყო ყველაზე უნივერსალური ხასიათის ბრალდება — იდეოლოგიური მუშაობის ჩაშლა.

პარტიულ კონფერენციაზე გამოვიყენე, ალბათ ჩემი ახალგაზრდობის გამო, „ქვემოდან კრიტიკის უფლება“ და სასტიკად გავაკრიტიკე იდეოლოგიის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივანი უნივერსიტეტისადმი გამოჩენილი უყურადღებობის გამო, ამგვარი კრიტიკა ცეკას მდივნისა მაშინ იშვიათობა იყო.

1956 წლის 9 მარტს სტუდენტთა დახვერეთის შემდეგ, პირველი მე მომხსნეს ანტისაბჭოური, ნაციონალისტური გამოსვლების მონაწილეთა გამოუშვლავნებლობის გამო.

ასე რომ, 30 წლისაც არ ვიყავი, როცა დავამთავრე ჩემი პარტიული მოღვაწეობა და არასდროს არ მინანია ამის გამო. ვნანობდი მხოლოდ ერთ რაიმეს: შეგვეძლო კი თავიდან აგვეცდინა ჩვენი უწვევრ-ულვაშო პირტიტველა ახალგაზრდების დახვერეთა?

9 მარტის ღამეს სტუდენტთა კრებას ვატარებდი. უკვე სისხლის სუნი იგრძნობოდა. სტუდენტებს ვთხოვდით, იქნებ ზემოქმედება მოეხდინათ მომიტინგეებზე. მათ ისიც ვუთხარი, რომ მოსალოდნელია ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდეს-მეთქი.

ერთი ჩემი სტუდენტი თემურ ყაჭვიშვილი არ მეთანხმება და მახსენებს: სოციალისტურ სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით დათრგუნვის ფუნქცია არ აქვსო. რამდენიმე წუთში სროლა იწყება. სტუდენტებს კი ჯავშანტექნიკა არტყამს ალყას.

1956 წლის 9 მარტმა მთლიანად შემიძრა სულიერად. ამ დღიდან საბოლოოდ ვირწმუნე, რომ არავითარი განსხვავება არ არის საბჭოურ და რევოლუციამდელ რუსულ იმპერიალიზმს შორის. არასდროს წაიშლება ჩემს მეხსიერებაში როგორ დასდევდნენ რუსის სალდათები ქართული სიმღერისათვის „გაფრინდი შავო მერცხალო“ ქართველ ყმაწვილებს. თბილისის ქუჩებში ჩასტუმკების სიმღერები მოხშირდა.

ერთი გამომძიებელი — ყოფილი ჩემი სტუდენტი, მოგვიანებით მომიყვა: გაუბედურებული, შვილმოკლული დედა მოვიდა და გულმძვინვარებით ამოხეთქა: 1937 წელს ქმარი დამისვრიტეს — სტალინი სძულდაო, შვილს სტალინი შევავარე და 1956 წელს მას ზვრეტენ სტალინი უყვარდაო.

ამ ტრაგედიის დადგომაში გამოსაკვლევა ზოგიერთი ქართველის როლი.. ხშირად ხომ რუსული იმპერიალიზმი ადგილობრივი მოღალატის პოვნით ამართლებდა თავის მოქმედებას.

იმ დროს კომუნისტური პარტიის ცკ-ს ბიუროზე ითქვა: ჯორბენაძე დროზე რომ მოგვეხსნა, იქნებ სტუდენტთა ეს გამოსვლები არც მომხდარიყო. ჩვეულებრივი პარტიულ-სახელმწიფოებრივი სიცრუეა. გაზეთებში „კომუნისტსა“ და





„ზარია-ვასტოკაში“ დაიწერა ჩემი ლანძღვა-გინების სტატიები. უცხოეთის პრესა და რადიო ამას გამოეხმაურა და აჯანყებულ სტუდენტთა ლიდერად გამომატყუა. ესეც ტყუილი იყო. ამან ბევრი ჩემი მეგობარი საბოლოოდ დააფრთხო.

„ზარიაში“ ჩემი ლანძღვის სტატია ორმა ჩემმა მეგობარმა გამოაქვეყნა. შემდგომ ერთ-ერთმა მათგანმა, ირ. სარაჯიშვილმა, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა, მობოდიშებით მითხრა, რომ მართალია, დავალება გექონდა ამ ამ წერილის დაწერა, დავავალეს, მაგრამ იცოდე, არცერთი ფაქტი ჩვენ არ მოგვიბოვებია, ყველაფერი შენს საანგარიშო მოხსენებიდან ავიღეთ და კომენტარებით გავამწვავეთო. ძალიან თვითკრიტიკული არასდროს არ უნდა იყო, მეხუმრა.

მანამდეც სამშობლოს სიყვარულს ვერაფერს მასწავლიდა, მაგრამ გაასკეცდა ეს სიყვარული 9 მარტის შემდეგ, როცა დედებს შეიღების საჯაროდ ტირილის უფლებასაც უკრძალავდნენ.

1966 წელს პრორექტორად დანიშვნის დროიდან მაქსიმალურად ვცდილობდი პატრიოტული საქმეების მხარდაჭერას, ნიჭიერი სტუდენტისა და ასპირანტის ხელშეწყობას. არ ვნანობ, რომ სწავლაში ჩამორჩენილი სტუდენტები გავრიცხეთ. აქ ნ. კეცხოველის, როგორც რექტორის მაგალითი უნდა გავიხსენოთ. დისციპლინის დამყარება მან უღირსთა გარიცხვით დაიწყო.

ვნანობ მხოლოდ ერთადერთ ბრძანებას. ახლდანიშნული პრორექტორი ვიყავი, ერთ-ერთი დეკანის დაჟინებით გოგონა გავრიცხეთ იმის გამო, რომ სხვის მაგივრად გავიდა გამოცდაზე. დარწმუნებული ვარ, წმინდა, მეგობრული გრძნობით გააკეთა მან ეს. ასე მკაცრად რომ მოგვეცოდნენ, მეც ბევრჯერ ვიყავი დასასჯელი, როცა პოლიტექონომიისა და პარტიის ისტორიის გამოცდებს ვაბარებდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მართლოდენ მეგობრული გრძნობებიდან გამომდინარე.

მსგავსი ბრძანება შემდგომ არასდროს არ დამიწერია.

აქ ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო: უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ხელმძღვანელი ვარ. დააკავეს აბიტურიენტთა მთელი ჯგუფი, რომლებიც სხვის მაგივრად გადიოდნენ გამოცდებზე. ერთი პრორექტორი დაჟინებით ითხოვდა პოლიციისთვის გადაგვცა ისინი. აღმოჩნდნენ სვანი ახალგაზრდები — პოლიტექნიკურ ინსტიტუტელები... მე მათ გავესაუბრე და როცა დავრწმუნდი, რომ აქ მხოლოდ მეგობრულ-ნათესაური მხარდაჭერა იყო, მკაცრი გაკიცხვის შემდეგ ისინი გავუშვი ისე, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის არც მიცნობებია. ამის შემდეგ ეს ამბავი ერთ სვან მეგობარს მოუყვავი. მან მარჯვე ახსნა მოუპოვა ამ ფაქტს: გურულები, იმერლები და მეგრელები ხშირად პროტექციით გადიხართ, ჩვენ კი პროტექციის ამგვარ ფორმას ვიყენებთო.

შესანიშნავი სვანი სტუდენტები მყავდა. ბევრი მათგანი ახლა თბილისში მოღვაწეობს. მრავალჯერ მიმიპატიჟეს სვანეთის დასათვალიერებლად, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე. სვანეთი კი საქართველოს ერთადერთი კუთხეა, რომელიც მე არ მინახავს. არადა, რამდენ არაქართველ მეგობარს უსაზღვრო აღტაცებით უთქვამთ, რომ სვანეთი ფეხით გადმოუკვლიათ. არ ვიცი, შევძლებ კი სვანეთის ნახვას?

ნიჭიერთათვის დახმარება ხელმძღვანელის აუცილებელი თვისება უნდა იყოს. რადგან ხშირად სწორედ ნიჭიერებს უყვართ უკან დახევა და ჩრდილში ყოფნა. მეამაყება, რომ რამდენიმე ასეთი ნიჭიერი ქართველი კაცისთვის ხელი შემიწვია. რათა დაეძლიათ „ვაკის“ ფორმალურ მოთხოვნათა წნეხი და მეცნიერული ხარისხი დაეცვათ.



ახლა ბევრს წერენ „ვაკის“ უპირატესობებზე, მაგრამ ავიწყდებათ მისი დიდი მინუსები. იქ, ნიუტონსაც რომ გაეგზავნა სადოქტორო დისერტაცია, მაგრამ ფორმალური დოკუმენტები ან ანკეტები დაეკლო, წაუკითხავად უკან დაუბრუნებდნენ.

მეცნიერულ-პედაგოგიკური მოღვაწეობა ხშირად ყოველთვის ვერ ეტევა კანონით დადგენილ დოგმის ფარგლებში. ცხოვრებაში ხშირად სხვანაირად ხდება, ვიდრე კანონში. ზოგჯერ საჭიროა რისკიც. მოსკოვში გაეგზავნილი ასპირანტები ხშირად ვადაში ვერ ეტეოდნენ და ერთი-ორი წლით მივლინების ბლანკებს ითხოვდნენ მოსკოვში ჩაწერისათვის. კანცელარიის გამგე, უწესიერესი კაცი, კოტე ვერულაშვილი მაფრთხილებდა: სარისკოა ამგვარი დოკუმენტების გაცემაო. მე მას ვეთანხმებოდი და ვამშვიდებდი: სარისკო უფრო ის იყო რასაც ნ. კეცხოველი აკეთებდა — დამატებით ბლანკსაც უგზავნიდა და ბინის ქირასაც, თუმცა საბუღალტრო რევიზია შემდეგ ამ თანხას ხელფასიდან უქვითავდა რექტორს.

ვამაყობ ჩემი სტუდენტებით, ახლაც მახსოვს ბევრი მათგანის ანთებული თვალები სემინარებზე და დიდად მახარებს, რომ მათ შორის ბევრი ერისაგან აღიარებული და დაფასებული იურისტია. მათ შესანიშნავად გამოიჩინეს თავი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, იმის მიუხედავად, რომ ხშირად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოზიცია ეკავათ. მათი სამართლებრივი კულტურის მაღალი დონე დადასტურეს საერთაშორისო ექსპერტებმაც. რამდენი უსამართლო კრიტიკა აიტანეს თავშეუკავებლად, გავისხენოთ, კრიტიკოსთა შორის ისეთებიც ხომ იყვნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, ვიცით, რომ კონსტიტუციის პროექტი ცუდია, თუმცა იგი არ წაგვიკითხავსო.


ერთი ჩემი წინამორბედი პრორექტორი მარწმუნებდა, პრორექტორობის ხუთი წლის მანძილზე არცერთ უცხოელ სტუმარს არ შევხვედრივარ და არცერთ უცხოელთან სუფრასთან არ ვმჯდარვარო. ამაყობდა ამით. უნდა ვითხრათ, მე სრულიად საპირისპირო პოზიცია მეკავა... თბილისსა და რაიონებში უცხოელთა მიღებაში უდიდეს მხარდაჭერას გვიჩენდნენ ჩვენი ფაკულტეტის აღზრდილები.

განსაკუთრებით უნდა ითქვას იენის უნივერსიტეტთან ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლობაზე. ეს იყო მართლაც პირველი ფანჯარა ევროპაში ფართოდ გაჭრილი. 80-მდე სტუდენტმა და სტაჟიორმა ისწავლა, 50-ზე მეტი დასახელების მონოგრაფია და ერთობლივი კრებული გამოიცა. გერმანელები საჯაროდ აღნიშნავდნენ ამ თანამშრომლობის დადებით ეფექტს. ეს ეჭვებს და გაბოროტებას იწვევდა ბელორუს და რუს კოლეგებში. ამასთან დაკავშირებით დიდად გართულდა ურთიერთობა ქართველოლოგიური ჟურნალის „გეორგიკას“ გამომცემის გამო.

მოგეხსენებათ, არა თუ საერთაშორისო ჟურნალის შექმნას, არამედ რაიონული გაზეთის დაარსებასაც კი ყოვლისშემძლე საკავშირო ცეკას ნებართვა სჭირდებოდა. გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნიკო ბერძენიშვილი იენიდან ჩამოდის და უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულება ჩამოაქვს „გეორგიკის“ შექმნის შესახებ. იგი ძლივს გადავარჩინეთ რექტორის რისხვას. იენაში მრავალ დასმენაზე მოუხდა პასუხის გაცემა ჰაინც ფენრიხს. თითქმის ანტისაბჭოურ აქტად ესახებოდა მოსკოვს მაინც და მაინც ქართველოლოგიური ჟურნალის შექმნა.

პრორექტორობის პერიოდიდან საგანგებოდ მინდა შევჩერდე თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავის იუბილესა და საპატიო დოქტორის მინიჭების საკითხებზე.





ირაკლი აბაშიძემ კარგად გამოიყენა უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერა და შესანიშნავად ჩაატარა რუსთაველის იუბილე. ჩვენ ნება დავკრთავთ შუამდგომლობა ადგვეძრა მოსკოვში თბილისის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორების არჩევაზე. წაყენებული კანდიდატების უმეტესობაზე უარი გვითხრეს. მათ შორის იყო ი. ასფალგი და ყ. გარიტი. ნება მივიღეთ ჰანს ფოგტის, დევიდ მარშალ ლენგის და ანანია ზაინკოვსკისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებაზე. პირველი ორი თბილისში იყო და ისინი გულწრფელი ზემოთ ავირჩიეთ საპატიო დოქტორებად. საჩუქრების შეძენაში დიდად გვეხმარებოდნენ პარტიული ორგანოები, ეს იყო ჭედურობა და თბილისური ფაიფური.

აკად. გიორგი წერეთელი მაფრთხილებდა, იცოდე, სომხები შეეცდებიან ქართველოლოგთა გადაბირებასო. მართლაც, დევიდ მარშალ ლენგი ტაქსით წაიყვანეს თბილისიდან ერევანში და როგორც იოსებ მეგრელიძემ მითხრა, თვითონ ვაზგენმა ბრილიანტის ბეჭედი უბოძა დევიდ მარშალ ლენგის მეუღლეს-ჟანეტსო.

მოსკოვის უმაღლესი განათლების სამინისტრო მკაცრად ზღუდავდა უცხოელთათვის საპატიო დოქტორობის მინიჭებას. პროექტიც კი იყო. მხოლოდ მოსკოვის უნივერსიტეტის რეკომენდაციით უნდა გაკეთებულიყო ეს.

მახსოვს, 1968 წელს წერილი მივიღეთ გერმანიიდან, რომ მათ სურთ აკაკი შანიძის საპატიო დოქტორად არჩევა და თქვენ ზემდგომ ინსტანციებს შეუთანხმეთო. მაშინვე მოსკოვის სამინისტროში ვავაზავნეთ ეს შეტყობინება. 1968 წლის ოქტომბერში იენის უნივერსიტეტის რექტორმა ფრანც ბოლკმა საზეიმოდ გადასცა საპატიო დოქტორის დიპლომი აკაკი შანიძეს. ყველას დაგვავიწყდა მოსკოვში ვავაზავნილი შეტყობინება. გადის სამი წელიწადი და უმაღლესი განათლების სამინისტროდან ვიღებთ ცნობას, რომ მიზანშეუწონლად მიჩნიათ აკაკი შანიძისათვის საპატიო დოქტორის მიკუთვნება. ამას არავითარი დასაბუთება არ ახლდა.

1971 წლის იანვარში ამის შესახებ ვუთხარი სამინისტროს, ე. წ. სოცქვეყნების სამმართველოს უფროსს კ. სელივანოვს. მან პირდაპირ დაიჩოქა და მთხოვა თუ ამას გაახმაურებ, სამსახურიდან ნამდვილად მომხსნიანო. მე ეს არა თუ არ გამიხმაურებია, არამედ ქართული კონიაკებითაც დავაჯილდოვე იგი.

უნივერსიტეტის 50 წლის იუბილე 1968 წლის შემოდგომაზე შესანიშნავად ჩატარდა, როგორც ხალხს, ასევე ხელისუფლებას ახარებდა ეს. რა კარგია ხალხისა და ხელისუფლების ერთსულოვნება! სტუმრები უფრო მეტი იქნებოდა, ჩეხოსლოვაკიის მოვლენები რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ისედაც ბევრი ჩამოვიდა, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე იყო ვასილ მუჟანაძე. რაიკომებისა და ქალაქკომების მდივნები წინასწარ მოდიოდნენ ჩვენთან, რათა შეეთანხმებინათ სტუმრებისათვის რა საჩუქრები გაემზადებინათ. ამით საჩუქრების რეგულირებასაც ვახდენდით.

მახსოვს, როგორ მორთეს ვანში გივი ყიფიანის ინიციატივით ქართველი ქალის მოკაზმულობით სამი შევიცარიელი ქართველოგი ქალი. დიდებული შეხვედრა მოგვიწვევს სალიბაურში აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მამულაძის ხელმძღვანელობით. ერთი კურიოზიც უნდა გავიხსენო. დასავლეთ საქართველოში მთელი მგზავრობისას მომენტს არ უშვებდა პერმის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ფიოდორ გორევი რაიმე შენიშვნა არ მოეცა ჩვენთვის. ქუთაისში ჩავედით. გელათის ეზოში მიგვიღეს, ღამეა. ბოულოდნელად სინათლე მთლიანად გამოითიშა, მაშინ ეს განსაკუთრებული იშვიათობა იყო. გორევი სარკასტულად მეუბნება: ასეთი ჩავარდნა უცხოელებთან არ უნდა მოგივიდეთო. უცებ პროექტორი ჩაირთო, ეზოში შემოსულა ხორავით დატვირ-



თული ურემი და ლამაზი იმერელი ქალიშვილები საჩუქრებს ურიგებენ ყველას. ვხედავ, საგალობლების შესრულების დროს ტაძარში სტუმრები სიხარულის ცრემლებით ტირიან. გორევი კი მეუბნება: ყოველივე ამას იდეურობა აკლიათ. არ დაგავიწყდეთ, იგი პარტიის ისტორიის სპეციალისტი იყო.

ბათუმში მამულადე მეკითხება, როდის დავარიგო საჩუქრებიო. მე ერთი თბილისელი ძმაკაცის თამალობის პრაქტიკიდან ვუთხარი: ჯობია თითქოს კონკურსში ვათქმევინოთ სიტყვა თითოეულს და გამარჯვებულს საჩუქრები პრიზებად დავურიგოთ-მეთქი. შესანიშნავად აეწყო დაჯილდოების პროცედურა. გაბრაზებულმა, გორევიზე ბოლოში მივაცემინე სიტყვა. ერთი წლის შემდეგ ბრატისლავის უნივერსიტეტის იუბილეზე ვხვდები გორევის. მე დავით ლორთქიფანიძესთან ერთად, კობა გურულის მიერ დამზადებული იან ამოს კომენტარის ჭედურობა გადავეცი იუბილარ უნივერსიტეტს, ხოლო გორევიმ საბჭოთა ტანკის მოღელი მიუძღვნა. როცა ვკითხე თუ რატომ გააკეთა ეს, მან მიპასუხა: — ეს ტანკი პრადაში იბრძოდა და ეხლა გორკში ძეგლი აქვს დადგმულიო. დაე, ახსოვდეთ ეს ჩეხოსლოვაკელებსო. ახლა უკვე საქართველოს აქებდა და უხაროდა ბათუმიდან ერთის ნაცვლად თხუთმეტი ბამბუკის ანკეის ჩავუტანე ჩემს ძმაკაცებსო. ყველაფერი ეს იმ დროს, როდესაც ქართველმა თანამგზავრებმა მიღებული საჩუქრები უკლებლივ უცხოელებს გადასცეს.

რექტორი ილია ვეკუა ხშირად მთხოვდა ახალი ორგანიზაციული წარმონაქმნის იურიდიული დასაბუთება გამეკეთებინა, ამ გზით შეიქმნა, ე. წ. ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა მთავრობის თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის მხარდაჭერით. იგი, მართალია, ზუსტად არ ჯდებოდა მაშინდელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ჩარჩოებში, მაგრამ შემდგომ უდიდესი როლი შეასრულა ბერძნულ-რომაული ტექსტების ქართულად გამოცემაში.

ცალკე უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა 1978 წლის 14 აპრილის წინა ისტორიაზე.


მე იმ დროს ვმონაწილეობდი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. დასაწყისში სამუშაო ბევრი არ იყო და ადვილიც იყო. ვიმეორებდით რუსეთის კონსტიტუციის თარგს. ამას მოსკოვი მკაცრად აკონტროლებდა. სულ ადვილად შეიძლება დარწმუნდეთ, რომ მოსკოვში გაიგზავნა კონსტიტუციის პროექტი ზუსტად ისეთი, როგორც ადრე იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის თაობაზე. აქედან ტექსტს გაჰყვნენ გიორგი ბედინეიშვილი და შესანიშნავი იურისტი ირაკლი ჩიქოვანი.

იყენებდნენ სულ სხვა ვითარებაში სახელმწიფო ენის შესახებ ლენინის მიერ ნათქვამ ციტატას და მოსკოვში მიაჩნდათ, რომ ხსენება სახელმწიფო ენისა, როგორც ზედმეტისა უნდა გაქრეს. გ. ბედინეიშვილი და ი. ჩიქოვანი არ მაღავენ თავიანთ უკმაყოფილებას და პირდაპირ აფრთხილებენ: ამას პრადის მოვლენების განმეორება შეიძლება მოჰყვეს საქართველოში. შემოთავაზებული დასახინრებული ვარიანტი ჯერჯერობით კამერალურად იხილება საქართველოში. კონფიდენციალურად მიღებული ტექსტი რამდენიმე უნივერსიტეტულს გავაცანი და უკიდურესად უარყოფითი რეაქცია მივიღე. შემდგომ, გახსოვთ, პრესაში გამოქვეყნდა იგი 75-ე მუხლის სახით.

ოფიციალურ პროპაგანდაში თითქოს ყველაფერზე თანახმანი არიან, გარდა იმისა, რომ ახსენონ ქართული როგორც სახელმწიფო ენა. პრესაშიც ზოგიერთი ავტორიც იწონებს ამ გადაწყვეტას, როგორ წმინდა ლენინურს.

დაიწყო ნამდვილი საყოველთაო აზვირთება ამ მუხლის წინააღმდეგ. ერთადერთს, რასაც ვთხოვთ სტუდენტობას, ეს იყო სიფრთხილისაკენ მოწოდება. სისხლის სუნი იგრძნობოდა. უნივერსიტეტის წინ ახალგაზრდები იკრიბებიან.





ჩვენ მათთან ვართ, კვლავ თხოვნებით სიფრთხილისაკენ. ამ დროს ვიქტორია სირაძე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში მთხოვს სამთავრობო ტელეფონთან მისვლას. იგი მიხსნის, რომ კიდევ ახალი ცვლილება მოხდა პროექტის 75-ე მუხლში და ახლა იწყება ასე: საქართველოს რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა, იქვე ტექსტს მიკითხავს. ქართული თარგმანებიც დავაზუსტეთ, მას მეტი არაფერი უთქვამს. მე მაშინ შევეკითხე: ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვქონდა, მაგრამ უკეთესია არსებულზე... არ უნდა ვუთხრაოთ ხალხს ამის შესახებ? მაშინ მან არაკატეგორიულად მიპასუხა, ცუდი არ იქნებოდაო. ამ დროისათვის დემონსტრანტები უკვე გაშორებული იყვნენ უნივერსიტეტს და უახლოვდებოდნენ ფილარმონიის შენობას. 1956 წლის ტრაგედია თვალწინ დამიდგა. მილიციის უფროსს, ავთანდილ მუსერიძეს მეგაფონიანი მანქანა ვთხოვე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტი იყო უარი მითხრა. მინდოდა დავწეოდი სტუდენტებს და მათთვის მეთქვა ეს სიახლე. მარლენ შენგელიამ სწორედ მილიციის მეგაფონიანი მანქანა აღმოაჩინა, რომელშიც კაპიტანი ჟვანია იჯდა. მძღოლი უკრაინული წარმოშობის ოფიცერი იყო. ორმოც წუთი დაგვიჭირდა მანქანით, რომ კინოს სახლთან დემონსტრანტებს წინ დავხვედროდით. მეგაფონში მარლენ შენგელიამ მე წარმადგინა, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი. ახალგაზრდებს მივმართე, რომ ქართული ენა გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკის ენად. ოთხი ანთებული ახალგაზრდა მოწყდა დემონსტრანტებს და მანქანისაკენ გამოემართა: თქვენ ვინ მოვცათ უფლება, რა რწმუნებით მიმართავთ ხალხს ამგვარი მოწოდებითო. იქვე მდგომი უცნობი ქალის ჩარევამ მიხსნა. ისევ გავიმეორე ტექსტი და ვთხოვე: შეყოვნდით, მალე დაიწყება სესია, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე მოგახსენებთ ამის შესახებ, მოუსმინეთ რადიორეპროდუქტორებს ქუჩაში და თუ უკმაყოფილო დარჩებით, გააგრძელეთ დემონსტრაცია-მეთქი.

ყოველივე ამის შემდეგ იმავე მანქანით უნივერსიტეტში დავბრუნდით. ზოგიერთებს დაბატიმრებულებიც კი ვეგონე. უღუარდ შევარდნაძის მოხსენების დაწყების ლოდინში შიშმაც შემიპყრო, რადგანაც არავითარი ოფიციალური რწმუნება არ მქონია ამ მიმართვასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა სამთავრობო ეშელონებში, არ ვიცოდი და ვფიქრობდი, ვაითუ ახალგაზრდობა მოვატყუე-მეთქი. დრო ძნელად მიდიოდა წინ. როცა ე. შევარდნაძემ თქვა უფრო მეტი ვიდრე შეცვლილ ტექსტში იყო, კერძოდ, ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაო, შევებით ამოვისუნთქე. შინ დაბრუნებულს მეუღლემ მითხრა: მე შევიღებზე ვღელაღდი და თურმე შენ უფრო ჩაგიგდია თავი განსაცდელშიო.

რამდენიმე დღის შემდეგ ერევანში ჩავიდა სამსახურებრივი მივლინებით. დამხვედურები სომეხი მეგობრები დიდად კმაყოფილნი მეუბნებოდნენ, რომ თქვენზე ერთი დღით ადრე მივიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებო. ეს დემირჩიანის დამსახურებააო. ერთ-ერთ იქაურ პრორექტორს შევეკითხე: ვართრეს, ეს, როგორ, დემონსტრანტები სად გყავდათ-მეთქი? მათ მიპასუხეს, ჩვენ დემონსტრანტები დამალული გყავდაო. როცა დავრჩით ცალკე, ნოხოვა მომიყვით თუ როგორ ჩაიდინეთ ეს გმირობაო. როგორც გაირკვა, მათ 75-ე მუხლის დრინდელი ვარიანტი მიუღიათ, დებუტატები არ დაუშლიათ, დალოდინებიან ჩვენს გადაწყვეტას და წინა დღის რიცხვით გაუფორმებიათ იგი ჩვენი ფორმულის მსგავსად.

ასე ხშირად უყვართ სომეხ ძმებს კაკასიაში პირუელობისთვის ჩვენთან დავა.

რამდენიმე სიტყვით უნდა ვთქვა ჩემს მიერ პრორექტორის თანამდებობის ოროტად გამოყენების ერთ ფაქტზე. სკოლის მერხიდან ივანე ჯავახიშვილი



ჩემი ყველაზე წმინდა კაცი იყო. 17 წელი მოვანდომე ივანე ჯავახიშვილზე მონოგრაფიის შექმნას. რასაკვირველია, ეს ძნელი საქმე ერთი კაცის ძაღვებს აღემატება. იძულებული ვიყავი დამხმარეები მეშოვნა სხვადასხვა არქივში ინახული მასალების შესაგროვებლად. ბევრი ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფიზიკოსი, გეოგრაფი, მივლინებებში მიდიოდნენ სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. მივლინებებზე მე უნდა მომეწერა ხელი. მე მათ ვთხოვდი არქივებიდან ჩამოეტანათ უცნობი მასალები, რასაც ისინი დიდი სიხარულით ასრულებდნენ. არცერთი მათგანის წვლილის აღნიშვნა არ გამომჩინია და ისინიც ამას დღესაც სიამოვნებით იგონებენ.

წიგნის რედაქტორი აკაკი შანიძე ყველაზე უღალატო და ერთგული თანამოსაგრე იყო ივანე ჯავახიშვილისა. ორჯერ მან წაიკითხა უზარმაზარი ხელნაწერი და თავისი ფენომენალური მეხსიერების წყალობით მრავალი ფაქტის ცოცხლად აღდგენის საშუალება მომცა. ამით წიგნმა თავისებურად დოკუმენტური ძალა მიიღო. 60-ზე მეტი მოგონება შევკრიბე ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთაგან.

თბილისში ჩამოსვლის შემდგომ არ შემიწყვეტია მუშაობა სამართლებრივ საკითხებზე, მაგრამ ეს ძალიან ძნელი ხდებოდა ოფიციალური იდეოლოგიის ფონზე. ყველაზე დიდ დაბრკოლებას სამართლის კლასობრიობისათვის ზედმეტად ხაზის გასმა კი არ ქმნიდა, არამედ ნიჰილისტური მოძღვრება სამართლის კვდომის შესახებ და კანონის, როგორც პოლიტიკის პრობაგანდის შიშველი იარაღის ქადაგება.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა სამართლის თითქმის ყველა დარგში ისეთი კანონების მიღება, რომლებიც რეალურ ცხოვრებას ძირეულად უირისპირდებოდა, ანდა სიცრუეს სახელმწიფო სიცრუის დონეზე განიხილავდა. შედარებით უახლეს პერიოდში ასეთი კანონები იყო სამოქალაქო სამართალში: არაშრომით შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც უფრო ხშირად სწორედ მშრომელ კაცს აზიანებდა; ანტიალკოჰოლური კანონი — ქვეყანაში, სადაც არყის სმა ყველაზე ნორმალურ ხერხადაა მიჩნეული თანაცხოვრებისა, მისი აკრძალვა დაპრღვევთა რიცხვს ზრდიდა და ხაზინას აღარბეზებდა; ასევე იყო სასურსათო პროგრამის შესახებ კანონმდებლობა. ვცდილობდი კათედრაც ამეცდინა ამგვარ პრობლემებზე მუშაობისაგან და ამას კიდევ ვაღწევდით.

არასოდეს მოგვიწონებია ის, რომ სამეწარმეო ურთიერთობის კანონში ყოველი საწარმოს მოვალეობაში შედიოდა, რომ იგი ლიდერი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე მოცემული დარგის საწარმოების, თითქოსდა ნორმალური ეფექტიანობით მუშაობა საკმარისი არ ყოფილიყოს საწარმოს არსებობის გამართლებისათვის.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს მეურნეობის მართვისა თავისი პლიუსებიც ჰქონდა. მოსახლეობის სოციალურ დაცვასაც უწყობდა ხელს, ქვეყანაში, ფაქტობრივად, მათხოვარი არ იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ ეს მეთოდი მეცნიერულ-ტექნიკური და ინფორმაციული რევოლუციის პერიოდში მრავალი შესაძლებლობის ზღვიდან გაშვებას გულისხმობდა. ახლანდელი ეკონომიკური რეფორმა და საბაზრო ურთიერთობის დანერგვა გარდუვალია, მთავარია ეს ნაკლები მსხვერპლითა და დანაკლისით მოხდეს.

ყველაფერ ამას შედეგად უნდა მოჰყვეს სამოქალაქო სამართლის ნამდვილი რენესანსი.

4 წელიწადი ცივილისტთა კოლექტივი თავაუღებლივ ვმუშაობდით სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტზე. შიმშილი და სიცივე კი არ გვაწუხებდა იმდენად, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიული სხეულის დაგლეჯა.



კოდექსის პროექტში ძალზე ბევრია სადაო. ჩვენ, რომ სრული თანხმობის ხანას დავლოდებოდით, კოდექსის მიღება ათწლეულობით გავვიგრძელებოდა. თანხმობა არც კომისიის შიგნით ყოფილა სრულად და არც სარედაქციო ჯგუფის მუშაობაში. ჩვენ ვცდილობდით განსაზღვრული კონსენსუსისათვის მიგვეღწია. უნდა გითხრათ, რომ ჩვენს მუშაობაში ხელი არავის შეუშლია, არავის დიქტატით ჩვენ არ გვიმოქმედია. ამიტომ, კოდექსის პროექტში აღმოჩენილი ყველა ნაკლი, ცხადია, ჩვენი ბრალი იქნება.

ქართველ ცივილისტთაგან პირველად ჩვენ გვერგო ბედნიერება გვემუშავა სამოქალაქო სამართლის ეროვნულ კოდექსზე. ამ ოცნებას ვერ მოესწრო ადრინდელი ქართველი ცივილისტები.

ჩვენ მზადა ვართ ყოველმხრივ გვერდში დავუდგეთ საქართველოს პარლამენტს ამ კოდექსის სრულყოფის საქმეში და ყველა სამართლიანი შენიშვნის გათვალისწინებაში. ისე კი, უნდა ვთქვათ, სრულყოფას საზღვარი არ აქვს.

სამოქალაქო სამართალი თანამედროვე ცივილიზაციის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი დარგია. კ. პოპერის სიტყვებით, სისხლის სამართალი — ეს აუცილებელი, გარდუვალი ბოროტებაა, სამოქალაქო სამართალი კი — უდიდესი სიკეთეა, მისი მიზანია პირადი თავისუფლება და ძალადობის გარეშე თანაარსებობა. რასაკვირველია მის რეალურ დანერგვას ჩვენში, დიდი ტკივილები ახლავს. სისხლის სამართალი კი კვლავაც იქნება საჭირო როგორც მწარე წამალი.

საფრანგეთის კანონში სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ 100-ზე მეტი მუხლია სისხლის სამართლებრივი დელიქტების სფეროდან.

როცა ქმედობა გადაიზრდება სისხლის სამართლებრივ დელიქტში, ჩვენც განვითარებული სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა უნდა გვექონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი იქნება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის პროექტზე წარჩინებით მუშაობს კომისია პროფ. გ. ტყეშელაძის ხელმძღვანელობით. მართლაც, მკვეთრი ზღვარი უნდა დაედოს იმას, რომლითაც მოქალაქეები აღჭურვილი არიან სამოქალაქო კანონმდებლობით, პირის აქტიურობა უნდა გაიმიჯნოს იმისგან, რაც სისხლის სამართლებრივი დანაშაულია.

ვინ იცის რამდენი ტრაგედია მოჰყვა ახალი ურთიერთობების დანერგვას ჩვენში. სახელმეკრულებო ურთიერთობებზე დაყრდნობილ ინიციატივას ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს. აქ ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ლარის განმტკიცებას. ცუდია როცა ჩვენში ლარს ზედმეტად აქებენ თანამდებობის პირები და ასევე ზედმეტად ლანძღავენ ყოფილი თანამდებობის პირები, მისი კურსის დაცემის მოლოდინში. ლარი უნდა დავიცვათ და გადავარჩინოთ ყველამ, როგორც ეკონომიკური დამოკიდებულების აუცილებელი პირობა. ამასთან ბედნიერებაა ის, რომ არ ვვითხოვენ სამანეთო ზონაში შესვლას. ლარი უნდა გადარჩეს ყველა შემთხვევაში და ეს არ შეიძლება პარტიული დავის საგანი იყოს, არაფერი არ უნდა გავუშვათ ხელიდან, რაც მის განმტკიცებას ხელს შეუწყობს.

გახსოვთ, დასავლეთს დავცინოდით პრინციპისათვის — „დრო ფულიაო“. როცა ჩვენც ასევე აღვიქვამთ დროს, მაშინ სახელმეკრულებო ურთიერთობა თავის შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოაჩენს.

დასავლეთის საბაზრო ეკონომიკას თან სდევს უფლების ბოროტად გამოყენების, ფალსიფიცირების, თაღლითობის შესაძლებლობები, მათ შორის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც, ამას იქ მეცნიერულადაც ანზოგადებენ და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს ამუშავებენ. არავის აზრად არ მოსვლია, რომ ამის გამო თვით საბაზრო ურთიერთობაზე უარი თქვას. ერთია, სი-



სხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედება და მეორეა, მარცხი და წაგება ბიზნესის სფეროში. ისინი სრულიად სხვადასხვანაირად უნდა შეფასდეს ვინც წააგო საქმეში, ვისაც რისკმა არ გაუმართლა, ხელი კი არ უნდა ეკრათ, არამედ მხარი უნდა დაუჭიროთ, რომ თვითონვე გამოასწოროს ეს მდგომარეობა თორემ ყველა მათგანის ციხეში მოქცევა ვერ განავითარებს საბაზრო ურთიერთობებს. და თანამედროვე სამოქალაქო სამართალს ადრინდელი პრიმიტიული სამართლის დონემდე დააქვეითებს ან სავალო მონობას აღადგენს. აქ უდიდესია სახელმწიფოს ახალი როლი ეკონომიკურ ურთიერთობებში. საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ 11-ე პუნქტში დადგენილია: არავის არ შეიძლება წაერთვას, აღეკვეთოს თავისუფლება, მარტოოდენ იმ საფუძვლით, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის მიღება ამიტომაც ჩვენ პირველი რიგის აქტად მიგვაჩნია. ამ კოდექსის მიღებამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ დავარწმუნოთ მოქალაქეები, კანონის დაცვას მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე მის დარღვევას.

სამოქალაქო კოდექსზე მუშაობის დროს ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებულ კანონპროექტების შემუშავებაზე.

ჩვენ მზადა ვართ ეს მუშაობა შემდგომაც გავაგრძელოთ. ვთხოვთ პარლამენტს დროულად დაიწყოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის განხილვა და შემდეგ მისი მიღება. ჩვენი კომისიის სახელით ვამბობ ჩვენ მზადა ვართ კოდექსის მიღებიდან ორიოდე თვეში წარვადგინოთ მეცნიერული კომენტარების რამდენიმე ტომი და შემდეგ კი სახელმძღვანელოები.

საზოგადოდ, საჭიროა ფიქრი ქართული იურიდიული ენციკლოპედიის მრავალტომეულზე, ისევე როგორც ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ახალ გამოცემაზე.

დიდად საშური საქმეა ქართული ფოლკლორული სამართლის აღწერა და განზოგადება. ამ მხრივ დიდი სასარგებლო საქმე გააკეთა პროფესორმა მიხეილ კეკელიამ. სამწუხაროდ, ამის შესახებ მისთვის სიცოცხლეში არაფერი გვითქვამს. მისმა მოწაფეებმა ეს საქმე უნდა გააგრძელონ. სრულიად შეუსწავლეღია, მაგალითად, ქართული სამართლებრივი ანდახები, შეუსწავლეღია მათი ბუნება და ხასიათი.

კვლავაც არ მინდა შემოვიზღუდო მხოლოდ სამართლის სფეროში კვლევით. ვეცდები ზოგიერთი ისეთი რაიმე დაგებულ, რომელთა უცნობი მასალები შეგროვილი მაქვს. თითქმის დამთავრებული მაქვს მონოგრაფია უნივერსიტეტის, ამ დიდებული შენობის აღმშენებელზე ნიკო ცხვედაძეზე. სამწუხარო ის არის, რომ მისი არქივის აღწერილობა, რომელიც ფილიპე გოგიჩაიშვილის ქალიშვილმა თამარმა გადმომცა თავის დროზე და რომელთაგან თხუთმეტამდე წერილი უკვე გამოვაქვეყნე, დანარჩენი ყველაფერი თბილისის ტრაგედიის დროს დაიწვა 1992 წელს პედაგოგიური განათლების არქივთან ერთად და მას ველარაფერი აღადგენს. ვნანობ, რომ არ ვიჩქარე მათი გამოქვეყნებისათვის დროზე.

დამთავრების სტადიაშია ჩემი გამოკვლევა უდიდესი ქართველი ჰუმანისტი მეცნიერის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის ცხოვრების შესახებ. მისი სისხლის სამართლის საქმის ასლები, საბედნიეროდ, ჩემს არქივში გადარჩა თბილისის ტრაგედიის დროს უშიშროების არქივის ფლიგელის დაწვისას.

ვმუშაობ დიდი ქართველი იურისტის, პოლიტოლოგის, ისტორიკოსისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის მოღვაწეობაზე. მაქვს კიდევ სხვა შემოქ-



მედებითი სწრაფვები, თუ კი ღმერთის მიერ ჩემთვის მოცემული დრო საკმარისი აღმოჩნდა. მინდა მოგვიანებით დავიწყო მუშაობა ნემზურებზე.

ბოლო 8 წლის ქარტეხილების დროს, არცერთ მიტინგში მონაწილეობა არ მიმიღია. ერთადერთხელ 1988 წლის 24 ნოემბერს სწორედ ამ შენობის სააქტო დარბაზში რექტორის, ნოდარ ამაღლობელის თხოვნით სიტყვით მივმართე ახალგაზრდობას და ვთხოვე, ნუ შეუწყობენ ხელს თბილისში რუსი კომენდანტის დანიშვნას-მეთქი.

მახსოვს, აფხაზთა მიერ დაწერილი ლიხნის წერილი პირველად წაიკითხე, 4 აპრილს. ქართველთა წინააღმდეგ ასეთი მძვინვარე ზიზღით დაწერილი წერილი, არც მანამდე და არც შემდეგ, არ შემხვედრია.

სულისშემძვრელი ტრაგედია იყო ჩვენთვის 9 აპრილი, რადგან ვერ მოძებნით მსგავს ტრაგედიას: 19 დაღუპულთაგან 16 ქალი იყო.

გენერალი როდიონოვი მართლაც გახდა თბილისის კომენდანტი. კაცთმოძულეობის ზენიტი იყო მისი კომენდანტობის მესამე დღე. ოფიციალურად გამოცხადებულია რესპუბლიკური გლოვა, როდიონოვის ჯარისკაცები კი მანქანებს აჩერებდნენ და შავ ლენტებს გლეჯდნენ, ხოლო თბილისის ზეცაში ვერტმფრენთა ძლევაშისილი ესკადილეები გუგუნებდნენ.

ამ ტრაგედიის შემსწავლელი რესპუბლიკური ყველა კომისიის წევრი ვიყავი. ამაზე მძიმე სულიერი ტვირთი მე არ მქონია. გლოვა და წუხილი არეული იყო აბუჩად აგდებასა და ცინიზმში. ეს თვეები არაფერი მიკეთებია პროტესტების და ღია წერილების წერის გარდა. მაშფოთებდა მთელი უმწეობა იმდროინდელი ხელისუფლებისა, რომელთაც თანამდებობა გაცილებით ძლიერ უყვარდათ, ვიდრე სამშობლო.

მრავალ დეპუტატს ვხვდებოდი, კოლეგებთან ერთად პროტესტებისა და შეკითხვების ტექსტებს ვაგზავნიდით. ბევრ დელეგატს აეროდრომზე ვაცილებდით, რომ საბჭოების ყრილობაზე წარმოსათქმელი სიტყვისათვის იურიდიული მასალები მიგვეცა. ჩემი მეგობრები მირჩევდნენ, ზედმეტად ნუ ვიმცირებდი თავს, ჩემთვის კი იმ დროისათვის უფრო წმინდა საქმე არ არსებობდა. სამშობლოს სამსახურისათვის თუნდაც თავის დამცირება სრულიადაც არ არის ღირსი მსხვერპლი.

კომისიის ზოგიერთი წევრი თავის გამოჩენისა და ტელევიზორის წინაშე კეკლუცობასაც მიმართავდა. ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო. როდიონოვმა, რა თქმა უნდა, არ იკისრა ამ კომისიაზე გამოცხადება. მალე მას აწინაურებენ კიდევ და ყოველი რუსი მარშლისათვის სანატრულ თანამდებობას აძლევენ — გენერალური შტაბის აკადემიის რექტორობას.

ჩვენი კომისიის სხდომაზე მობრძანდა ანდრეი სახაროვი თავისი მეუღლით, მაგრამ რად გინდა, 4 საათის განმავლობაში 3 საათს მისი ცოლი ბონერი ლაპარაკობდა.

როგორც გახსოვთ, 1989 წლის 24 დეკემბერს დასრულდა საბჭოების ყრილობაზე 9 აპრილის ტრაგედიის შეფასება. ყრილობამ როგორც იქნა დაგმო საზღვრო ძალადობა, რომელსაც სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. სამხედრო პროკურორი კატუსევიც ყველა დემოკრატიკა შეარცხვინა.

9 აპრილი წინასწარმოფიქრებული სამხედრო დარბევა იყო ქართველთა და არა მხოლოდ ქართველთა დასაშინებლად.

ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე წმინდანებად მოიხსენიებენ დაღუპულთა სახელებს, ხოლო ზიზღით — ამ ხოცვა-ჟლეტის დამცველებს. მათ შორის მართო რუსი შოვინისტები როდი არიან.

პოლიტიკური საღიზმისა და ცინიზმის ნიმუშია 1996 წლის 9-10 აპრი-



ლის გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებული პანტელეიმონ გიორგაძის ინტერვიუ. მრავალ სიცრუის გვერდით იგი წერს: „ნიჩბების დარტყმით არავინ მომკვდარა და არც ვინმე უცემიათ.“ „... 9 აპრილის მსხვერპლი ჭყლეტის ბრალია, ხალხმა ერთმანეთი გადათელა, ამას ხალხი აკეთებდა და არა ჯარისკაცები.“

დავუშვათ, რომ მხოლოდ ჭყლეტის ბრალია 16 ქალის დაღუპვა. ეს ჭყლეტა კი ვინ გამოიწვია?

სულ სხვანაირად წერენ ანატოლი სობჩაკის კომისიის წევრი რუსი გენერლები, ჩინიტაც და ცოდნითაც უფრო მაღლები გიორგაძეზე. ის, რაც გიორგაძემ იკისრა, ქართველთა მოძულე სამხედრო პროკურორ კატუსევისაც არ უკისრია ყრილობაზე.

ანატოლი სობჩაკის კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „მომიტიინგებმა დაიწყეს მოედნის დატოვება, მაგრამ დაშლისათვის მათ საკმარისი დრო არ მიეცათ, ამასთან, არ იქნა მიღებული მხედველობაში ის, რომ მოედნიდან გასასვლელი გადაკეტილი იყო ავტოტრანსპორტით... მოედნიდან აღამიანთა გარეკვა სამი წუთის გასვლის შემდეგ გაგრძელდა.“

18 წუთში მთლიანად დამთავრდა სისხლიანი დარბევა.

ახლა პანტელეიმონ გიორგაძეს ერთადერთი შესაძლებლობა აქვს თავის მართლები, დაგვიდასტუროს, რომ ეს მას არ უთქვამს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პარტიის წევრებმა გადაწყვიტონ თუ რა კაცთმოძულე ლიდერი ჰყავთ მათ.

ყოველი გახსენება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის დღეებისა გულის ძარღვს მწყვეტს, როცა ერთმანეთზე ამხედრებული ქართველები, ხშირად ერთი სკოლელები, ქართველთა მტრის ერთი ქარხნიდან გამოშვებული, მამასისხლად ნაყიდი იარაღით ერთმანეთს ჟლეტდნენ და მშობლიური ქალაქის გულს წვაგდნენ. ყველაფერი ეს ქართველების მოძულეთა კმაყოფილებას იწვევდა. სწორედ მაშინ თქვა ჟირინოვსკიმ: სჯობს ქართველებს იარაღი უფასოდ დაურიგოთო. ყველაზე დიდ წუხილს ის იწვევს, რომ ჩემი თაობის წარმომადგენლებმა ვერაფერი ვიღონეთ მოძულე მხარეთა შუაში ჩავმდგარიყავით და ძმთამკვლელი ომი თავიდან აგვეცილებინა.

მსგავსი რამ არასდროს არ უნდა განმეორდეს ჩვენს ისტორიაში.


ხშირად მიოცნებაა, თუ რა ბედნიერი ვიქნებოდით ხანდაზმულობისას ამ დღეებს რომ არ მოვსწრებოდით.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხალხი გამოსავალს მოძებნის სიძნელეების გადასალახავად და მარადიულად იარსებებს მსოფლიოს ხალხთა ნათელ თანამეგობრობაში.

დიდი მადლობა მოთმინებისა და ყურადღებისათვის.







მარინა კვაპაძე

## თანაბედროვე მედიცინის ზოგიერთი საკითხის შესახებ

სამედიცინო აღმოჩენებმა წინ გაუსწრეს სამართლებრივ, ეკონომიკურ და მორალურ-ეთიკურ შეხედულებებს. მეცნიერება აღმოჩნდა ახალი დილემის წინაშე, რომლის გადაწყვეტა სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რადგან დაგვიანება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს. გარდა ამისა, მედიცინისა და ბიოეთიკის პრობლემები მთელი სიმძაფრით დგება დღის წესრიგში.

ამგვარ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება ადამიანის დაბადების საწყისი მომენტის განსაზღვრა და დედის მუცელში მყოფი ნაყოფის სამართლებრივ სუბიექტად აღიარების საკითხი.

აღნიშნულმა პრობლემამ თავი ბოლო წლებში იჩინა, როდესაც მთელს მსოფლიოში დაიწყო აბორტირებული ნაყოფის ქსოვილთა გამოყენება ტრანსპლანტაციის მიზნით. მაგალითად, აშშ-ში 7 წლის ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად, ექიმებთან შეთანხმებით, მშობლებმა გადაწყვიტეს ბავშვის ჩასახვა, რათა შემდგომ ხელოვნური მშობიარობის (აბორტის) მეშვეობით ნაყოფის თირკმელი გადაენერგათ ავადმყოფი შვილისათვის. გადანერგვამ წარმატებით ჩაიარა და 7 წლის ბავშვი სიკვდილს გადაურჩა.

აღნიშნულ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ექიმი, რომელმაც ტრანსპლანტაციის ოპერაცია გააკეთა, სასამართლომ სასჯელისაგან გაანთავისუფლა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი სამართლებრივი თვალსაზრისით იმდენად საინტერესო არ იქნებოდა რომ აღნიშნულ შემთხვევას სამედიცინო პრაქტიკაში გაგრძელება არ მოჰყოლოდა. რამდენადაც შემადიწუნებლად უნდა ყფრდეს ეს, მშობიარობის ხელოვნურად, სპეციალურად შეწყვეტა ნაყოფის ქსოვილთა ტრანსპლანტაციის ან სამედიცინო კვლევისათვის მისი გამოყენების მიზნით, მსოფლიოს სამედიცინო პრაქტიკაში მყარად დამკვიდრდა.

ასევე მოქმედებენ ჩინელი ქირურგები, რომლებიც ტრანსპლანტაციისათვის ნაყოფის თავის ტვინს იყენებენ. ამ ოპერაციით შესაძლებელი გახდა პაციენტის ინტელექტუალური შესაძლებლობების გაუმჯობესება.<sup>1</sup>

1994 წლის 10 აპრილს პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის თავის ტვინის ინსტიტუტში, განხორციელდა უნიკალური ოპერაცია. 4 კვირის ადამიანის ნაყოფის ტვინის ქსოვილი გადაენერგა 2 წლის დენის ნ-ს, რომელსაც დაბადებიდანვე თანდაყოლილი თავის მძიმე ტრამვა ქონდა.

იტარ-ტასის ცნობით 1995 წლის 11 იანვარს პეტერბურგში ჩატარდა ოპერაცია, რომლის დროსაც ადამიანის ემბრიონის ქსოვილები გადაენერგა

1. «Медицинская газета», 1989, 11 января.



21 წლის ოლგა გ-ს. ემბრიონის ჯანმრთელი უჯრედები ტრანსპლანტირებულა იქნა ოლგას თავის ტვინის დაზიანებულ ნაწილში.

რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, აბორტირებული მასალის ქსოვილებით დამზადებული პრეპარატებით მკურნალობა მოსკოვის მთელ რივ კლინიკებში მიმდინარეობს. აღნიშნულ კლინიკებს მკიდრო კავშირი აქვს მედიცინის საერთაშორისო ინსტიტუტებთან. ეს კლინიკებია: მეანობის, გინეკოლოგიის და პერინტოლოგიის სამეცნიერო ცენტრი; სკლიფოსოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტი; რუსეთის მთავრობის სამედიცინო ცენტრთან არსებული ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო; პედიატრიის კვლევითი ინსტიტუტი და სხვა. აბორტირებული ნაყოფის ქსოვილებით მკურნალობა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ აბორტირებული ნაყოფის ქსოვილები ყიდვა-გაყიდვის საგანი არ არის, ფეტალური ქსოვილებით დამზადებულ პრეპარატებით მკურნალობა აღნიშნულ კლინიკებში ფასიანია.

აბორტირებული ნაყოფის ქსოვილები ეფექტურია ტრანსპლანტოლოგიაშიც. ამ მიზნით გამოიყენებენ 150-480 გრ. ადამიანის ემბრიონს, რომელსაც გეგმიური აბორტების დროს მიიღება. აბორტები ტარდება სამედიცინო მონაცემების საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებებში.<sup>2</sup>

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საზღვარგარეთ სიცოცხლისუნარიანად აღიარებენ 350 გრ. ახალშობილსაც და შესაძლებელს ხდიან მის გამოზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობის კრიტერიუმი 500 გრ. შეადგენს.

1993 წელს მოსკოვის ჩერიომუჟკინის რაიონის პროკურატურამ ფეტალური მასალის გამოყენების ფაქტების შესწავლისას დაადგინა, რომ სამედიცინო ექსპერიმენტებში გამოყენებულ ემბრიონთა წონა 150-დან 480 გრ. შეადგენს. აღნიშნული შემოწმების შედეგები ემყარება რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის მინისტრის ა. ცარეგოროდცევის ოფიციალურ წერილს, რომლითაც ვიგებთ, რომ რუსეთის კლინიკებში ჩატარებული ტრანსპლანტაციის დროს გამოიყენება 16-19 კვირის ნაყოფის ქსოვილები, რომელთა წონა არ აღემატება 350-380 გრ. ამგვარი ოპერაციები 5-8 ათას დოლარამდე ღირს.<sup>3</sup>

ადამიანის ემბრიონის ქსოვილების გამოყენებამ კლინიკურ მედიცინაში და მისგან სპეციალური პრეპარატების დამზადებამ, გარკვეული ნეგატიური რეზონანსი გამოიწვია რუსეთში. ამის შედეგად, სახელმწიფო დუმიამ სპეციალური კომისია შექმნა, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ადამიანთა ემბრიონის ქსოვილების გამოყენების საკითხი ტრანსპლანტაციისა და სხვა-სხვა პრეპარატების დამზადების მიზნით, და ამ საკითხთან დაკავშირებული კომერციალიზაციის შემთხვევები, რომლებიც საკმაოდ არის აღრიცხული.

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითები სისხლის სამართლის თეორიის თვალსაზრისით. იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი რაციონალური ზღვარი, რომლიდანაც ადამიანი ჩაითვლება ცოცხალ არსებად.

მართლაც, თუკი გადავხედავთ სისხლის სამართლის ლიტერატურას, დავრწმუნდებით, რომ კრიმინალისტებმა სხვადასხვა დროს შეიმუშავეს მრავალფეროვანი, ხშირად ურთიერთგამომრიცხველი კონცეფციები, რომლებიც

2. «Из справки о проверке прокуратурой Черемушкинского района Москвы фактов связанных с работой международного института биологической медицины, от 1 июня 1993 года», ж. «Огонек», 1996, № 4.

3. Ж. «Огонек», 1996, № 4.



შეიძლება 3 ძირითად ჯგუფად დაიყოს: მეცნიერთა ერთი ჯგუფი სიცოცხლის საწყის მომენტად იმ დროს აღიარებს, როდესაც ნაყოფი დაიწყებს სუნთქვას; მეორე ჯგუფს სიცოცხლის დაწყებად დედის საშოდან ბავშვის მოცილებას მომენტი მიაჩნია.<sup>5</sup> მესამე კი ჩვილის რაიმე ნაწილის საშოდან გამოჩენის მომენტს მიიჩნევენ ადამიანის სიცოცხლის საწყის მომენტად.<sup>6</sup>

ა. პონტკოვსკის ადამიანის სიცოცხლის საწყის მომენტად ბავშვის დედის საშოდან ნაწილობრივი გამოყოფა მიაჩნია. მისი აზრით, ეს არის „ხარის-ხობრივი ნახტომი“ ნაყოფის განვითარებაში. ეს არის მისი ხარისხოვრივი, თვისობრივი ცვლილება, მისი გადაქცევა ადამიანად.<sup>7</sup>

ასევე საინტერესოა პროფ. მ. გორძინსკის აზრი, რომლის მიხედვითაც სიცოცხლის კრიტერიუმის დადგენისათვის აუცილებელია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდეს, შეეძლო თუ არა დამოუკიდებლად არსებობა ნაყოფს. „თუკი ჩვილი უკვე სუნთქავს, ან ჯერ კიდევ არ დაუწყია სუნთქვა, მაგრამ მთლიანად გამოეყო დედის საშოს, ის უკვე ცოცხალი არსებაა, რომლისთვისაც სიცოცხლის მოსპობა მკვლელობად უნდა ჩაითვალოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში საქმე გვექნება ნაყოფის მოსპობასთან“.<sup>8</sup>

მ. გორძინსკის აღნიშნული შეხედულებიდან ნათლად არ ჩანს თუ რა იგულისხმება ბავშვის დედისაგან სრულ მოშორებაში — ბავშვის სხეულის სრული გამოყოფა დედის ორგანიზმიდან, მისი რაიმე ნაწილის გამოჩენა თუ ჭიპლარის მოჭრა. გარდა ამისა, რთულია დადგინდეს თუ როგორ უნდა მოხდეს იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომლის დროსაც ახლამობილს, რომელსაც ჯერ კიდევ სუნთქვა არ დაუწყია, მიაყენეს სასიკვდილო დაზიანება, ე. ი. არ არის ზედმიწევნით განსაზღვრული თუ რომელი მომენტიდან ითვლება ნაყოფი ცოცხალ ორგანიზმად. „...ვიდრე მშობიარობა არ დაწყებულა, სახეზეა ნაყოფის მოსპობა, და არა მკვლელობა, — წერს ა. ჟიჟილენკო, — მაგრამ საკმარისია მშობიარობა დაიწყოს ან ბავშვის რომელიმე ნაწილი გამოეყოს დედის საშოს, რომ უკვე შეიძლება ლაპარაკი ბავშვის სიცოცხლის მოსპობაზე“.<sup>9</sup>

ასეთივე შეხედულებებია გამოთქმული სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში. მათ აერთიანებთ მხოლოდ ერთი რამ — ადამიანი სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილება და სამართლის სუბიექტად მისი აღიარება ხდება დაბადების მომენტიდან, ანუ მშობიარობის მომენტში, როდესაც გამოჩნდება ნაყოფის სხეულის რომელიმე ნაწილი, როგორც ვხედავთ ზემოთ მოყვანილი სისხლის სამართლის ლტერატურის მიმოხილვიდან, ადამიანის დაბადების მომენტის დადგენა პროპორციულად მოძრაობს მედიცინის მიღწევებთან ერთად.

4. Мокринский С. Натансон В., Преступление против личности, 1928, стр. 6; Ковалев М. М., «Научный комментарий к УК», т. 2, Особая часть, Свердловск, с. 133.

5. Таганцев Е., О преступлении против жизни по русскому праву, т. I, СП, 1870, ст. 34.

6. მ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, მ. მაჭავარიანი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ. 1980, გვ. 6; «Курс советского уголовного права», М., 1973, ч. особая, т. 3, стр. 480; Загородников М. И., Преступления против жизни и здоровья, М. 1969, стр. 35; Пионтковский А. А. Меньцагин В. Д., Курс советского уголовного права, ч. особая, М., 1959, т. 1, стр. 20.

7. Пионтковский А. А., Советское уголовное право, М.-Л., 1928, т. 2, ч. особ., стр. 341.

8. Гордзинский М. М., Преступления против жизни, М., 1924, с. 4; «Комментарии к УК», под. ред. Кисилева А. Д., М., 1925, с. 328.

9. Жижиленко А. А., Преступления против личности, М., 1927.



თუკი პირველ ხანებში (20-30-იან წლებში) ადამიანის დაბადებად ითვლებოდა მისი სრული მოშორება დედის ორგანიზმიდან და დამოუკიდებლად სუნთქვის დაწყება, თანამედროვე სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში ადამიანის დაბადებად მისი ერთ-ერთი ნაწილის საშოდან გამოყოფაა მიღებული (70-80-იანი წლები).

რაც შეეხება სისხლის სამართლის თეორიის უახლეს ლიტერატურას, სიცოცხლის საწყის მომენტად მიჩნეულია „ფიზიოლოგიური მშობიარობის დაწყების მომენტი“. აქედან გამომდინარე, კანონი ადამიანს თვით დაბადების მომენტშივე იცავს, მიუხედავად იმისა, რომ დაბადების მომენტში ადამიანი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი არსება არ არის.<sup>10</sup>

წინა წლებისაგან განსხვავებით, თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურა დაბადების მომენტად უკვე მშობიარობის მომენტს აღიარებს, რაც ჩვენი აზრით, წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ, სისხლის სამართალმა და საერთოდ სამართლებრივმა მეცნიერებამ მაინც აშკარად ვერ აღიარა ნაყოფის უფლებების დაცვა. თავის თავზე ვერ აიღო ადამიანის სიცოცხლის საწყისი მომენტის დროში უფრო ადრე გადატანა. სამართლებრივმა მსოფლმხედველობამ ფეხი ვერ აუბა მედიცინის მიღწევებს, სისხლის სამართლის თეორიის უკანასკნელი გამოცემების მიხედვით „მშობიარობამდე ნაყოფის ხელყოფა მკვლელობად არ ჩაითვლება, ამ შემთხვევაში დამნაშავე შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იქნეს მიცემული ან სხეულის მძიმე დაზიანებისათვის ან უკანონო აბორტისათვის და სხვ.“<sup>11</sup>

ადამიანის სიცოცხლის საწყისი მომენტის დადგენას იმიტომ დავუთმეთ ამდენი ყურადღება, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში აღრიცხულია არა ერთი შემთხვევა, როდესაც ქალები სპეციალურად ფეხმძიმდებიან, რათა შემდგომ გაიკეთონ აბორტი, ხოლო აბორტირებული ნაყოფი, გარკვეული გასამრჯელოს მიღების მიზნით, ჩააბარონ სამედიცინო დაწესებულებებს. ეს შემთხვევები იმდენად გახშირდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა აკრძალა აბორტირებული ნაყოფის უჯრედთა გამოყენება სამედიცინო მიზნებისათვის, ვიდრე არ გადაწყდება პრობლემის მორალურ-ეთიკური ასპექტები. დიდი ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ შეიმუშავა სპეციალური ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ტრანსპლანტაციის მიზნით ემბრიონის ქსოვილთა გამოყენების საკითხებს. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ ნაყოფის ჩასახვა და ხელოვნურად აბორტის გაკეთება შემდგომ ნაყოფის ტრანსპლანტაციაში გამოყენების მიზნით, დაუშვებელია. ტრანსპლანტაციის ოპერაციამ ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს აბორტის გაკეთების ტექნიკასა და დროზე; ემბრიონის ორგანოთა და ქსოვილთა გამოყენება სამედიცინო კვლევისათვის დასაშვებია მხოლოდ უანგაროდ და დედის თანხმობით. ასეთსავე მოთხოვნას შეიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი ემბრიონის სამედიცინო კვლევისათვის გამოყენების თაობაზე.<sup>12</sup>


როგორც ვხედავთ, დასავლეთი შემოფოთებულია ემბრიონის სამედიცინო კვლევასა და ტრანსპლანტაციაში მისი გამოყენების ფაქტებით. თუკი აღნიშნულ პრობლემას სისხლის სამართლის თვალთ შევხედავთ, დავინახავთ რომ ხელოვნურად დედის მიერ ფეხმძიმობის შეწყვეტა დანაშაულად არ არის მიჩნეული.

10. «Уголовное право», М., 1995, ч. особ., стр. 91.

11. Там же, с. 92.

12. Маленна М. Н., Человек и медицина в современном праве, М., 1995, с. 78.





აბორტის გაკეთების უფლება ეძლევა მხოლოდ დიპლომიან ექიმს სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში და თუ სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით არ არსებობს აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება. სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსები იცნობენ სპეციალურ მუხლებს, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებენ უკანონო აბორტის გაკეთებისათვის. განვიხილოთ აღნიშნული საკითხი უფრო დეტალურად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად დასჯად ქმედებად ცხადდება აბორტის უკანონოდ გაკეთება. 123-ე მუხლით დაცულია მხოლოდ დედის ინტერესები და არა მომავალი ადამიანის. „ამჟამად აბორტი ისჯება არა როგორც ჩანასახის სიცოცხლის უნარიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს“.<sup>13</sup> საუბარია არა აბორტის გაკეთებაზე ან აბორტის აკრძალვაზე, არამედ კანონსაწინააღმდეგო აბორტის დასჯადობაზე.<sup>14</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის კომენტარიდან ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელს აინტერესებს: 1) დედის, ორსული ქალის სიცოცხლე; 2) აბორტი არ გაკეთდეს სტაციონარის გარეთ; 3) აბორტი აუცილებლად უნდა გააკეთოს ექიმმა; 4) როგორც მითითებულია სისხლის სამართლის თეორიაში, ქალის თანხმობა აუცილებელი პირობაა უკანონო აბორტის გაკეთებისათვის.

როცა ვლადპარაკობთ აბორტირებული ნაყოფის ტრანსპლანტაციის ან სამეცნიერო კვლევის მიზნით აბორტის გაკეთებაზე, მაშინ დგება სულ სხვა სახის პრობლემა — ღავიცვათ ემბრიონი გარეშე ჩარევისაგან. საშუალება მიეცემა მას ნორმალური განვითარებისათვის. გადავარჩინოთ მომავალი ადამიანი და არ მიეცეთ საშუალება არავის, თუნდაც მის მშობლებს, რომ გამოიყენონ ის ანგარების მიზნით საცდელ ობიექტად. მართალია, მშობლებს უფლება აქვთ, კანონის ძალით, წარმართონ თავიანთი შვილების ცხოვრება მათ სრულწლოვანებამდე, მაგრამ სამართლისათვის უცხო არ არის მშობლის უფლების ჩამორთმევის ინსტიტუტი. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც მშობლები მავნე ზეგავლენას ახდენენ აღსაზრდელ არასრულწლოვან შვილებზე.

რა თქმა უნდა, ემბრიონის სიკვდილის შემთხვევაში ჩვენ მშობლის უფლების ჩამორთმევაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ემბრიონი სამართლებრივად არ უნდა იყოს დაცული.

გარეგნულად ემბრიონისათვის არსებობის მოსპობა (რამეთუ სიცოცხლის მოსპობას ჩვენ ვერ ვიხმართ, რადგან სიცოცხლის ათვლის მომენტად მშობიარობის მომენტი ითვლება) მკვლელობას ჰგავს. სახეზეა ობიექტური მხარე, რომელიც აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება — აბორტის გაკეთებაში სამედიცინო-სტაციონარული წესით; ქიმიური საშუალებებით: მედიკამენტოზური ჩარევით. განსხვავებით უკანონო აბორტისაგან, ამ შემთხვევაში ემბრიონს არსებობა შეიძლება მოუსპოს არა მარტო ექიმმა, არამედ თვით დედამაც. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, ამგვარი ქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მაგრამ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც დედა მოქმედებს პირდაპირი განზრახვით (უმეტესად ანგარებითი მოტივით), ხოლო ექიმი კი გაუფრთხილებლობით.

მთავარი პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით, ეს არის ობიექტის პრობ-

13. „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, გვ. 125.

14. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური მუხლები არსებობენ დსთ-ს ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.



ლემბა, რამეთუ თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით არ არსებობს ემბრიონის დამცველი მექანიზმი. ემბრიონი სამართლის სუბიექტად არ არის აღიარებული, ე. ი. დანაშაულიც არ არსებობს, რადგან სისხლის სამართლის თეორიაში საყოველთაოდ არის აღიარებული დანაშაულის ოთხი ნიშნის არსებობის აუცილებლობა.

დედა, რომელიც თავისივე სურვილით სპობს ნაყოფს, რათა მიიღოს გარკვეული გასამრჯელო (ცხადია, ფარულად) სამედიცინო დაწესებულებისაგან ან იმ პირისაგან, რომელსაც უნდა გაუკეთდეს ემბრიონის რომელიმე ქსოვილის გადანერგვა, ან ასეთი პირის ახლობლებისაგან, მხოლოდ ამორალურად კი არ იქცევა, არამედ, ჩვენი აზრით, დამნაშავეცაა.

მსჯელობის დასაწყისში ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, რომელიც აშშ-ის ერთ-ერთ კლინიკაში მოხდა. აბორტირებული ნაყოფის თირკემელი სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად გამოიყენეს, მართალია, ამ შემთხვევაში ემბრიონის არსებობის შეწყვეტას გარკვეული კეთილშობილური მიზანი ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვარდევით არა მარტო ეთიკურ, ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ ნორმასაც — არ შეიძლება ერთი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, მითუმეტეს, როდესაც ამ გადაწყვეტილებას სხვა იღებს, თუნდაც მშობლები, და თუნდაც ეს ეხებოდეს ჯერ არ დაბადებულ ადამიანს, რომელიც სამართალს თავის დაცვის ქვეშ არ ჰყავს აყვანილი.

მართალია, მეტად რთულია სისხლის სამართლის თეორიის კლასიკური ცნებების მოდერნიზაცია, მაგრამ ნაყოფის ხელყოფისაგან დაცვის საკითხი ძალიან მალე დადგება დღის წესრიგში და ჩვენი კანონმდებლობა მას მოუმზადებელი შეხვდება. ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ დღესვე სისხლის სამართლის კლასიკურ ცნებებში მოვახდინოთ ცვლილებები, შემოვიტანოთ ახალი ელემენტები, მაგრამ ამ საკითხის შესწავლა, მის შესახებ მსჯელობა აუცილებლად დღესვე უნდა დაიწყოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კლინიკური ექსპერიმენტები ამ მიმართულებებით დღეისათვის არ ტარდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა არ არსებობს და ამიტომ თვალები დავზუჭოთ იმაზე, რაც მთელს მსოფლიოს აწუხებს. არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, ან ექიმის მიერ არასწორი მითითებების შედეგად, მშობიარობის მოშლა ან ბავშვის ფიზიკური ნაკლით დაბადება, დანაშაულად არ ითვლება, რამეთუ არ არსებობს ის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაიცავს ნაყოფის უშიშროებას. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მხოლოდ დედის სიცოცხლესა და მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს და უყურადღებოდ ტოვებს მომავალი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, როგორც ფიზიკურს, ისე ფსიქიკურს.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქციის შემუშავებისას, აუცილებელია გაითვალისწინონ სპეციალური მუხლი, რომელიც დაიცავს ემბრიონს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ეს გარკვეულად გადაწყვეტიდა იმ პრობლემასაც, რომელიც არსებობს სისხლის სამართალში ადამიანის სამართლის სუბიექტად აღიარების საწყისი მომენტის დადგენასთან დაკავშირებით.

ნაყოფის ხელყოფისაგან დაცვის მუხლის დისპოზიცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ემბრიონის ან ნაყოფის ხელყოფა ანგარების ან მისი შემდგომი სამედიცინო კვლევისა ან ტრანსპლანტაციის მიზნით.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: ადამიანის სიცოცხლე დაცული უნდა იყოს არა მარტო მისი დაბადების შემდეგ, ან დაბადების პროცესში, არამედ დაბადების პროცესამდეც. ამიტომ, მკვლელობად უნდა ჩაითვა-



ლოს არა მარტო დედის საშოდან გამოყოფილი ბავშვის სიცოცხლის ხელყოფა, არამედ ნაყოფის მკვლელობაც მშობიარობის პროცესამდე, ე. ი. როდესაც ნაყოფი ჯერ კიდევ არ დაბადებულა. მედიცინის მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ვამტკიცოდ, რომ დედის მუცელში მყოფი ნაყოფის სიცოცხლის ხელყოფაც (ბოლო 7, 8, 9 თვეებში) დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფი ჯერ ვერ იარსებებს დამოუკიდებლად და ის ჯერ არც კი დაბადებულა, მისი მკვლელობის ობიექტად აღიარების საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: 1) ბოლო სამი თვის განმვლობაში ნაყოფი უკვე საკმაოდ მომწიფებულია. არც ისე იშვიათია 7-8 თვის თავზე მშობიარობა; 2) კმ დროს, უმეტეს შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანი ნაყოფი ჩნდება (ის სუნთქავს, ამოძრავებს კიდურებს და სხვ).

აქედან გამომდინარე, დედის მუცელში მყოფი ნაყოფის მკვლელობა უნდა გაუთვალდეს უკვე დაბადებული ჩვილი ბავშვის სიცოცხლის ხელყოფას.

ა. ჯანდიერის აზრით, ჯერ კიდევ დაბადებამდე ნაყოფის მკვლელობის განხორციელება შეუძლებელია.<sup>15</sup> რა თქმა უნდა, ამგვარი დანაშაულის განხორციელება საკმაოდ რთულია, მაგრამ გამორიცხული არ არის. მაგალითად, დამნაშავე ორსულ ქალს აძლევს სპეციალურ პრეპარატებს ან დიდი დოზით მედიკამენტებს, რათა გამოიწვიოს ორსულობის მოშლა, ნაყოფის დაღუპვა. ამგვარმა ქმედებამ შეიძლება სერიოზული ზიანი არ მიაყენოს ორსულ ქალს, მაგრამ გამოიწვიოს აბორტი ან შემდგომში გამოვლინდეს ნაყოფის ჯანმრთელობის მოშლაში. როგორც უკანონო აბორტის დროს, დედას არავითარი ზიანი არ ადგება. დაცულია არა მარტო მისი სიცოცხლე, არამედ სერიოზული საფრთხე არ ემუქრება მის ჯანმრთელობასაც. თუკი დამნაშავის მოქმედების შედეგად ორსულ ქალს მიაღდა სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანებაც კი, მაშინ დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლებით (სსკ 110, 111, 112-ე მუხლები). ხოლო ორსული ქალისათვის ზიანის მიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება (დანაშაულის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცის ან უმწეო მღვდომარეობაში მყოფი პირის მიმართ და აგრეთვე დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ).

საინტერესოა კანონმდებლის დამოკიდებულება ორსული ქალის სიცოცხლისა და ნაყოფის სიცოცხლის დაცვის მიმართ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტში ლაპარაკია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობაზე.

ამ მუხლის კომენტარებში ვკითხულობთ: „ორსული ქალის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება იქნის გამო, რომ გარდა ქალის სიცოცხლისა, დამნაშავე ხელყოფს ჩანასახის სიცოცხლეს“<sup>16</sup>. კომენტარებში ის ფაქტი, რომ ზიანი ადგება ჩანასახსაც, მითითებულია, მაგრამ თვით კოდექსში აღნიშნულმა ფაქტმა ასახვა ვერ პოვა.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ აბორტის გაკეთება დაუშვებელია ორ შემთხვევაში: 1) როდესაც ჩანასახი 12 კვირაზე დიდი ხნისაა; 2) როდესაც წინა აბორტის გა-

15. Джандиери А. С., Квалификация умышленных убийств совершенных при отягчающих обстоятельствах по советскому уголовному праву, Авт. канд. диссер., М., 1967, с. 26.

16. მ. მაყაშვილი, თ. წერეთელი, მ. მაჭავარიანი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ. 1980, გვ. 30.



კეთებიდან არ გასულა 6 კვირა; 3) როდესაც აბორტის გაკეთება სერიოზულ საშიშროებას უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

მიუხედავად ამისა, ტრანსპლანტაციაში გამოიყენება სწორედ ზრდასრული ნაყოფის ორგანოები, რომლებიც ასე თუ ისე ჩამოყალიბებულნი არიან და განდერგვისათვის გამოდგებიან. მშობიარობის შეწყვეტა შეიძლება ორსულობის უფრო გვიანდელ პერიოდშიც მოხდეს. ნაყოფმა ამ დროს შეიძლება გამოავლინოს სიცოცხლის ნიშნები. მედიცინის პრაქტიკაში ძალიან ხშირია 7 თვიანი ბავშვების გაჩენის შემთხვევები. ამ შემთხვევაში დაბადებული ჩვილი ცოცხალ არსებად ითვლება და მისი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ქმედება მკვლელობად ჩაითვლება.

მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმული 7-9 თვიან ჩვილებს შეეხებათ, ზოლო უფრო ადრინდელი ასაკის ნაყოფისათვის ზიანის მიყენება დანაშაულად არ ცხადდება.

ჩვენი აზრით, ქმედების კვალიფიკაციაზე არავითარი გავლენა არა აქვს ნაადრევად დაბადებული ბავშვის სიცოცხლისუნარიანობას. აქედან გამომდინარე, თუკი არსებობს ნაყოფის მოკვლის მიზანი, ქმედობა განზრახ მკვლელობად ჩაითვლება.

აქვე გვინდა განვიხილოთ მშობიარობისას ჩვილი ბავშვის მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხი. უმეტეს შემთხვევაში ეს შესაძლებელია, როდესაც მშობიარობის პროცესში გამოჩნდება სხეულის რომელიმე ნაწილი. ზიანი ადგება ჩვილის იმ ნაწილებს, რომელსაც დამნაშავე ხედავს. თუკი სიცოცხლის საწყის მომენტად ვაღიარებთ უკანასკნელი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს კრიტერიუმებს, დამნაშავე ამ დროს ხელყოფს უკვე ცოცხალი ადამიანის სიცოცხლეს და მისი ქმედება მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

ამ საკითხშიც კანონმდებელი თანმიმდევრობას არ იჩენს. კარგი იქნებოდა თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლში დამაძიმებელ გარემოებად იქნებოდა შეტანილი ჩვილი ბავშვის მკვლელობა.

ამავე პრობლემას უკავშირდება გარდაცვლილი დედის ორგანიზმში ბავშვის ხელოვნურად გამოზრდის საკითხი. სამართლებრივი თვალსაზრისით სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენს არა მარტო ნაყოფი, არამედ დედაც. რადგან სამართლის სუბიექტი ხომ მხოლოდ ცოცხალი ადამიანია. აქედან გამომდინარე ფიზიკურად არსებობს ორგანიზმი, რომლის თავის ტვინი უკვე მკვდარია და ე. ი. ორგანიზმი გარდაცვლილია, თუნდაც ამგვარი ორგანიზმი სპეციალურ სამედიცინო აპარატურაზე იყოს შეერთებული და ხელოვნურად შენარჩუნებული ჰქონდეს სუნთქვა; და მეორე მხრივ, არსებობს ემბრიონი ან უკვე ნაყოფი, რომელიც დედის ორგანიზმს არ მოშორებია, და რომელიც ასევე სამართლის სუბიექტად არ ითვლება, მაგრამ მედიკოსთა მეშვეობით 7 ან 9 თვის თავზე მას მკვდარი დედის ორგანიზმიდან ამოიღებენ და იგი სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტად გადაიქცევა.


აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა განვიხილოთ თუ როგორ მოხდებოდა ამ შემთხვევაში ნაყოფისათვის, მედიცინის მუშაკის მიერ, დაზმარების აღმოუჩენლობის შემთხვევათა კვალიფიკაციის საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლი ამ შემთხვევაში მხოლოდ დედის ინტერესებს იცავს, დედა კი უკვე აღარ აღიქმება დანაშაულის ობიექტად, ე. ი. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო აღნიშნული ქმედება (უმოქმედობა) დანაშაულად არ ჩაითვლება.





## უმადლესი ხარისხი იურიდიულ მეცნიერებაში

1995 წლის 3 ნოემბერს ალბერტ მიხეილის ძე აბმასაძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად აქედან — „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები“ და ერთხმად მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ოპონენტთა შეფასებით აღნიშნული ნაშრომი, რომელიც მრავალი წლის პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობის შედეგია, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი ორიგინალური ფუნდამენტალური გამოკვლევაა საქართველოს აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელშიც დეტალურად არის გაანალიზებული საქართველოს ისტორიული და თანამედროვე აღმასრულებელი სტრუქტურების საქმიანობის ფორმები და მეთოდები. მასში ნაჩვენებია, რომ ქვეყნის მმართველობის სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების ის დერჰია, რომლითაც მოძრაობაში მოდის სახელმწიფოს მთელი მექანიზმი. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის პირობებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში რეალური წარმატებების მიღწევა. ნაშრომში ყურადღებას იქცევს ავტორის ბევრი დასკვნა, წინადადება და რეკომენდაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს საქართველოს სხვადასხვა პერიოდის კონსტიტუციური ნორმებისა და სამეურნეო პრაქტიკის ანალიზი. მათ რეალიზაციას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ახალი სტრუქტურებისა და საქმიანობის ფორმირებაში.



ალბერტ აბმასაძე დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.




1960-1969 წლებში მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1965-1966 წწ. იგი იყო სტაჟიორ-მკვლევარი მოსკოვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მოქალაქეთა უფლებები სახელმწიფო მმართველობის სფეროში და მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა“.

1969-1976 წლებში ა. აბესაძე მუშაობს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1976-1984 წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

1981 წელს იუსტიციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის ა. აბესაძე დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1989 წლიდან ა. აბესაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტია.

იგი არის ოთხი მონოგრაფიის, ოთხი ბროშურის, ერთი მხატვრული ნაწარმოების და 60-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი. ა. აბესაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას.




**ივ. ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ოთარ მელქაძის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო — „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორის მიერ წაკითხული ლექციების კურსი.

ეს პირველი ქართული გამოცემაა, როელიც მოიცავს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ზოგადთეორიულ კურსს. წიგნი შედგება თერთმეტი თავისაგან და მიმოიხილავს უმთავრეს სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტი-

ტუტებს, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების თავისებურებათა გათვალისწინებით. იგი გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და პარლამენტარიზმის მსოფლიო პრაქტიკით დაინტერესებულ პირთათვის, წიგნს





ღართული აქვს სპეციალური ლიტერატურის სია, როგორც საერთო მთელი თემატიკისათვის, ასევე წიგნში განხილული ცალკეული თემების მიხედვით. ასეთი ბიბლიოგრაფია კარგ სამსახურს გაუწევს დანტერესებულ მკითხველს და განსაკუთრებით სტუდენტობას სასურველ თემებზე სადიპლომო თუ საკურსო ნაშრომების დამუშავების დროს.

გასული წლის 23 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სსდმამზე ოთარ ვალერიანის ძე მელქაძემ დასაცავად წარადგინა ნაშრომი — თემაზე „კონტროლის კოორდინაციის პრობლემა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში“. საბჭოს გადაწყვეტილებით ოთარ მელქაძეს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

**ჟურნალის რედაქცია გულწრფელად გილოცავთ ამ წარმატებას. გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.**





## ვასილ ხმალაძე



გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ვასილ ნიკოლოზის ძე ხმალაძე. ვასილ ხმალაძე დაიბადა თბილისის მაზრის სოფელ დილოშში 1910 წლის 17 დეკემბერს. სოფლის შვიდწლიანი სასწავლებლისა და თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დამთავრებისთანავე 1932 წელს ჩაირიცხა საქართველოს ცაკ-თან არსებულ სამართლის ინსტიტუტში, რომელიც იმავე წელს შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ მისი პედაგოგები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ნანეიშვილი, ირ. სურგულაძე, ვლ. ულენტი, კ. ბაქრაძე, ალ. ვაჩიშვილი და სხვები.

1937 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, 1938 წლიდან კი რაიონის პროკურორის თანაშემწეა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ცაგერის რაიონის პროკურორად ნიშნავენ. 1941 წელს გადაჰყავთ საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის თა-

ნაშემწედ, ხოლო 1945 წელს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად. 1951 წლის ბოლოს ვასილ ხმალაძე თბილისის პროკურორია, ხოლო 1952 წლიდან პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ მუშაობს. 1953-54 წლებში კვლავ თბილისის პროკურორია. შემდეგ სამი წელი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა, შემდეგ კი კვლავ პროკურატურის ორგანოებს უბრუნდება, ხოლო 1968 წელს ინიშნება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც შვიდ წელზე მეტი დაჰყო. სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის 35 წლის განმავლობაში მის ხელში აღიზარდა და დაწინაურდა მრავალი ურისტი.

ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელდებით. ვასილ ხმალაძე უქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლობასთან, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. წლების მანძილზე იყო საზოგადოება „ცოდნის“ და ურნალისტთა კავშირის წევრი, უურნალ „ნაიანის“ კორესპონდენტი. აქტიურად თანაშრომლობდა რესპუბლიკურ უურნალ-გაზეთებში და გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი კრიტიკული და სატირულ-იუმორისტული წერილი.

პენსიოზე გასვლის შემდეგ მუშაობა გააგრძელა საქართველოს ტელევიზიის პრობაგანდის მთავარ რედაქციაში სამართლისა და მორალის განყოფილების რედაქტორ-კომენტატორის თანამდებობაზე.

1980 წელს რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და ტელევიზიის კოლექტივებმა ზეიმით აღნიშნეს ვასილ ხმალაძის დაბადების 70 წლის იუბილე.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს წინაშე ვალმოსდელი, ჯანსაღი იუმორით და სითბოთი სავსე ადამიანი. გავა დრო, მაგრამ კვალი ნათელი არ წაიშლება.

საპარტიველოს პროკურატურა,  
საპარტიველოს უზენაესი სასამართლო,  
საპარტიველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,  
საპარტიველოს იურიტთა კავშირი.



40 312/3

